ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 6 ოქტომბერი 1999 №191 (964) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

### 2

**კიდეც უნდა და არც უნდა, შინ მივდივარო, ამბობს**



ბოსკამპს 9 ოქტომბერს კონტრაქტი უმთავრდება...

### 3

**დინამო იხდის**

დილმის ბაზა აუქციონზე გაყიდვას გადაურჩა

### 6

**ფიფას უნდა, რომ ჩვენც გვინდოდეს**

რა ბედი ელის საკლუბო მსოფლიოს ჩემპიონატს?

### 11

**სარბიელის საშუალებით ფიბა გეკითხებათ**

ქართველი გულშემატკივრები „ევროსტარის“ მონაწილეებს შეარჩევენ

### 12

**რეფერენდუმი საქართველოს საუკუნის სპორტსმენები**

წარმოგიდგენთ ლაურეატებს



მაია ჩიბურდანიძე

# ბოსკამპმა ჯანაშიას უხმო



გუშინ დილმის ბაზაზე: კარგა ხნის უთამაშებელი გიორგი ქინქლაძე და გიორგი ნემსაძე ჰოლანდიელმა იოჰან ბოსკამპმა ცალკე ავარჯიშა

გატყდა ნავსი. იოჰან ბოსკამპმა ჯანაშიების გვარის წინაშე ჩადენილი სამვილიშვილო დანაშაული მოინანია და გარკვეულხნიანი შესვენების შემდეგ საქართველოს ეროვნულ ნაკრებში ჯანაშია მიიწვია.

ეს არ არის კარგი ცხოვრებით გამოწვეული. ეტყობა, გაუჭირდა ჰოლანდიელს. რომ ჩამოვიდა საქართველოში და ერთიმეორის მიყოლებით დაიფრინა ვარსკვლავ-ვარსკვლავი ქართველი ფეხბურთელები და ამით მრავალჭირგადახდილი ქომაგის გულისწყრომა გამოიწვია. გაუჭირდა კი იმიტომ ბატონ იოჰანს, რომ იაშვილი, ყაველაშვილი და ახვლედიანი ვერ დაეხმარებიან ნაკრებს. ახლა ცალ-ცალკე მათზე, მერე კი იმ საერთო სიტუაციაზე, რაც ალბანეთის ნაკრებთან შეხვედრის წინ სუფევს საქართველოს ეროვნულ გუნდში.

რატომ არ ჩამოვიდა იაშვილი? იმიტომ, რომ ალექსანდრე იაშვილი პროფესიონალია, იგი მეტად და მეტად სჭირდება „ფრაიბურგს“ და ახლა აღდგენითი ვარჯიშები უნდა გაიაროს. მიუხედავად ყველაფრისა, იაშვილი მაინც ჩამოვიდოდა თბილისში შეკრებაზე, მაგრამ ამჯერად კლუბმა მოახერხა თავისი ინტერესები ნაკრებისაზე მაღლა დაეყენებინა და აი, იაშკას ნაკრებში დაბრუნება კიდევ გადაიდო.

ყაველაშვილს ყური ასტკივებია, ეს მისმა თანაგუნდელმა ჯამარაულმა გვამცნო. ტკივილი ტკივილია, პრობლემა — პრობლემა და გინდ ყური ტკივებია ფეხბურთელს, გინდ აქილევსის მყესი, ტრავმად ითვლება.

რაც შეეხება ტორპედოელ ახვლედიანს, მას ფეხი სტკივა. იგი ნაკრებში დათქმული დროისთვის გამოცხადდა, თავისი მდგომარეობა შეატყობინა ბოსკამპს და ჰოლანდიელსაც მეტი რა ჩარა ჰქონდა, ადგა და გაათავისუფლა ბადრი. დაახლოებით თანაგუნდელის მდგომარეობაშია ქართული ფეხბურთის იმედად მონათლული ტორპედოელი გია იმედაძეც, მაგრამ მისი ტრავმა შედარებით მსუბუქია და ქუთაისელიც დღეიდანვე შეუერთდება საალბანეთო სამზადისს.

ახლა კი იმათზე, ვინც ბოსკამპმა სანაკრებოდ მიიწვია და უკვე გამოცხადდნენ დილმის ბაზაზე, ანაც აწი გამოცხადდებიან.

ვარჯიში ნაკრებმა გუშინ, ხუთ ოქტომბერს, საღამოს ხუთის ნახევრისთვის დაიწყო. სულ თორმეტმა ფეხბურთელმა ივარჯიშა. ქინქლაძე, ჯამარაული, კობიაშვილი, გახოკიძე, ჭანტურია, ხიზანეიშვილი, დიღმელაშვილი, სიჭინავა, დიდავა, ნემსაძე, შეყილაძე და... აშვეთია. დიახ, დიახ, აშვეთია, რომლის მიწვევასაც არ აპირებდა საალბანეთოდ მყვირალა ჰოლანდიელი, მაგრამ როგორც გიჭირდეს, ისე გილხინდესო, ხომ გაგიგონიათ, ჰოდა, ნაკრების მზადების საყურებლად ბაზაზე მოსულ მიხეილ აშვეთიას თვალი მოჰკრა თუ არა, ბოსკამპმა დინამოელისთვის ფორმის მოტანა ბრძანა და მიშაც ნაკრების წევრებში გაერია. ყოველივემ ასევე დინამოელი კობა წიტაიშვილის ოხუნჯობა გამოიწვია — მე და აშვეთიამ ახალხან ლომი, ყველი და შემწვარი წიწილი გეახელით და როგორ ირბენს, მაგასაც ვნახავო.

დატვირთვით მეტად ზედაპირულად და ზერელედ დატვირთა იოჰან-მრისხანემ გუნდი. ამას აქვს თავისი მიზეზები. ჯერ ერთი, ფეხბურთელთა უმეტესობა ნამგზავრი იყო და მეორეც, სანაკრებო შეკრება ჯერ არცკი დაწყებულა, არც ყველა ფეხბურთელი სწვევია თბილისს და ნამდვილი შეკრებაც ალბათ მაშინ დაიწყება, როცა დანარჩენები ჩამოვლენ.

დანარჩენთაგან კი ტყუპი არველაძეები უკვე თბილისში იყვნენ (ნაკრების პირველი ვარჯიშის დროისთვის), კალაძე, გვარამაძე, ჰიჭვეიშვილიც დღეს გამოჩნდებიან და... სოფლის შენებასაც მეტი რა უნდა?!

ფეხბურთელებზე თითქმის ყველაფერი მოგახსენეთ და ახლა შინდისფერთა თავკაცებზეც რომ არ ვთქვათ, არაპროფესიონალიზმში ჩამოგვერთმევა. ბოსკამპი ძველებურად მშვენიერ ფორმაშია, ამშვენებს „უმბროს“ ფირმის თეთრი სპორტული ფეხსაცმელი და ამავე ფირმის ლურჯი ტრუს-მაისურა. ძველებურად რიხიანია, ღიმილიანი და მოქალაქეთა კავშირზე მეტად ოპტიმისტი. ეგაა, აღარ ყვირის, ან ხმის იოგები ჩაუწყდა, ანაც დადინჯდა — ეგაა, ღიპი ეზრდება შეკრებიდან შეკრებამდე (ისევე, როგორც „მოქალაქეებს“ ოპოზიცია) და უეჭველად, ქართული მენტალიტეტისა სუფრასთან ურთიერთობა მოეწონება ნამეტნავად.

იხილეთ მეორე გვერდი

# ბოსკამპმა ჯანაშიას უხმო

**დასაწყისი პირველ გვერდზე**

ნუ დავივიწყებთ ფრანსუა დე იონგს. იგი ისე დასდევს კუდში იოჰან-მრისხანეს, როგორც აწ განსვენებული რაისა გორბაჩოვა დასდევდა თავის მეუღლე-პრეზიდენტს. დე იონგი ბოსკამპის სრული ანტიპოდია, ლიპი რას მიქვია, ლერწამივით აშოლტილა ჩვენი ნაკრების ფიზმომზადების ეს უებრო სპეციალისტი და ჩვეულად უხმოდ, ზედმეტი ხმაურის გარეშე აკეთებს საკეთებელს.

საკეთებელი კი... დე იონგის საკეთებელი სირბილია, დაამწკრივებს ქართველებს ეს უცხოტომელი, რალაცას ჩაუინგლისურებს და ჰაიდა, ურტყამენ ბიჭები წრეებს. გუშინაც დე იონგმა დაიწყო წვრთნა, ათიოდ წრე აძუნძულა ფეხბურთელები და მერელა გადაულოცა ბოსკამპს.

ფრანსუა დე იონგი ისეთი კეთილსინდისიერია, ისეთი პროფესიონალი და ისეთი უხმაურო, ვილაცამ ქართველ ჟურნალისტთაგან თქვა, ეგებ ბოსკამპი მარტო გავუშვათ და ეს კი დავტოვოთო, რაზეც იქვე მიილო საპასუხო — ეგ უბოსკამპოდ ვერ გაძლებს, დაჭკნებაო. და შესაბამისად ჩვენი ალტერნატივაც — ეგებ ერთიც დაგვეტოვებინა და მეორეც — ალავერდი სფფ-სთან ვართ.

ვარჯიშზე ბევრი არაფერი გვიხილავს. კვადრატი იყო და კვადრატი. ქართული და არა ბოსკამპისებური. აქეთ ქინქლაძე, დიდავა, ნემსაძე, ჯამარაული, გახოკიძე და კობიაშვილი დადგნენ, იქით დანარჩენები და კვადრატიც გახურდა.

თავად ბოსკამპი უჩვეულოდ ჩუმად და უხალისოდ უყურებდა ფეხბურთელების გარჯას, თანაშემწეებს ემუსაიფებოდა და დროდადრო ჟურნალისტებსაც გვათვალიერებდა ნამდვილი საფეხბურთო მწვრთნელის მედიდური მზერით.



გუშინ დილომში საქართველოს ნაკრების თორმეტმა ფეხბურთელმა ივარჯიშა

ბადრი ქათილაძის ფოტო

ვარჯიში რომ დაამთავრეს ფეხბურთელებმა, ფაქტობრივად, უგუნდოდ მყოფნი ნემსაძე და ქინქლაძე კვლავ ფრანსუა დე იონგმა დაიმარტოხელა და ადგილიდან მოწყვეტით სირბილზე ავარჯიშა. ამან თხუთმეტიოდე წუთი წაილო და, მართალი ვთქვათ, არც ქინქლაძე, არც ნემსაძე სისწრაფით სხვებს არ ჩამორჩებიან.

დაახლოებით ერთსაათიანი ვარჯიშ[illegible] ვარჯიშების გარეშე ჩაატარეს შინდისფერებმა. მერე კი ზება-ნება, თანდათანობით გაიკრიფნენ დილის ბაზის [illegible]. [illegible] „[illegible]პალას ბიჭი“ — ოთარ ხიზანეიშვილი გავიდა, მან ათიოდეჯერ დაარტყა ცარიელ კარში, ცოტათი კიდევ იმოძრავა და მერელა მიაშურა საშხაპეს.

ასე დამთავრდა საქართველოს ნაკრების ალბანეთთან შეხვედრისწინა შეკრების პირველი დღე. ცოტათი სენტიმენტალური იერიც დაჰკრავდა ამ დღეს — ვინ იცის, ეს ბოლო შეკრებაც იყოს შინდისფერებისა იოჰან ბოსკამპის ხელმძღვანელობით.

თავად იოჰანს კი ერთი მეტსახელიც უნდა ვუწოდოთ — არა სენტიმენტალისტი, არამედ ოპტიმისტი. იგი, როგორც „სარბიელს“ უთხრა, მეტად იმედიანად უყურებს მომავალს.

ის ჯანაშია კი, რომელიც იოჰან-ოპტიმისტმა საალბანეთოდ მიიწვია ნაკრებში, ნაკრებიდანვე გაგდებული ზაზა ჯანაშია არავის ეგონოს.

იოჰან-ოპტიმისტმა მეორე — ქუთაისელი დავით ჯანაშია მიიწვია. ეს მიწვევა კი უცნაურად მოხდა: ჰოლანდიელმა ახალგაზრდა ტორპედოელს, გიორგი იმედაძეს უხმო და — ის ბიჭი როგორ ფორმაშიაო — ჰკითხა. — რომელზე მეუბნებით? — კითხვა დაუბრუნა გიორგიმ. — აი, იმაზე, ჩქარა რომ დარბის... — დავით ჯანაშია? — ერთხელაც შეეკითხა იმედაძე. ბოსკამპმა თავი დაუქნია. მისმა თანაშემწეებმა მობილურები მოიმარჯვეს და...

დღეს ჯანაშია ნაკრებს შეუერთდება.

**კონსტანტინე გოგიშვილი**

# კიდეც უნდა და არც უნდა, შინ მივდივარო, ამბობს



იოჰან ბოსკამპი გია იმედაძეს დავით ჯანაშიაზე ელაპარაკება

ბადრი ქათილაძის ფოტო

*გუშინ დილმის ბაზაზე იოჰან ბოსკამპმა საქართველოს ნაკრების მწვრთნელის რანგში, მგონი, თავის ბოლო ინტერვიუ მისცა „სარბიელს“.*

*რატომღაც უჩვეულოდ წყნარი და მშვიდი ჩანდა. როგორც ყოველთვის, ამჯერადაც კარგ ხასიათზე იყო.*

*არც ინტერვიუზე დაგვზარებია, სათქმელიც ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე პირდაპირ გვითხრა. ოღონდ მომავალ, 9 ოქტომბერს ტირანაში გასამართ თამაშზე კრინტიც არ დაგვიძრავს.*

*უბრალოდ, სხვა გვქონდა ჩაფიქრებული — საქართველოში გატარებული ექვსი თვე იოჰან ბოსკამპის თვალით. საქართველოს ეროვნული გუნდის ოთხი მატჩი ბოსკამპის ხელმძღვანელობით და ესეც — მთავარი, მიდის თუ რჩება? რამდენიმე სტრიქონი ჩაიკითხეთ და ამ კითხვაზე მის პასუხსაც გაიგებთ.*

**— ოთხ დღეში საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან კონტრაქტი გიმთავრდებათ...**

— მიმთავრდება და მეც დავიხვეწებ. დავიღალე, ახლა განტვირთვა მჭირდება. მეხუთედეჯერაც ვუთავაზებ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას და მორჩა, შინ წავალ.

**— კონტრაქტის გაგრძელება რომ შემოგთავაზონ? ნაკრების მწვრთნელად დარჩენის სურვილი არ გაქვთ?**

— მსურს და არც მსურს, მაგრამ გითხარით — შინ მივდივარ.

**— დარჩენა რატომ არ გსურთ?**

— ბევრია საამისო მიზეზი. მთავარი კი ის გაუგებრობაა, საქართველოს სხვადასხვა ასაკობრივ ნაკრებთა და ეროვნულ გუნდს შორის რომ არის. ყველა ნაკრები — 21-წლამდელთა, 18-წლამდელთა, 16-წლამდელთა, უფრო პატარებიც, თავის გზით მიდის. სათამაშო ტაქტიკა ყველას სხვანაირი აქვს. არადა, უპირველესი, დამეთანხმებით, ეროვნული გუნდია. მას უნდა მოერგონ, როგორც, როგორი სისტემითაც თამაშობენ, სხვებსაც უფროსების მიბაძვა მართებთ. უკლებლივ, რამდენი ნაკრებიც არის, ყველამ მასზე უნდა იზრუნოს, ეროვნულის ინტერესების გათვალისწინებით ითამაშოს. ერთი ნაკრების მწვრთნელი თავისას ქადაგებს, მეორე — თავისას, მესამე — ასევე. აგერ ხიზანეიშვილ-ხიზანეიშვილის მაგალითი ავიღოთ, ერთი ამბავი ატეხეს, 18-წლამდელთა ნაკრებიდან ეროვნულ გუნდში როგორ მიგყავთ, ჩვენ გვჭირდებაო. ის არავის დასჭირდა, წაიყვანეთ, საჩვენოდ სხვებს მოვძებნითო. ამ ფეხბურთელებს მწვრთნელები თავიანთკენ ექაჩებოდნენ, ეროვნული არც გახსენებიათ.

**— ერთი სიტყვით, მიდიხართ? ნაკრებს ტოვებთ?**

— თუ სასწაული, გაუთვალისწინებელი რამ არ მოხდა...

*ბოსკამპი წელში გაიმართა, ხელები გაშალა, ერთიც თავისებურად ჩაიცინა. არ ვიცი, რატომ, ფრანსუა დე იონგს რალაც გასძახა და... მერე უკვე იმ მატჩების ზოგადი შეფასება ვთხოვე, ეროვნულმა გუნდმა მისი ხელმძღვანელობით რომ ჩაატარა.*

— ოთხჯერვე კარგად ვითამაშეთ, კმაყოფილი დავრჩი. ოდნავ დაბნეულები მხოლოდ სლოვენიელებთან იყვნენ ბიჭები ერთი ტაიმის განმავლობაში. სამწუხაროდ, მარტო საბოლოო შედეგი დამრჩა, არაფრისგან გავუშვით გოლები. გაიხსენეთ ნორვეგიასთან თამაში ოსლოში, ნაკრები სულ სამჯერ მყავდა ნავარჯიშევი. გაიხსენეთ თბილისში ბერძნებთან წაგებული მატჩი და ლატვიელებთან ფრე. ნუთუ ცუდად ვითამაშეთ. შინ არ ვიმსახურებდით ორჯერვე გამარჯვებას?

**— ისე გამოდის, თითქოს ყველაფერი უილბლობის ბრალი იყო...**

— არც უამისობაა. ბედიც არ გვწყალობდა, მაგრამ... აბა, უილბლობაა არ არის, ბერძნებთან და ლატვიელებთან ბოლო წუთებზე რომ დავკარგეთ ქულები?

**— თამაში რომ მსაჯის სასტვენამდე გრძელდება?**

— უილბლობა არ იყო, ორივე თამაშში ათამდე რეალური საგოლე მომენტი რომ გავაცუდეთ? თუმცა ასეა, არ უნდა მოვდუნებულიყავით, ვერც ერთ მატჩში ვერ მოვახერხეთ ძალის სათანადოდ კონცენტრირება. ნორვეგიასთანაც ეს გვაკლდა, სლოვენიაშიც, ბერძნებთან და ლატვიელებთანაც. ბედზე აღარაფერს ვამბობ, მთავარი მიზეზი სწორედ ეგ იყო, ძალა ვერ მოვიკრიბეთ.

როცა გუნდი თამაშს იგებს, ათასი ხერხია ანგარიშის შესანარჩუნებლად. ყველაფერის სწავლას დრო სჭირდება. აბა, გაიხსენეთ, ნაკრების მცველები ხაზზე ვერ ითამაშებენო, რომ ამბობდით. როგორ ითამაშეს ლატვიასთან? ფაქტობრივად პირველ ტაიმში შეცდომა არ დაუშვიათ. სწავლას კი დრო უნდა. საქართველოში კი ისეთი ფეხბურთელები არიან, სწავლა-დახვეწა არაფრისა გაუჭირდებათ.

**— ხომ არ ფიქრობთ, რომ ფეხბურთელები ვერ მოერგნენ თქვენეულ ტაქტიკას და ქულების დაკარგვის მიზეზი ესეც იყო?**

— მე ისეთი არაფერი გამიკეთებია, მით უმეტეს, არაფერი გამომიგონია, რომ ფეხბურთელებს ვერ გაეგოთ, რას ვთხოვდი ისეთს? ქართველ ფეხბურთელებს, ხომ გითხარით, არაფერი გაუჭირდებათ. მათ დიდი პოტენცია აქვთ, მთავარია, საქმისადმი სწორი მიდგომა, სწორი ორგანიზაცია. ბევრი ქვეყანა ვერ დაიკვეხნის ისეთი ფეხბურთელებით, როგორებიც საქართველოში არიან.

**— ადრე, ჩვენი პირველი შეხვედრისას, რომ თქვით, კლუბში უთამაშებელ ფეხბურთელებს ნაკრებში არ გამოვიძახებო, სიტყვას რად გადახვედით?**

— ახლაც ამ აზრზე ვარ. ეგ კი მაშინ ვთქვი, როცა კიდევ იყო მეორეობისა და პლეი ოფში თამაშის შანსი. ახლა ამას რაღა აზრი აქვს. დღეს ვფიქრობ, კარგ საქმეს ვაკეთებ, ეს საქართველოს მომავალში გამოადგება. ნემსაძე, ქინქლაძე, სხვებიც, ვინც კლუბში არ თამაშობს, ძალიან მაღალი დონის ფეხბურთელები არიან და მათი უგუნდოდ ყოფნა საცოდაობაა.

**— ცოტა უხერხული კითხვაა, მაგრამ ქართველი ფეხბურთელებიდან მაინც ვის გამოარჩევდით, ვინ გაგიმართლათ იმედები, ვინ გაგიცრუათ?**

— ვთქვი, ძალიან ძლიერი ფეხბურთელები არიან საქართველოში. ლეგიონერებზე აღარაფერს ვამბობ. არველაძეები, ქინქლაძე, ქეცბაია, ჯაკობია, ჯამარაული, ყაველაშვილი, ნემსაძე, ნებისმიერ გუნდს დაამშვენებდნენ. ეროვნულ ჩემპიონატში ხიზანეიშვილი, ხიზანიშვილი, იმედაძე, დილმელაშვილი გამოირჩევიან და დარწმუნებული ვარ, მალე მათაც ძლიერი უცხოური კლუბები მიიწვევენ. ქართველ ფეხბურთელებს უფრო იოლად შეუძლიათ რაიმე წარმატების მიღწევა, ვიდრე სხვებს. აქ ნიჭირები არიან და იმიტომ. სამწუხარო კი ისაა, ამ ბიჭებს თავგზას რომ უბნევენ. ერთი მწვრთნელი ფეხბურთელს ლიბეროდ ათამაშებს, მეორე თავდამსხმელად, მერე ისევ უკან ჩამოსწევს. ფეხბურთელმა აღარ იცის, რა ქნას, ამით მისი პოტენცია იკარგება. მათ ველარ გაუგიათ, სად ითამაშონ.

**— საქართველოში ექვსი თვის მუშაობის მანძილზე ყველაზე მეტად რამ გაგაკვირვათ?**

— მენტალიტეტმა...

*როცა ბოსკამპი ეროვნული გუნდის მწვრთნელად დანიშნეს, მას მენტალიტეტზეც ვკითხე, ქართველების მენტალიტეტთან შეგუება არ გაგიჭირდებათ ჰოლანდიელ კაცს-მეთქი? მიპასუხა, რატომ უნდა გამიჭირდეს, ყველანი ხომ ადამიანები ვართო. ახლა კი... ბოსკამპმა ისევ გულიანად გადაიხარხარა.*

**— კონკრეტულად, რას გულისხმობთ?**

— საფეხბურთო მენტალიტეტს.

**— უფრო კონკრეტულად?**

— დისციპლინას. როგორც უნდათ, ისე იქცევიან. ვეუბნები ფეხბურთელებს, ათის ნახევარზე ბაზაზე შევიკრიბებით-მეთქი და ათ საათზე მოდიან. მიკვირს, შეიძლება ასე? მწვრთნელი რომ გეუბნება, ესე იგი ასეა საჭირო. ეს ერთი მაგალითია უდისციპლინობის, ყველაფერის ჩამოთვლას ახლა არ დავიწყებ. ჯანაშიას საქციელი მოგეწონათ, შეკრებაზე ორი დღე რომ დააგვიანა? ერთი მეორეს ემატება, მეორეს მესამე და გუნდიც ირევა. არეული გუნდი კი, ჩემი თქმა რად უნდა, ვერაფერს მიაღწევს. ამ მხრივ ეროვნულ გუნდში პრობლემა არ არის, აქ უმეტესობა ლეგიონერები არიან და მათ კარგად იციან თავიანთი საქმე.

**— ქართული ფეხბურთის მესვეურთ სამომავლოდ რას ურჩევთ?**

— რა უნდა ვურჩიო. შუიდან საქმე არავის დაუწყია. რასაც აკეთებ, უპირველესად იმას საფუძველი უნდა ჩაუყარო და მერე ააშენო. საქართველო ტალანტების ქვეყანაა და ძალიან მსურს, ყველაფერს სწორი ორგანიზაცია გაუკეთოთ.

**— და ერთიც. 9 ოქტომბრის მერე რას გააკეთებთ? სად იმუშავებთ?**

— ცოტა ხანს დავისვენებ. მერე ვნახოთ.

**კობა ინასარიძე**



გიორგი ქინქლაძე

# ქინქლაძეს კომპანია ტექსას გრუპი ყიდულობს

## ამ კომპანიის მეპატრონე შეფილდ იუნაიტედის პრეზიდენტი მაიკ მაკდონალდსია

როგორც გუშინ დიდი ბრიტანეთიდან მოსული ინფორმაცია ცხადყოფს, 9 ოქტომბერს, ტირანაში, ალბანეთ — საქართველოს თამაშის შემდეგ ბოლო მოელება ქართული ფეხბურთის ჩამქრალი ვარსკვლავის (იმედი გვაქვს, დროებით), 26 წლის გიორგი ქინქლაძის ტანჯვას ამსტერდამის „აიაქსის“ სარეზერვო გუნდში.

„აიაქსიდან“ „შეფილდ იუნაიტედში“ გიორგი ქინქლაძის გადასვლა თითქმის გადაწყვეტილია — აცხადებს ინფორმაციის ავტორი ჟურნალისტი ჯონ დრეიტონი.

„აიაქსს“ კიდევ მილიონი გირვანქით დაუგდია ქინქლაძის ფასი. 5,5 მილიონ გირვანქად ნაყიდ ქართველს ამსტერდამელები ახლა 2,5 მილიონად ჰყიდიან.

როგორც წინა შაბათს გაცნობეთ, „შეფილდს“ ამხელა ფული არ ჰქონდა და დღესაც არა აქვს. გიორგი ქინქლაძეს „შეფილდ იუნაიტედი“ არც ყიდულობს. 2 509 000 გირვანქას ქართველში კომპანია „ტექსას გრუპი“ იხდის, რომლის მეპატრონეც „შეფილდ იუნაიტედის“ პრეზიდენტი მაიკ მაკდონალდსია. ტრანსფერის განხორციელების შემდეგ სწორედ აღნიშნული კომპანია მიაქირავებს ქინქლაძეს „შეფილდ იუნაიტედს“.

„ტექსას გრუპი“ უზრუნველყოფს იმას, რომ ქინქლაძეს „შეფილდ იუნაიტედში“ ყველაზე მაღალი ხელფასი — კვირაში 20 000 გირვანქა ჰქონდეს.

თუ ამგვარი ტრანსფერები ქართული ფეხბურთისთვის უცხოა, ევროპასა და სამხრეთ ამერიკაში ტრანსფერის არსი მარტივია. კლუბი, რომელიც ამა თუ იმ ფეხბურთელითაა დაინტერესებული, მაგრამ საშუალება არა აქვს, მასზე უფლებების მქონე მეორე კლუბს მოთხოვნილი თანხა გადაუხადოს, დახმარებისთვის პარტნიორ კომპანიას ან ფირმას მიმართავს. უკანასკნელი ფეხბურთელს ყიდულობს და კლუბს მიაქირავებს, რაშიც ყოველთვიურად გარკვეულ დივიდენდს იღებს.

არ არის გამორიცხული, „შეფილდმა“ „ტექსას გრუპი“ ქინქლაძის გამოსყიდვის მიზნით ორმაგი დივიდენდი გადაუხადოს. გასულ კვირაში „შეფილდის“ თავკაცმა ადრიან ჰითმა ასეთი განცხადება უკვე გააკეთა.

ჰითი ვარაუდობს, რომ „ტექსას გრუპი“-სთვის გადასახდელ დივიდენდს დამატებით იმ 2000 მაყურებლის შეძენით მიიღებს, რომელიც „ბრომენ ლოუნზე“ ქინქლაძემ უნდა მიიზიდოს.

ტრანსფერის განხორციელება იმაზეცაა დამოკიდებული, თუ როგორ გამოავლენს ქინქლაძე ჩვეულ თვისებებს ალბანელებთან შეხვედრაში. შესაძლოა სწორედ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ აიძულა იოჰან ბოსკამპი, უთამაშებელი ქინქლაძე ნაკრებში მიეწვია. ამით ფედერაცია, რა თქმა უნდა, ქინქლაძის ინგლისში დაბრუნებას უწყობს ხელს.

ძალიან ბევრ რამეს თავად გიორგი ქინქლაძის პასუხი გადაწყვეტს. ფეხბურთელმა უნდა მოიფიქროს, სურს თუ არა, რომ არა საფეხბურთო კლუბის, არამედ კერძო კომპანიის საკუთრება იყოს. ეს სულ სხვა იურიდიული საკითხია და სხვაგვარი ნორმატიული აქტებით რეგულირდება.

მართალია, საფეხბურთო ბაზარს ასეთი კონტრაქტების მრავალი წარმატებული პრეცედენტი ახსოვს, მაგრამ გამონაკლისებიც არის. მაგალითად, ორი თვის წინ მოსკოვის „სპარტაკმა“ ბულგარეთის „სლავიიდან“ ეროვნული ნაკრების ფეხბურთელის, ბაჩევის შეძენა განიზრახა. ბაჩევიც და „სლავიაც“ თანახმა იყვნენ, თუმცა კონტრაქტი მაინც ჩაიშალა, რადგან ბაჩევზე უფლებას ერთ-ერთი ესპანური კომპანია ფლობდა, რომელსაც ფეხბურთელის ესპანურ კლუბებში გაყიდვა უფრო სურდა, ვიდრე რუსეთში.

**სიმონ მენაბდე**

# დინამო იხდის

თბილისის „დინამოს“ მიერ „TBC-ბანკიდან“ გამოტანილი კრედიტისა და კარგა ხანს ფულის უკან არდაბრუნების თაობაზე ერთი ამბავი რომ იყო ატეხილი, ალბათ გეცოდინებათ.

TBC კრედიტის სანაცვლოდ დაგირავებულ დიღმის საწვრთნელ ბაზის აუქციონზე გაყიდვასაც აპირებდა, მაგრამ ბანკი და კლუბი ოქტომბრის დამდეგს შეთანხმდენ, 2 ოქტომბრამდე ვალი გასტუმრებული იქნებოდა.

როგორც შევიტყვეთ, ამ საქმეში შინაგან საქმეთა სამინისტროც კი ჩარეულა — TBC-ის შეუთვალეს, ბაზის უჩვენოდ აუქციონზე გაყიდვა არ შეგიძლიათო.

ახლა ამაზე, უფრო სწორად ყიდვა-გაყიდვაზე, [illegible] უკვე აღარ ლაპარაკობენ. საქმე ისაა, რომ „დინამოს“ „TBC-ბანკისთვის“ დასაბრუნებელი საკრედიტო თანხის ნახევარზე მეტი უკვე გასტუმრებული აქვს. მათ რამდენიმე ათასი დოლარიღა დარჩენიათ ბანკისთვის ჩასარიცხი და ხელახალი მოლაპარაკების საფუძველზე ბოლო ვადა 22 ოქტომბრამდე ჰქონიათ. უახლოეს დღეებში დარჩენილ ვალსაც გავისტუმრებთო — გვითხრეს „დინამოში“

**კოგა ინასარიძე**

# არსენალის მწვრთნელები დაითხოვეს, გუნდი ბათუმში რატომ წაიყვანეთო

— უკვე მერამდენე ტყუილი, ცრუ დაპირებანი. კლუბის ხელმძღვანელობას დაუსჯელობის სინდრომი გაუჩნდა. სურთ, ძალად ჩაშალონ ჩემპიონატი — აღშფოთებას ვერ მალავენ თბილისის „არსენალის“ ფეხბურთელები.

გუშინ „არსენალის“ სტადიონზე, ავლაბარში, საღამოს 5 საათზე ფეხბურთელებისთვის კუთვნილი დავალიანება უნდა გაესტუმრებინათ, ამავე დროს პრეზიდენტი და ვიცე-პრეზიდენტი გუნდს უნდა შეხვედროდა, მაგრამ... შეხვედრა არ შედგა.

გუშინვე „ისანზე“ დათქმულ დროს მისულთ მხოლოდ „არსენალის“ 5 ფეხბურთელი დაგვხვდა.

გუნდის დილის ვარჯიშზე გამხდარა ცნობილი, რომ წინა დღეს ნათქვამი ლიტონი სიტყვები ყოფილა და, ბუნებრივია, აზრიც არ ჰქონდა საღამოს მისვლას. იცოდნენ, მაინც არავინ მოვიდოდა. ის 5 ფეხბურთელიც იმიტომ მისულა „ისანზე“, რომ მიზეზთა და მიზეზთა გამო დილის ვარჯიშს არ ესწრებოდნენ.

ხელმძღვანელებმა ხმა გაავრცელეს, როდესაც კლუბის დირექტორი ბანკში ფულის გამოსატანად მივიდა, უთხრეს, თქვენს ანგარიშზე ფული შეცდომით მოხვდა, თანხა მოსკოვშიაო, მაგრამ ფეხბურთელებს ამისიც არ სჯერათ, ყველაფერი ფარსია, კლუბის ხელმძღვანელობას სურს, თავისი გაიტანოს, ძალად ჩაშალოს ჩემპიონატიო.

„არსენალის“ უფროსობას თურმე არც ფეხბურთის ფედერაცია ეხატება გულზე. არავითარი ურთიერთობა არ გვსურს, ჩვენ ეს ხალხი არ გვაინტერესებსო.

და კიდევ, რომ არა „არსენალის“ მწვრთნელების, მამუკა გეგეჭკორისა და მერაბ თევზაძის ძალისხმევა, გუნდი ბათუმში ჩემპიონატის კალენდარული მატჩის ჩასატარებლად ვერც კი წავიდოდა.

მწვრთნელებს კი ყურმოკვრით უფროსობის შემონათვალი შეუტყვიათ, რადგან გუნდმა ბათუმში მაინც ითამაშა, მამუკა გეგეჭკორი და მერაბ თევზაძე გათავისუფლებულნი არიან დაკავებული თანამდებობიდანო.

ერთი სიტყვით, ესაა. „არსენალი“ ისევ გაურკვევლობაშია, თუმცა ერთი რამ მაინც გადაწყვეტილი აქვთ, გუნდი არავითარ შემთხვევაში არ დაიშლება, გამორიცხულია. ავად თუ კარგად, ჩემპიონატის პირველ ეტაპს აუცილებლად ჩაამთავრებენ.

**გიორგი ვაშაკიძე**



ნეტავ რას აპირებს არმიელთა მთავარსარდლობა?

# ქართველი ახალგაზრდები რევანშისთვის ემზადებიან

ერთი მატჩიც და ეს შესარჩევი ეტაპი საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებისთვისაც ისტორიის კუთვნილება გახდება. სამწუხაროდ, ეროვნული გუნდის მსგავსად ვერც ახალგაზრდებმა მიაღწიეს მიზანს. 2000 წელს სიდნეიში გასამართი მსოფლიოს ოლიმპიური თამაშები ჩვენი ახალგაზრდების გარეშე ჩაივლის. თუმცა ეროვნულისგან განსხვავებით, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ბოლოდროინდელი შედეგები მცირე იმედს გვინარჩუნებს.

მურთაზ ხურცილავას შეგირდებს აგერ უკვე ოთხი მატჩია, არ წაუგიათ. ზედიზედ სამ ფრეს ახალგაზრდებმა ლატვიასთან გამარჯვება მოაყოლეს.

ამ წარმატებულ სერიას კი წინ ის თამაშები უძღოდა, რომელმაც ახალგაზრდულ ნაკრებს სიდნეიში მოხვედრის შანსი გადაუწურა. წარუმატებლობა გასული წლის 4 სექტემბერს დაიწყო — ჩვენი გუნდი თბილისში „ეროვნულ“ სტადიონზე ბოლო წუთებში გაშვებული გოლის წყალობით ალბანელ თანატოლებთან 0:1 დამარცხდა. ის წაგება ფაქტობრივად სენსაცია იყო, რადგან ალბანელებთან ყველა იოლ გასეირნებას ელოდა. ახლა კი ჩვენებს შურისძიების საშუალება მიეცემათ. მიმდინარე შესარჩევი ციკლის ბოლო მატჩს საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები ალბანეთში გამართავს.

როგორც ეროვნული, ისე ახალგაზრდული გუნდი ტირანას ხვალ, შვიდ ოქტომბერს ეწვევა. მანამდე კი ნაკრების მწვრთნელები — მურთაზ ხურცილავა და ვახტანგ კოპალეიშვილი თბილისში ამზადებენ გუნდს. ხურცილავამ ფეხბურთელები გუშინწინ შეკრიბა, თუმცა არასრული შემადგენლობით. კობა წიტაიშვილს და ზურაბ ხიზანიშვილს ტრავმები აწუხებთ და ალბანეთშიც ვერ გაჰყვებიან გუნდს, ასევე ტრავმირებულია გიორგი ლომაია, მაგრამ მწვრთნელთა გადაწყვეტილებით, იგი ალბანეთში მაინც გაემგზავრება. ოთარ ხიზანეიშვილი და გიორგი იმედაძე კი იოჰან ბოსკამპმა მიიწვია პირველ ნაკრებში. კიდევ სამი ფეხბურთელი — ზურაბ ბათიაშვილი, ვალერი აბრამიძე და გიორგი შაშიაშვილი დისკვალიფიკაციის გამო ვერ ითამაშებენ. ხურცილავამ დანაკლისის შევსების მიზნით „ვიტ ჯორჯიიდან“ უხმო სამ ფეხბურთელს. მცველები ჯაბა მუჯირი და გიორგი ჭანკოტაძე და ნახევარმცველი ლაშა ნოზაძე ნაკრებს გუშინ შეუერთდნენ. ასევე გუშინ ჩამოვიდა სოჭის „ჟემჩუჟინას“ ქართველი მეკარე დავით ხმელიძეც.

„სხვა მხრივ ახალგაზრდულ ნაკრებში ყველაფერი რიგზეა. გუნდი რევანშისთვის ემზადება და სათანადოდაა განწყობილი. გვსურს, ალბანელებს სამაგიერო გადავუხადოთ, თანაც ტირანაში გამარჯვებით მესამე ადგილზე გავალთ, რითაც პრესტიჟს შევინარჩუნებთო“ — აღნიშნა გუშინ ჩვენთან საუბარში ვახტანგ კოპალეიშვილმა. იმედია, ფეხბურთელები მწვრთნელებს გაუმართლებენ და წარმატებულ სერიას ხუთამდე აიყვანენ. ალბანეთში კი ახალგაზრდებს წარმატებად მხოლოდ გამარჯვებას ჩავუთვლით.

ხვალ ტირანაში ეს 18 ფეხბურთელი გაემგზავრება:

მეკარეები: *დავით ხმელიძე, გიორგი ლომაია;*

მცველები: *არჩილ სახვაძე, რევაზ ქემოკლიძე, თორნიკე რუხაძე, ედიკ საჯაია, ჯაბა მუჯირი, გიორგი ჭანკოტაძე;*

ნახევარმცველები: *ოლეგ გველესიანი, ლადო ბურდული, ვალერი გაგუა, გივი კვარაცხელია, რატი ალექსიძე, ბესიკ თედორაძე, ლაშა ნოზაძე;*

თავდამსხმელები: *გიორგი შენგელია, ლევან მელქაძე, ლევან შავგულიძე*

**ვანო ოქროპირიძე**

საქართველოს ჩემპიონატი **7 ტური**

# მასპინძელთა მხიარული...

თექვსმეტგუნდა ორზონიანის პირველი წრის ბოლო ტური მასპინძლებისთვის რეკორდულად მხიარული გამოდგა — რვავე შეხვედრაში დამხვდურებმა იმარჯვეს. ეს ტური იმითაცაა აღსანიშნავი, რომ ნავსი გატეხა „სინიორ ნოლით ნოლმა". ჯანი კარნევალეს „ბათუმმა", როგორც იქნა, გოლი გაიტანა და აქტივში მეორე გამარჯვება ჩაიწერა. ნიკა ტოგონიძეს კი უკვე 523 წუთია, საკუთარ კარში ბურთი არ გაუშვია და თუკი კატენაჩოშეყრილმა ზღვისპირელებმა ასე გააგრძელეს, კიდევ კარგა ხანს არ გაუშვებს გოლს.

კიდევ მოხდა ამ ტურში საყურადღებო რაღაცეები — პირველად მოიგეს „მერანმა" და თსუ-მ, ხოლო სამტრედიის „ეროსი მანჯგალაძე" იმგვარად მორთულ-მოკაზმული დაახვედრეს მორიგ ტურს, სტადიონზე მეტად პატარძალს ჰგავდა.

ეს ტური წლევანდელი ჩემპიონატის სხვა ტურთაგან იმითაც იყო გამორჩეული, რომ არნახული რაოდენობის გოლი გავიდა, სულ 28. აქედან 22 მასპინძლებმა გაიტანეს, 6 კი სტუმრებმა. ამ შეფარდებიდანაც კარგად ჩანს, რაოდენ არ დაინდეს სტუმრები თბილისში, მცხეთაში, სამტრედიაში, ბათუმში, ქუთაისში...

ტურის მატჩების მიმოხილვა სტადიონმოკაზმული „იბერიის" სეზონში მეორე გმირობით დავიწყოთ — ივეჩიანმა და ხმალაძემ პირველივე ტაიმში მოუთავეს ხელი ხობელებს და „იბერიამ" ამ მოგებით სანუკვარ მეოთხე ადგილამდე აინაცვლა. თუმცა, მოგების მიუხედავად, ერთი რამ მაინც უნდა აღინიშნოს — სამტრედიელები ნამდვილად ვერ ტოვებენ ოთხეულში გამსვლელი გუნდის შთაბეჭდილებას (აქამდე მაინც) და გვარიანი ოფლისღვრა დასჭირდებათ, რათა ზემოხსენებული ადგილი შეინარჩუნონ. „ხობი" კი... „ხობი" ქების ღირსია, 4 წაგების მიუხედავად, ყველა შეხვედრაში ბოლომდე იბრძვის და თანამედროვე ფეხბურთიც ხომ ბრძოლაა.

„მერანმა" არხეინ და ბედის ნებიერა „დილას" მოუგო. მიეცით გორელებს ხელფასები და თუ არქიმედესავით მთლად სამყაროს არა, საფეხბურთო სამყაროს მაინც ამოაბრუნებენ. იშვიათად თუ გვინახავს ამგვარად ინერტული ქართლელები, მაგრამ უფულობა თავისას ერეკება და რა გინდა, ქნა. გორელების გასამხნევებლად ამას ვიტყვით — უფულობამ და ზრდილობამ გაგვწყვიტა ქართველები, თორემ თათარზე მეტი ვიყავით. ამიტომ არ უნდა გაიტეხოს გული „დილამ". ჯერ ერთი, ახლა ყველას უჭირს და მეორეც, სადაა გორელი გულშემატკივრის მსგავსი ქომაგი, ამ ხალხს სხვანაირი დაფასება უნდა. „მერანი" კი... „მერანზე" რა უნდა ითქვას — გაჭენდა და გაჭენდა.

უნივერსიტეტელები „გორდას" თავზე დაეკიდნენ დამოკლეს მახვილივით — სწორედ რუსთაველებს აძრეს პირველი სკალპი კოტე დოლიძის მოსწავლეებმა და პირველად გაიხარეს გამარჯვებით. ამ მოგებით თსუ სამი საფეხურით ამაღლდა და ახლა „გორდა" ამოიდო ქვეშ. რაც შეეხება რუსთაველთა ნიჭიერ შემადგენლობას, უთუოდ უნდა მოუმატონ, თორემ ოთხეულში მოხვედრის შანსი, დროსთან ერთად, საპნის ბუშტივით უქრებათ და აფსუსია.

ეროვნულზე მოსიარულე „თბილისმა" და „სამგურალმა" იმდენი გოლი გაიტანეს, კიდევ ერთ მატჩს თავისუფლად ეყოფოდა. ახალგაზრდა თბილისელები ნამდვილად ყველაზე სანახაობრივ და ჯიგრიან ფეხბურთს თამაშობენ, მაგრამ მათი ფიზიკური მომზადება ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს და თუ ასე გააგრძელეს, ფეხბურთის ახალი სახეობა — მინდორზე წამოწოლილ მდგომარეობაში ბურთაობა შეგვრჩება ხელთ. ამ მატჩში მასპინძლებს სტუმრებმაც აუბეს მხარი და გუნდის ექიმებს იმდენჯერ მოუხდათ მინდორზე შესვლა-გამოსვლა, იწვოდა ოქტომბრის მზე მათი საცოდაობით.

„ლოკომოტივი" ჩიხშია, მეტიც, ტრანსშია. ამჯერად „ვიტ ჯორჯიამ" დაიდო მისი ცოდვა. გუნდი, რომელიც შარშან თითქმის არ უშვებდა გოლებს, ახლა „ა" ზონის იმ სამეულშია, ყველაზე მეტი ბურთი რომ მიუღია საკუთარ კარში. ამჯერადაც სამი ბურთი გაუშვეს მახარაძემ და კომპანიამ. რკინიგზელთა საშეფოში შინააშლილობამაც იჩინა თავი, მესვეურები სფფ-ს ებუტებიან და რა და როგორ იქნება, აღარავინ იცის. ვეტერინარები კი კვლავ მეორენი არიან და მათი ოთხეულში გასვლა თითქმის უეჭველია.

„ბათუმზე" მიმოხილვის დასაწყისშივე ვთქვით. სასაცილოდ ცოტა გააქვთ აჭარლებს, მაგრამ დაუჯერებლად ცოტას უშვებენ. ამიტომაც ეყოთ შვიდ ტურში სამი გოლის გატანა მესამე ადგილზე დასამკვიდრებლად და თერთმეტი ქულის მოსაგროვებლად ჯანი კარნევალეს დამოძღვრილებს. მიღებულ-გატანილი ბურთების უცნაური შეფარდებით „ბათუმი" უთუოდ მსოფლიოს რეკორდსმენია. ამას ხმამაღლა ვაცხადებთ.

დაბოლოს, ჰაერში გამოკიდებული, ვალებმოწოლილი, რეგისტრაციის ვადაგასული და რაღაც უცნაურის მომლოდინე „დინამოს" მორიგი გამარჯვების შესახებ — ამჯერად „სიონი" ემსხვერპლა ათგზის ჩემპიონს. ეს მისთვის რიგით მეხუთე გამარჯვებაა და ეტყობა, სატურნირო კრიზისი უკან დარჩა.

„სიონი" კი ჯერაც არ არის ის გუნდი, გასვლებზეც ისეთივე შიშის ზარი დასცეს მეტოქეს, როგორც შინ, „თემურ სტეფანიაზე", მაგრამ, მიუხედავად ამ ყველაფრისა, მას ჯერაც არ დაუკარგავს ოთხეულში მოხვედრის შანსი. კონკურენტებთან განსხვავება მიზერულია და ვნახოთ.

ეს იყო და ეს. ამ პერიპეტიებს და მიღებულ-გატანილ ბურთებს გუნდებმა ოცდაორი ყვითელი (აუუ, რა ამბავია) და ერთიც წითელი დაუმატეს ზედ. არც ტაში და ოჰოჰოია დაუკლიათ ერთმანეთისთვის და მართლაც რომ მეგობრულად დაშორდნენ.

მეგობრულად და მასპინძლებისთვის მხიარულადაც. ხუმრობაა, რვავე მატჩი მათ მოიგეს.

**კონსტანტინე გოგიშვილი**



„თბილისი" — „სამგურალი" 5:2. თბილისელი მეკარე ალექსანდრე ჩიხრაძე და მცველი ვალერი აბრამიძე დუბლის გამტანი წყალტუბოელი თავდამსხმელის მერაბ ძოძუაშვილის (მარჯვნივ) შეჩერებას ცდილობენ

### სიმბოლური ნაკრები

ზურაბ იონანიძე (ტორპედო) — გიორგი მეგრელაძე (ტორპედო)

გივი კვარაცხელია (თბილისი) — გიორგი ყიფიანი (ვიტ ჯორჯია) — გიორგი გოგიაშვილი (ტორპედო) — კახა წუწუნავა (თსუ)

ჯაბა მუჯირი (ვიტ ჯორჯია) — ირაკლი მაღლაკელიძე (ტორპედო) — სევასტი თოდუა (ვიტ ჯორჯია) — ზაზა ზამთარაძე (თბილისი)

თემურ ჩლაიძე (არსენალი)

გუნდი: ვიტ ჯორჯია

მწვრთნელი: სერგო კოტრიკაძე ვიტ ჯორჯია

## «ა» ზონა

ბათუმი
2 ოქტომბერი
16 საათი
დინამო
500 (ტევადობა 20 000)

### ბათუმი 1:0 არსენალი

1:0 მუჯირი (5)
**ბათუმი:** ტოგონიძე, ი. მახარაძე, პაპიძე, მ. მახარაძე, ქაცარავა, ა. მუჯირი, კობიძე, გელა ქორიძე (რომანაძე 83), მაჭუტაძე, ტულუში (აფხაზავა 80), გადელია (თედორაძე 58)
*სათადარიგონი:* მალაყმაძე; სიხარულიძე, ფირცხალაიშვილი
**არსენალი:** ჩლაიძე, ცოტაძე (ვ. ლუდუშაური 30), ასპინძელაშვილი, ირემაშვილი ყუფარაძე, გ. სულაძე, ხოსროშვილი, თარგამაძე, რობაქიძე, გონჩაროვი, კვირკველია (ვახტანგ გაგუა 46)
*სათადარიგო:* კუპატაძე
**გაფრთხილება:** თედორაძე (85), პაპიძე (89)
**გაძევება:** ირემაშვილი (58)
**მსაჯები:** პ. დოგრაშვილი; ნ. რუსიშვილი (ორივე ქუთაისი), ლ. მიქელაძე (სამტრედია); მ. ნაკაიძე (ლანჩხუთი)
**სფფ-ის დელეგატი:** ა. ბაჩუკაშვილი

თბილისი
2 ოქტომბერი
16 საათი
ეროვნული
1 000 (ტევადობა 75 000)

### თბილისი 5:2 სამგურალი

1:0 კვარაცხელია (2), 1:1 ძოძუაშვილი (8), 2:1 მელქაძე (27), 2:2 ძოძუაშვილი (31), 3:2 მიქაძე (37), 4:2 კვარაცხელია (66), 5:2 მიქაძე (73)
**თბილისი:** ა. ჩიხრაძე, რუხაძე, ზ. ხიზანიშვილი (ი. შენგელია 56), აბრამიძე, ზამთარაძე, ო. გველესიანი, კვარაცხელია (ებრალიძე 78), ქემოკლიძე, გ. მიქაძე (ნორაკიძე 74), ვალერი გაგუა, ლ. მელქაძე
*სათადარიგონი:* ბედიაშვილი; ტყებუჩავა, ენუქიძე, ისიანი
**სამგურალი:** ო. ბობოხიძე (ბოდოკია 46), ჭელიძე, ფრანგიშვილი, ლ. ქობულაძე, ვოსკანოვი, სადილიანი, სუხიაშვილი, კოხრეიძე (ზ. ქუთათელაძე 56), ძოძუაშვილი, ფხაკაძე, ლონლაძე (პეტრიაშვილი 46)
*სათადარიგონი:* გაბლაია, ჯავახაძე, ნებიერიძე, კოპალიანი
**გაფრთხილება:** მელქაძე (5), ჭელიძე (14), რუხაძე (16), ფრანგიშვილი (27), მიქაძე (45)
**მსაჯები:** ა. შილაკაძე; ვ. ჩოჩიშვილი, ლ. სილაგავა; მ. მაისურაძე (ყველა თბილისი)
**სფფ-ის დელეგატი:** გ. ძამუკაშვილი

თბილისი
3 ოქტომბერი
16 საათი
ეროვნული
3 000 (ტევადობა 75 000)

### დინამო 3:0 სიონი

1:0 წიტაიშვილი (7), 2:0 აშვეთია (63), 3:0 ალექსიძე (77)
**დინამო:** დონდტი, ხიზანეიშვილი (კობიაშვილი 41), დიდავა, ვაშაკიძე (შაშიაშვილი 75), ა. სახვაძე, სიჭინავა, გ. შენგელია (პ. ჯინჭარაძე 54), ანჩაბაძე, ალექსიძე, წიტაიშვილი, აშვეთია
*სათადარიგონი:* გრიშიკაშვილი; ზირაქიშვილი, ვ. გიგიაძე, ღლონტი
**სიონი:** ვოლკოვი, კ. გოდერძიშვილი, შაკიაშვილი, დ. სვანიძე, დიმიტრიშვილი (მ. სამხარაძე 64), მ. გოგოლაძე, მოსეშვილი, ტარულაშვილი, თ. სამხარაძე (დ. ჯაფარიძე 66), დათუაძე, დ. გოდერძიშვილი (ლ. გაგუა 66)
*სათადარიგონი:* დალაქიშვილი; ი. კაპანაძე, ჩაგელიშვილი, ფ. არჩვაძე
**გაფრთხილება:** დიმიტრიშვილი (5), კ. გოდერძიშვილი (50), შაკიაშვილი (58)
**მსაჯები:** ლ. ფანიაშვილი (თბილისი); გ. ასკაროვლი, გ. მარლიშვილი (ორივე ქარელი); ს. შალამბერიძე (თბილისი)
**სფფ-ის დელეგატი:** ა. დურსუნიში

მცხეთა
3 ოქტომბერი
16 საათი
არმაზი
1 000 (ტევადობა 3 000)

### ვიტ ჯორჯია 3:1 ლოკომოტივი

1:0 ყიფიანი (33), 1:1 ჩომახიძე (52), 2:1 ნოზაძე (58), 3:1 ქორიძე (85)
**ვიტ ჯორჯია:** მამარდაშვილი, ჯ. მუჯირი, ხართიშვილი, ბარქაია, თოდუა, ზ. გვაზავა, ლ. ნოზაძე, დ. დოლიძე (საჯაია 65), ყიფიანი (მაზიაშვილი 85), გიორგი ქორიძე, რ. გოცირიძე (დილმელაშვილი 65)
*სათადარიგო:* ვ. გოჩაშვილი
**ლოკომოტივი:** ასლანაძე, ბალაშვილი, ბაქრაძე (ბარნოვი 46), ლ. მიქაძე, გ. ჩიხრაძე, მ. ქობულაძე, ჩომახიძე, რუსია, ქებაძე, წივწივაძე (შავგულიძე 34, კ. მელქაძე 62), კაციაშვილი
*სათადარიგონი:* დ. ჯანელიძე, გილაური, ვ. გველესიანი, ბერაძე
**გაფრთხილება:** რუსია (8), დილმელაშვილი (69), მიქაძე (90)
**მსაჯები:** ს. კახიანი; ა. მეშკოვი, ზ. ჯვარიძე; დ. ხარიტონაშვილი (ყველა თბილისი)
**სფფ-ის დელეგატი:** შ. ხინჩაგაშვილი

## «ბ» ზონა

სამტრედია
2 ოქტომბერი
16.08 საათი
ეროსი მანჯგალაძე
500 (ტევადობა 14 000)

### იბერია 2:1 ხობი

1:0 ივეჩიანი (35), 2:0 ხმალაძე (39), დანელია (86)
**იბერია:** ვარდანიძე, ბიწაძე, ნიკოლეიშვილი, გეგეშიძე, მიქელთაძე, მუმლაძე, მ. ჯინჭარაძე (ხურციძე 65), ხმალაძე (დარსაძე 69), გ. ლურსმანაშვილი, ივეჩიანი (ცომაია 82), ზ. მეტრეველი
*სათადარიგონი:* გ. დოლიძე; ოდიკაძე, ნ. გიორგაძე, ჟვანია
**ხობი:** ნიქაბერიძე, ონიანი, ზ. კვეკვესკირი, ალანია, ხურცილავა (დ. დანელია 64), გოგიტაძე, ქაშიბაძე (ჯამბურია 46), ლ. გვაზავა, ჭიჭინაძე, ვ. ჩიტაია (თორია 46), ლ. ბუკია
*სათადარიგონი:* ბაბუაძე; ტყებუჩავა, ვართაგავა
**გაფრთხილება:** ხურცილავა (32), მეტრეველი (73), ვარდანიძე (77), ხურციძე (86)
**მსაჯები:** მ. მალალურაძე; ა. კრიჟაშვილი, მ. ურუშაძე (ყველა თბილისი); გ. დოგრაშვილი (ქუთაისი)
**სფფ-ის დელეგატი:** მ. მიმინოშვილი

ქუთაისი
3 ოქტომბერი
16 საათი
ტორპედო
3 500 (ტევადობა 23 800)

### ტორპედო 4:1 კოლხეთი

1:0 მეგრელაძე (7), 2:0 იონანიძე (27), 3:0 მეგრელაძე (29), 4:0 იონანიძე (37), 4:1 ლალანიძე (53)
**ტორპედო:** სომხიშვილი, ახვლედიანი (კ. კვეტენაძე 23), თურმანიძე, ხვადაგიანი, მაღლაკელიძე, შეყრილაძე, ჩხეტიანი, გოგიაშვილი, დ. ჯანაშია (ვაჩიბერაძე 63), მეგრელაძე (მ. ბობოხიძე 78), იონანიძე
*სათადარიგონი:* ქანტურია; მახვილაძე, ვ. მაისურაძე, ამისულაშვილი
**კოლხეთი:** მ. გვასალია, ანჯაფარიძე, ტორჩინავა, დავითნიძე, შალამბერიძე, ტრაპაიძე, კიკლიაშვილი (ჯღარკავა 46), ხუჭუა, დ. გოგოლაძე (ბულუხია 75), ქუნთელია, ლალანიძე
*სათადარიგონი:* ქვაჩახია; ლეჟავა, პაპავა, ჭოხონელიძე, მელაძე
**გაფრთხილება:** ჯანაშია (57), დავითნიძე (57)
**მსაჯები:** ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); გ. ჩიგოგიძე (სამტრედია), კ. მესხი; ზ. ერქვანია (ორივე ზუგდიდი)
**სფფ-ის დელეგატი:** გ. ფირცხალავა

თბილისი
2 ოქტომბერი
16 საათი
სინათლე
1 000 (ტევადობა 3 000)

### მერანი 3:1 დილა

1:0 დევიძე (18), 2:0 დავითაშვილი (50), 3:0 დევიძე (56), 3:1 მარლიშვილი (86)
**მერანი:** კოროშინაძე (ნაჭყებია 9), პ. ლურსმანაშვილი (ივანიშვილი 69), ე. ალადაშვილი, ხარებავა, კარიაული, ჭინჭარაული, დავითაშვილი, თოლორდავა (ლ. ჩხაიძე 75), დევიძე, როსტიაშვილი, ბ. ამბიძე
*სათადარიგონი:* მელიქია, კოშკაძე
**დილა:** სოლოლაშვილი, გ. ჩიტაია, გაგნიძე, ლომიძე, აკოფიანი, დ. მაისურაძე (მარლიშვილი), თაყაძე, ციცქიშვილი (ბ. ჩიტაია 59), არუთინიანი, სულთანიშვილი, შატაკიშვილი
*სათადარიგონი:* მდივანი, ლ. გოჩაშვილი, ფეზუაშვილი, კარელიძე, ოლგესაშვილი
**გაფრთხილება:** სოლოლაშვილი (75)
**მსაჯები:** ა. შალამბერიძე; კ. გაბრიაძე, გ. კიკაჩეიშვილი (ყველა ქუთაისი); ზ. მენთეშაშვილი (თბილისი)
**სფფ-ის დელეგატი:** ნ. ამირეჯიბი

მცხეთა
2 ოქტომბერი
16 საათი
არმაზი
300 (ტევადობა 3 000)

### თსუ 1:0 გორდა

1:0 გვაზავა (35)
**თსუ:** მერლანი, სვანაძე, ნინუა, ახალაძე (ჯობაძე 77), წუწუნავა, დეკანოსიძე (თ. ბოკერია 83), მესხი (ადამია 46), გ. გვაზავა, ერაძე, კვიციანი, დ. არჩვაძე
*სათადარიგონი:* გუგუნავა; ინწკირველი, ბ. ნოზაძე, გ. მიქაძე
**გორდა:** მ. ქორიძე, მჭედლიძე, ბერიძე, ინასარიძე (პატარიძე 53), გაბელაია, ვ. კილასონია, თელიაშვილი, მ. სახვაძე, მიშველიძე, კიტეიშვილი, ლ. ალადაშვილი
*სათადარიგონი:* გონგაძე; ჩიგოშვილი, ჩიტაური, ბაჩილავა
**გაფრთხილება:** კვიციანი (56), გვაზავა (85)
**მსაჯები:** ზ. ანიაშვილი (გორი); ზ. დოლიძე, მ. ელიკაშვილი; დ. ხარიტონაშვილი (ყველა თბილისი)
**სფფ-ის დელეგატი:** ა. მილჩენკო



„ვიტ ჯორჯია“ — „ლოკომოტივი“ 3:1. ვიტელთაგან საუკეთესო გიორგი ყიფიანი ლოკომოტიველ გიორგი ბალაშვილს (№2) და გენადი კაციაშვილს (№7) ბურთს არ ანებებს

წლეულს ფედერაციამ ახლებურად გადაწყვიტა ჩემპიონატის გამართვა. ცვლილებები ყველაზე მეტად პირველ ლიგას შეეხო. რაღაც ამდაგვარი საქართველოში ადრეც იყო. 1993-94 წლების გათამაშებაც ორ ზონად ჩატარდა. მაშინაც პირველი ეტაპის საუკეთესოებმა მედლებისთვის მებრძოლი ჯგუფი შეადგინეს, ხოლო მაჩანჩალებმა ლიგაში დასარჩენად იბრძოლეს.

უმნიშვნელოვანესი განსხვავება მაშინდელსა და ახლანდელ სისტემას შორის ესაა: ამჯერად პირველ ეტაპზე დაგროვილი ქულები ნახევრდება, მაშინ კი გუნდებმა ნული ქულით დაიწყეს თამაში.

დღეს, როცა პირველი ეტაპის პირველი წრის გასრულებას ორი გადადებული მატჩის ჩატარებაღა აკლია, შეგვიძლია ვნახოთ, რა მდგომარეობაა, ასე ვთქვათ, საერთო ჩათვლაში.

პირველ სვეტში თამაშების, მეორეში ამჟამინდელი, მესამეში კი დამრგვალებულ-განახევრებული ქულების რაოდენობაა მოცემული. ჯერ, აბა, რა დროსია, მაგრამ ერთი რამ აქედანვე თვალშისაცემია, შარშანდელ ბრინჯაოს პრიზიორი „ლოკომოტივი“ „თბილისთან“ მატჩამდე ბოლო ადგილზეა და, შესაძლოა, წლეულს მხოლოდ ჯგუფში დასარჩენად მოუწიოს ბრძოლა. ესეც, ცხადია, იმ შემთხვევაში, თუ რკინიგზის დეპარტამენტის თავკაც აკაკი ჩხაიძეს ხასიათი გამოუკეთდა. გეხსომებათ, გუშინდელ „სარბიელში“ რომ დაიწერა — ამ ჩემპიონატს ჩავამთავრებთ და მერე გუნდს სულ დავშლითო. ასეთ შემთხვევაში ბრძოლა რაღა საჭირო იქნება.

**განახევრებული ცხრილი**

| № | გუნდები | თ | ქ | ნ |
|---|---|---|---|---|
| 1 | ტორპედო | 6 | 16 | 8 |
| 2 | დინამო | 7 | 15 | 8 |
| 3 | ვიტ ჯორჯია | 7 | 13 | 7 |
| 4 | კოლხეთი | 7 | 12 | 6 |
| 5 | დილა | 7 | 11 | 6 |
| 6 | ბათუმი | 7 | 11 | 6 |
| 7 | თბილისი | 6 | 9 | 5 |
| 8 | იბერია | 7 | 8 | 4 |
| № | გუნდები | თ | ქ | ნ |
| 9 | სიონი | 7 | 8 | 4 |
| 10 | თსუ | 6 | 7 | 4 |
| 11 | სამგურალი | 7 | 7 | 4 |
| 12 | მერანი | 7 | 7 | 4 |
| 13 | გორდა | 7 | 7 | 4 |
| 14 | არსენალი | 7 | 5 | 3 |
| 15 | ხობი | 7 | 5 | 3 |
| 16 | ლოკომოტივი | 6 | 5 | 3 |

# თარიღები დადგინდა

ადრე თუ გვიან ხომ უნდა დადგენილიყო, ჰოდა, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საშეჯიბრო კომიტეტმა ოფიციალურად დაამტკიცა ეროვნული ჩემპიონატის გადადებული მატჩების თარიღები.

პირველ ლიგაში ორი შეხვედრა იყო გადატანილი. „ა“ ზონაში მეექვსე ტურის მატჩი — „ლოკომოტივი“ — „თბილისი“, „ბ“ ზონაში მეხუთე ტურის თსუ — „ტორპედო“. პირველის გადადების მიზეზი უეფას თასის პირველი ეტაპის საპასუხო მატჩი გახლდათ, „ლოკომოტივს“ ბერძნულ პაოკთან სალონიკში უნდა ეთამაშა, მეორისა კი — საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრები, უელსში ჩატარებული ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირზე კოპალეიშვილის ნაკრების ღირსებას ოთხი უნივერსიტეტელი იცავდა. ამავე მიზეზით გადაიდო რეგიონალურ ლიგაში „ა“ ზონის მეორე ტურის მატჩი — ქუთაისის „ინტერი“ — ტყიბულის „მეშახტე“, „ინტერის“ ფეხბურთელებიც ნაკრებში იყვნენ მიწვეულნი.

სფფ-მ ახალი თარიღები დაადგინა: თსუ — „ტორპედო“ მცხეთაში 12 ოქტომბერს გაიმართება. ეროვნულზე 13 ოქტომბერს „ლოკომოტივი“ — „თბილისს“ „უმასპინძლებს“. ამ დღესვე შედგება „ინტერი“ — „მეშახტეს“ მატჩიც. ყველა მატჩი 16 საათზე დაიწყება.

**გიორგი ვაშაკიძე**

**ბომბარდირები**

6 - გ. ქორიძე — *ვიტ ჯორჯია*

5 - ალექსიძე — *დინამო*
იონანიძე — *ტორპედო*

4 - აშვეთია — *დინამო*
მეგრელაძე — *ტორპედო*
გ. მიქაძე — *თბილისი*

3 - დევიძე — *მერანი*
თოლორდავა — *მერანი*
კვარაცხელია — *თბილისი*
სულთანიშვილი — *დილა*

| «ა» ზონა | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | დინამო | 7 | 5 | 0 | 2 | 13:6 | 7 | 15 | 3 | 3 | 0 | 0 | 10:2 | 8 | 9 | 4 | 2 | 0 | 2 | 3:4 | -1 | 6 |
| 2 | ვიტ ჯორჯია | 7 | 4 | 1 | 2 | 10:5 | 5 | 13 | 3 | 2 | 0 | 1 | 6:2 | 4 | 6 | 4 | 2 | 1 | 1 | 4:3 | 1 | 7 |
| 3 | ბათუმი | 7 | 2 | 5 | 0 | 3:1 | 2 | 11 | 4 | 2 | 2 | 0 | 2:0 | 2 | 8 | 3 | 0 | 3 | 0 | 1:1 | 0 | 3 |
| 4 | თბილისი | 6 | 2 | 3 | 1 | 13:10 | 3 | 9 | 3 | 2 | 1 | 0 | 8:4 | 4 | 7 | 3 | 0 | 2 | 1 | 5:6 | -1 | 2 |
| 5 | სიონი | 7 | 2 | 2 | 3 | 4:9 | -5 | 8 | 4 | 2 | 2 | 0 | 4:2 | 2 | 8 | 3 | 0 | 0 | 3 | 0:7 | -7 | 0 |
| 6 | სამგურალი | 7 | 2 | 1 | 4 | 5:10 | -5 | 7 | 4 | 2 | 0 | 2 | 3:3 | 0 | 6 | 3 | 0 | 1 | 2 | 2:7 | -5 | 1 |
| 7 | არსენალი | 7 | 1 | 2 | 4 | 6:8 | -2 | 5 | 3 | 1 | 1 | 1 | 4:3 | 1 | 4 | 4 | 0 | 1 | 3 | 2:5 | -3 | 1 |
| 8 | ლოკომოტივი | 6 | 1 | 2 | 3 | 5:10 | -5 | 5 | 3 | 1 | 2 | 0 | 4:2 | 2 | 5 | 3 | 0 | 0 | 3 | 1:8 | -7 | 0 |

| «ბ» ზონა | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ტორპედო | 6 | 5 | 1 | 0 | 16:5 | 11 | 16 | 3 | 2 | 1 | 0 | 9:4 | 5 | 7 | 3 | 3 | 0 | 0 | 7:1 | 6 | 9 |
| 2 | კოლხეთი | 7 | 4 | 0 | 3 | 9:11 | -2 | 12 | 4 | 3 | 0 | 1 | 6:3 | 3 | 9 | 3 | 1 | 0 | 2 | 3:8 | -5 | 3 |
| 3 | დილა | 7 | 3 | 2 | 2 | 10:8 | 2 | 11 | 4 | 3 | 1 | 0 | 7:1 | 6 | 10 | 3 | 0 | 1 | 2 | 3:7 | -4 | 1 |
| 4 | იბერია | 7 | 2 | 2 | 3 | 5:9 | -4 | 8 | 4 | 2 | 1 | 1 | 4:5 | -1 | 7 | 3 | 0 | 1 | 2 | 1:4 | -3 | 1 |
| 5 | თსუ | 6 | 1 | 4 | 1 | 4:4 | 0 | 7 | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 1 | 4 | 4 | 0 | 3 | 1 | 2:3 | -1 | 3 |
| 6 | მერანი | 7 | 1 | 4 | 2 | 8:9 | -1 | 7 | 3 | 1 | 1 | 1 | 5:4 | 1 | 4 | 4 | 0 | 3 | 1 | 3:5 | -2 | 3 |
| 7 | გორდა | 7 | 2 | 1 | 4 | 6:7 | -1 | 7 | 4 | 2 | 1 | 1 | 6:3 | 3 | 7 | 3 | 0 | 0 | 3 | 0:4 | -4 | 0 |
| 8 | ხობი | 7 | 1 | 2 | 4 | 7:12 | -5 | 5 | 3 | 0 | 2 | 1 | 2:3 | -1 | 2 | 4 | 1 | 0 | 3 | 5:9 | -4 | 3 |

# რეგიონალური ლიგა

## დასავლეთი

### „ა“ ზონა

IV ტური

2 ოქტომბერი

**მალაროელი 0:0 რაჭა**
გაფრთხილება: შარაბიძე (რაჭა)
გაძევება: ნ. გოგოლაძე (21, რაჭა), პ. შეყილაძე (21, მალაროელი)
მსაჯი: თ. გიორგაძე (სამტრედია)

**სულორი 0:5 მარგვეთი**
0:1 ჯღარკავა (17), 0:2, 0:3 მ. მუმლაძე (37, 60), 0:4 ენდელაძე (80), 0:5 ბარდაველიძე (85)
მსაჯი: ა. მეშკოვი (თბილისი)

3 ოქტომბერი

**იბერია 2 4:2 მეშახტე**
1:0 ხურციძე (4), 1:1 ხელაძე (12), 2:1, 3:1 ლ. გიორგაძე (34, 56), 4:1 თუთარაშვილი (58), 4:2 გაბრიჩიძე (76)
გაფრთხილება: ხმალაძე (იბერია 2)
გაძევება: თორთლაძე (17, მეშახტე)
მსაჯი: ა. სამხარაძე (სოხუმი)

**მეტალურგი 4:0 გაგრა**
1:0 გობრონიძე (26), 2:0 მინაშვილი (34), 3:0 ქურციკიძე (37), 4:0 ფანცხავა (49პ)
გაფრთხილება: ა. გიორგაძე (გაგრა)
მსაჯი: გ. კიკაჩეიშვილი (ქუთაისი)

**გურია 0:2 ოკეანე**
0:1 ლორთქიფანიძე (19), 0:2 კრავეიშვილი (85)
გაფრთხილება: განევი (გურია), ჯიქიძე, ჯიქია, კაცაძე (ყველა ოკეანე)
გაძევება: ნიკურაძე (40, გურია)
მსაჯი: მ. მაისურაძე (თბილისი)

4 ოქტომბერი

**რწმენა 1:2 ინტერი**
0:1 გენებაშვილი (62), 0:2 მალხაზ ასათიანი (80), 1:2 თოდაძე (89)
გაფრთხილება: ალფაიძე, გაბუნია, სოფრომაძე, თოდაძე, აბუთიძე (ყველა რწმენა), მალხაზ ასათიანი, გამეზარდაშვილი, აბულაძე (ყველა ინტერი)
მსაჯი: პ. დოგრაშვილი (ქუთაისი)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მარგვეთი | 4 | 4 | 0 | 0 | 12:1 | 12 |
| იბერია 2 | 4 | 2 | 1 | 1 | 8:5 | 7 |
| ოკეანე | 4 | 2 | 1 | 1 | 8:6 | 7 |
| ინტერი | 3 | 2 | 1 | 0 | 3:1 | 7 |
| მეტალურგი | 4 | 1 | 2 | 1 | 7:6 | 5 |
| რწმენა | 4 | 1 | 2 | 1 | 2:2 | 5 |
| გაგრა | 4 | 1 | 2 | 1 | 5:8 | 5 |
| სულორი | 4 | 1 | 2 | 1 | 4:8 | 5 |
| მეშახტე | 3 | 1 | 1 | 1 | 8:9 | 4 |
| რაჭა | 4 | 0 | 3 | 1 | 2:3 | 3 |
| მალაროელი | 4 | 0 | 1 | 3 | 8:12 | 1 |
| გურია | 4 | 0 | 0 | 4 | 2:8 | 0 |

### „ბ“ ზონა

IV ტური

2 ოქტომბერი

**მეგრი 1:0 სამეგრელო**
1:0 კ. კვეკვესკირი (30)
მსაჯი: ლ. რაზმაძე (გორი)

**სქური 4:1 ფაზისი**
1:0 ჯაბუა (5), 1:1 კუპრავა (39), 2:1, 3:1 გოჩა კვარაცხელია (51პ, 63პ), 4:1 ჯაბუა (70)
გაფრთხილება: ზარქუა, ჩალიგავა (ორივე სქური), თოფურია (ფაზისი)
მსაჯი: გ. ცირდავა (გულრიფში)

3 ოქტომბერი

**მერცხალი 1:1 შუქურა**
1:0 მ. მჟავანაძე (21), 1:1 ჯ. კალანდაძე (39)
გაფრთხილება: კ. გელაძე, ზ. ჭელიძე (ორივე მერცხალი), ჯ. ბერიძე (შუქურა)
მსაჯი: ლ. მიქელაძე (სამტრედია)

**ზუგდიდი 3:0 ბათუმი 2**
1:0 ბ. დარასელია (12), 2:0 კ. სიჭინავა (52), 3:0 ქორთუა (61)
გაფრთხილება: ვახანია, ალმასია (ორივე ზუგდიდი), გ. მჟავანაძე (ბათუმი 2)
მსაჯი: კ. გაბრიაძე (ქუთაისი)

**ჩელა 2:0 ბახმარო**
1:0 წულაია (1), 2:0 დავით ჯანაშია (22)
გაფრთხილება: გეფერიძე (ბახმარო)
მსაჯი: თ. გიორგაძე (სამტრედია)

4 ოქტომბერი

**კოლხეთი 2 2:4 ლაზიკა**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მეგრი | 4 | 4 | 0 | 0 | 8:2 | 12 |
| შუქურა | 4 | 3 | 1 | 0 | 16:2 | 10 |
| ლაზიკა | 4 | 3 | 1 | 0 | 11:4 | 10 |
| ზუგდიდი | 4 | 2 | 1 | 1 | 10:4 | 7 |
| ფაზისი | 4 | 1 | 2 | 1 | 5:7 | 5 |
| სქური | 4 | 1 | 1 | 2 | 7:10 | 4 |
| ჩელა | 4 | 1 | 1 | 2 | 3:13 | 4 |
| მერცხალი | 4 | 0 | 3 | 1 | 2:3 | 3 |
| ბათუმი 2 | 4 | 0 | 3 | 1 | 2:5 | 3 |
| ბახმარო | 4 | 1 | 0 | 3 | 4:11 | 3 |
| კოლხეთი 2 | 4 | 0 | 2 | 2 | 4:8 | 2 |
| სამეგრელო | 4 | 0 | 1 | 3 | 3:6 | 1 |

## აღმოსავლეთი

### „ა“ ზონა

IV ტური

2 ოქტომბერი

**იბერია 0:1 განთიადი**
0:1 ბაინდურაშვილი (88)
ტატიშვილმა ვერ გაიტანა პენალტი (16, იბერია)
გაფრთხილება: ნ. დავითაშვილი, ხიდაშელი (ორივე იბერია), ხაჩირაშვილი, კოტეტიშვილი (ორივე განთიადი)
მსაჯი: ლ. ფანიაშვილი (თბილისი)

3 ოქტომბერი

**ვარძია 2:1 საუ**
1:0 ბ. ბერიძე (18), 1:1 პ. მესხი (26), 2:1 თ. ბერიძე (74პ)
გაფრთხილება: ლეკიშვილი, შ. თარხნიშვილი (ორივე ვარძია), პ. მესხი (საუ)
გაძევება: შ. თარხნიშვილი (53, ვარძია)
მსაჯი: ზ. ხუციშვილი (დმანისი)

**არაგვი 0:1 თორი**
0:1 თალაკვაძე (19)
გაფრთხილება: გლუნჩაძე, გურამ ლომიძე (ორივე თორი)
მსაჯი: ვ. ჩოჩიშვილი (თბილისი)

**მრეტები 1:1 ცხუმი**
1:0 ელიავა (30), 1:1 დევდარიანი (80)
მგელაძემ ვერ გაიტანა პენალტი (76, მრეტები)
გაფრთხილება: მაჭარაშვილი (მრეტები), ნარმანია, ლ. ცაავა (ორივე ცხუმი)
გაძევება: ელიავა (38, მრეტები), ოდიშარია (38, ცხუმი)
მსაჯი: ზ. ანიაშვილი (გორი)

**ცხინვალი 2:0 ივერია**
1:0, 2:0 მარგიევი (41პ, 87პ)
გაფრთხილება: ყაჩლავაშვილი, ზ. მაისურაძე, ეჯოშვილი (ყველა ცხინვალი), კ. წიკლაური, გულაშვილი, ვ. ქუთათელაძე, ხვედელიძე (ყველა ივერია)
გაძევება: ვ. ქუთათელაძე (74, ივერია), გულაშვილი (81, ივერია), ეჯოშვილი (85, ცხინვალი)
მსაჯი: ა. კრიჭაშვილი (თბილისი)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| თორი | 4 | 3 | 1 | 0 | 11:2 | 10 |
| ცხუმი | 4 | 3 | 1 | 0 | 11:3 | 10 |
| განთიადი | 3 | 3 | 0 | 0 | 4:1 | 9 |
| ცხინვალი | 3 | 2 | 1 | 0 | 6:1 | 7 |
| ივერია | 4 | 2 | 0 | 2 | 7:5 | 6 |
| საუ | 4 | 2 | 0 | 2 | 7:5 | 6 |
| მრეტები | 3 | 1 | 2 | 0 | 3:2 | 5 |
| ვარძია | 4 | 1 | 0 | 3 | 2:9 | 3 |
| იბერია | 4 | 0 | 1 | 3 | 2:7 | 1 |
| მესხეთი | 3 | 0 | 0 | 3 | 2:10 | 0 |
| არაგვი | 4 | 0 | 0 | 4 | 3:13 | 0 |

### „ბ“ ზონა

IV ტური

2 ოქტომბერი

**ალაზანი 3:1 ყვარელი**

3 ოქტომბერი

**არსენალი 2 3:2 ენერგეტიკოსი**
1:0 ჩალაძე (20), 2:0, 3:0 თვალაბეიშვილი (60, 65), 3:1 კიკნაველიძე (82), 3:2 გ. კალანდაძე (89)
გაფრთხილება: ეგაძე (არსენალი 2), ქურასბედიანი, კიკნაველიძე (ორივე ენერგეტიკოსი)
მსაჯი: მ. ნაკაიძე (ლანჩხუთი)

**ამირანი 4:1 ხალიბი**
1:0 კოშკაძე (23), 1:1 დ. მენთეშაშვილი (26), 2:1 ლ. ჩხაიძე (45), 3:1 მელიქია (61), 4:1 ავალიანი (73)
გაფრთხილება: ნ. ლაბაძე (ხალიბი)
მსაჯი: მ. მალაღურაძე (თბილისი)

4 ოქტომბერი

**თბილისი 2 2:1 აკადემია**
0:1 კერვალიძე (52), 1:1 ცქიფურიშვილი (60), 2:1 გორგოძე (72)
გაფრთხილება: ცქიფურიშვილი (თბილისი 2), ზ. დავითაშვილი (აკადემია)
მსაჯი: ზ. ჯვარიძე (თბილისი)

**ლოკომოტივი 2 2:1 ჭაბუკიანი**
1:0 სოსელია (49), 1:1 მერებაშვილი (58), 2:1 სიამაშვილი (89)
გაფრთხილება: გილაური, სალუქვაძე, გიორგი ჯანელიძე (ყველა ლოკომოტივი 2), ომანიშვილი, ტაბატაძე (ორივე ჭაბუკიანი)
გაძევება: ციცვიძე (72, ლოკომოტივი 2), მორჩილაძე (89, ლოკომოტივი 2), მარგიევი (89, ჭაბუკიანი)
მსაჯი: ა. შილაკაძე (თბილისი)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი 2 | 4 | 4 | 0 | 0 | 11:4 | 12 |
| ლოკომოტივი 2 | 3 | 3 | 0 | 0 | 10:3 | 9 |
| ზოოვეტი | 3 | 2 | 1 | 0 | 10:2 | 7 |
| ჭაბუკიანი | 4 | 2 | 0 | 2 | 6:5 | 6 |
| ამირანი | 4 | 2 | 0 | 2 | 7:7 | 6 |
| თბილისი 2 | 4 | 1 | 2 | 1 | 5:5 | 5 |
| აკადემია | 3 | 1 | 1 | 1 | 2:2 | 4 |
| ალაზანი | 3 | 1 | 0 | 2 | 5:7 | 3 |
| ენერგეტიკოსი | 4 | 1 | 0 | 3 | 7:13 | 3 |
| ხალიბი | 4 | 0 | 1 | 3 | 1:8 | 1 |
| ყვარელი | 4 | 0 | 1 | 3 | 3:11 | 1 |

## პორტუგალია

VI ტური

**ლეირია 3:0 ბრაგა**

1:0 დერლეი (6), 2:0 დუა (35), 3:0 ვუზელა (80)

**მარიტიმუ 1:0 ჟილ ვისენტე**

1:0 რამონი (15)

**სალგეირუში 0:0 ფარენსე**

**კამპომაიორენსე 1:1 რიუ ავე**

0:1 ჰუგო ენრიკე (9), 1:1 ნოვიაში (46)

**გიმარაეში 1:0 ალვერკა**

1:0 დალსოტო (84პ)

**სპორტინგი 2:0 ბოავიშტა**

1:0 დელფიმ ტეიშეირა (35), 2:0 ალბერტო აკოსტა (86პ)

**ბელენენსეში 0:0 პორტუ**

**ბენფიკა 2:0 ამადორა**

1:0 ოკუნოვო (50), 2:0 გიარო (58პ)

ორშაბათს „ბენფიკამ" 2:0 მოუგო „ამადორას" და ახლა უახლოეს მდევრებს ოთხი ქულით უსწრებს.

„ბენფიკა" — „ამადორას" მატჩში ანგარიში ნიგერიელმა მცველმა სამუელ ოკუნოვომ გახსნა. ეს ბარსელონიდან ლისაბონში გადაბარგებული ნიგერიელის პირველი გოლი გახლდათ სეზონში. ცოტა ხანში სტუმრებმა საკუთარ საჯარიმოში ბენფიკელთა მეგოლე ნუნუ გომეში წააქციეს და რონალდო გიარომ ზუსტად შეასრულა პენალტი. საინტერესოა, რომ ამ თერთმეტმეტრიანს წინ გაძევება უძღვოდა. მსაჯმა ამადორელი ლუიშ ვასკუ მიაბრძანა მინდვრიდან.

წითელი ბარათები ორშაბათის დანარჩენ მატჩებშიც გახდა საჭირო. „სპორტინგთან" შეხვედრაში 86-ე წუთზე „ბოავიშტას" პედრო ემანუელი გააძევეს, ხოლო „ბელენენსეში" — „პორტუს" თამაშში, დამთავრებამდე 15 წუთით ადრე მსაჯმა პორტუელი ემილიო პეიშე დასაჯა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბენფიკა | 6 | 5 | 1 | 0 | 11:1 | 16 |
| სპორტინგი | 6 | 3 | 3 | 0 | 11:5 | 12 |
| პორტუ | 6 | 3 | 3 | 0 | 8:2 | 12 |
| გიმარაეში | 6 | 3 | 2 | 1 | 8:5 | 11 |
| ბოავიშტა | 6 | 3 | 2 | 1 | 5:3 | 11 |
| სალგეირუში | 6 | 3 | 1 | 2 | 6:6 | 10 |
| ბელენენსეში | 6 | 2 | 3 | 1 | 8:4 | 9 |
| ჟილ ვისენტე | 6 | 2 | 2 | 2 | 7:4 | 8 |
| მარიტიმუ | 6 | 2 | 2 | 2 | 7:6 | 8 |
| ალვერკა | 6 | 2 | 2 | 2 | 6:7 | 8 |
| რიუ ავე | 6 | 2 | 2 | 2 | 8:12 | 8 |
| ლეირია | 6 | 1 | 3 | 2 | 5:5 | 6 |
| სანტა კლარა | 5 | 1 | 2 | 2 | 7:7 | 5 |
| სეტუბალი | 5 | 1 | 1 | 3 | 7:10 | 4 |
| ბრაგა | 6 | 1 | 1 | 4 | 6:10 | 4 |
| ამადორა | 6 | 0 | 4 | 2 | 5:10 | 4 |
| ფარენსე | 6 | 1 | 1 | 4 | 2:11 | 4 |
| კამპომაიორენსე | 6 | 0 | 1 | 5 | 3:12 | 1 |

## სლოვენია

მე-9 ტური: ცელიე — აიდოვშინა 3:1; რუსე — მურსკა სობოტა 0:1; ბელტინჩი — პრევალიე 1:3; ოლიმპია — დომზალე 2:0; დრავოგრადი — მარიბორი 1:3; გორიცა — ველენიე 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მარიბორი | 9 | 9 | 0 | 0 | 32:8 | 27 |
| ველენიე | 9 | 6 | 1 | 2 | 16:10 | 19 |
| ოლიმპია | 9 | 5 | 0 | 4 | 20:15 | 15 |
| მურსკა სობოტა | 9 | 4 | 2 | 3 | 12:9 | 14 |
| აიდოვშინა | 9 | 3 | 3 | 3 | 18:15 | 12 |
| ნოვა გორიცა | 9 | 3 | 3 | 3 | 13:12 | 12 |
| დრავო გრადი | 9 | 3 | 3 | 3 | 11:14 | 12 |
| პრევალიე | 9 | 2 | 5 | 2 | 18:15 | 11 |
| ცელიე | 9 | 2 | 5 | 2 | 12:12 | 11 |
| დომზალე | 9 | 2 | 2 | 5 | 8:20 | 8 |
| ბელტინჩი | 9 | 0 | 4 | 5 | 4:16 | 4 |
| რუსე | 9 | 0 | 2 | 7 | 4:22 | 2 |

## ალბანეთი

მე-3 ტური: შკუმბინი — ლუშნია 1:1; პარტიზანი — აპოლონია 3:1; ტომორი — ელბასანი 2:0; სკანდერბეუ — დინამო 1:1; ბილისი — ფლამურტარი 6:3; ვლაჟნია — ტირანა 0:0; ტეუტა — შკიპონია 1:0.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტირანა | 3 | 2 | 1 | 0 | 4:0 | 7 |
| ტომორი | 3 | 2 | 1 | 0 | 5:2 | 7 |
| ტეუტა | 3 | 2 | 0 | 1 | 6:2 | 6 |
| ბილისი | 3 | 1 | 2 | 0 | 7:4 | 5 |
| პარტიზანი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:3 | 4 |
| შკიპონია | 3 | 1 | 1 | 1 | 2:1 | 4 |
| ვლაჟნია | 3 | 1 | 1 | 1 | 2:1 | 4 |
| ლუშნია | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 |
| სკანდერბეუ | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 4 |
| შკუმბინი | 3 | 0 | 3 | 0 | 3:3 | 3 |
| ელბასანი | 3 | 1 | 0 | 2 | 2:5 | 3 |
| დინამო | 3 | 0 | 2 | 1 | 1:3 | 2 |
| ფლამურტარი | 3 | 0 | 1 | 2 | 3:8 | 1 |
| აპოლონია | 3 | 0 | 1 | 2 | 1:7 | 1 |

## ფეხბურთის რუკასთან



ინგლისური „მიდლსბროს" მწვრთნელმა ბრაიან რობსონმა გუნდის კოლუმბიელ თავდამსხმელ ჰამილტონ რიკარდს ერთი კვირა დასვენება ურჩია. გუნდის პრესატაშის ცნობით, რიკარდმა, რომელმაც გასულ სეზონში 15 გოლი გაიტანა პრემიერლიგაში, წლეულს მხოლოდ სამჯერ გამოიჩინა თავი და ახლა ცოტა განტვირთვა მოუხდება. „მიდლსბრომ" გასულ ტურში „ნიუკასლთან" წააგო და მე-11 ადგილზე გადაინაცვლა.

**ჰოლანდიის ნაკრებისა და „მანჩესტერ იუნაიტედის" ცენტრალური მცველი იაპ სტამი ჰოლანდიისა და ბრაზილიის ამხანაგურ შეხვედრას ტრავმის გამო გამოტოვებს. მან წინა ტურში „ჩელსისთან" მატჩში მცირე ტრავმა მიიღო, ხოლო მისმა გუნდმა 0:5 დათმო შეხვედრა. ნაკრებში მას ბარსელონელი ვინსტონ ბოგარდი შეცვლის. ბოგარდმა ესპანეთის ჩემპიონატის ბოლო ტურის მატჩში, რომელიც „ბარსამ" შაბათს „ვალიადოლიდთან" ჩაატარა, წითელი ბარათი მიიღო და თამაშიც დატოვა. ჰოლანდიელთა ნაკრებს ვერ დაეხმარება აგრეთვე ფრანკ დე ბურიც, რომელიც იმავე „ვალიადოლიდთან" შეხვედრაში დაშავდა.**

იტალიის ფეხბურთელთა ასოციაციამ მილანის „ინტერის" ფორვარდი კრისტიან ვიერი 1998-99 წლის სერია A-ს საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელა. სერიაში საუკეთესო ლეგიონერად არგენტინელი გაბრიელ ბატისტუტა მიიჩნიეს, ხოლო საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელად — „რომაში" მოთამაშე ფრანჩესკო ტოტი. სეზონის საუკეთესო მწვრთნელად „მილანის" თავკაცი ალბერტო ძაკერონი დასახელდა, რომელმაც შარშან თავის გუნდს ჩემპიონობა მოაპოვებინა.

**თურქულ კლუბ „ფენერბაჰჩეს" ხელმძღვანელობას გადაწყვეტილი აქვს, მწვრთნელად „პარმას" ყოფილი თავკაცი ნევიო სკალა დანიშნოს. იტალიელი სკალა, რომელიც თავის დროზე დორტმუნდის „ბორუსიის" თავკაციც იყო, სავარაუდოდ სამწლიან კონტრაქტს გააფორმებს და „ფენერბაჰჩეში" ახალწასულ რიდვან დილმერს შეცვლის, რომელმაც პოსტი უეფას თასზე განცდილი მარცხის შემდეგ დატოვა. თურქული კლუბი ასპარეზობიდან უნგრულმა „მტკ-მ" გამოთიშა. სკალამ „პარმა" სერია B-დან სერია A-ში გადაიყვანა და ევროპის ერთ-ერთ ძლიერ კლუბად აქცია. ახლა მან ოთხშაბათამდე უნდა გადაწყვიტოს, იმუშავებს თუ არა თურქეთში**

გერმანიის ნაკრებისა და დორტმუნდის „ბორუსიას" მცველი მათიას ზამერი ორწლიანი შესვენების შემდეგ ფეხბურთში დაბრუნებას აპირებს. 32 წლის ზამერმა 1997 წლის ოქტომბერში სერიოზული ტრავმა მიიღო და ხანგრძლივი შესვენება გამოუვიდა. 1996 წლის ევროპის ჩემპიონი და 1997 წლის ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელი „ბორუსიას" რიგებში წლეულს გერმანიის „საუკუნის სიმბოლურ ნაკრებში" შეიყვანეს.

**ირლანდიის ნაკრებისა და „ლივერპულის" მცველი სტივ სტონტონი შაბათს „ასტონ ვილას" წინააღმდეგ გამართული პრემიერლიგის მორიგი ტურის მატჩში ორი ყვითელი ბარათის გამო მოედნიდან გააძევეს. კომისიამ ამ საკითხზე იმსჯელა და დაადგინა, რომ სტონტონმა მეორე ყვითელი სრულიად დაუმსახურებლად მიიღო. ეს ვიდეოჩანაწერზეც ნათლად გამოჩნდა. ამიტომ ფეხბურთელი დისკვალიფიკაციას გადაურჩა, ხოლო მატჩის არბიტრმა რობ ჰარისმა განაცხადა, რომ აშკარა შეცდომა დაუშვა, როდესაც სტონტონი მოედნიდან გააძევა. ამ მატჩში გოლი არ გასულა. ჰარისმა მატჩში ორივე გუნდის წევრების ჯამში 11 ყვითელი ბარათი უჩვენა.**

ნორვეგიულმა „რუსენბორგმა" კვირას შინ „ვიკინგს" მოუგო 3:2 და ვადამდე ადრე ზედიზედ მერვედ გახდა ქვეყნის ჩემპიონი. საერთოდ კი ეს მისი მე-14 გამარჯვებაა ქვეყნის ჩემპიონატში. ახლა მას უახლოესი მდევარი „ბრანი" 10 ქულით ჩამორჩება და, რა თქმა უნდა, ველარ დაეწევა, რადგან სეზონში მხოლოდ 3 ტურიღაა დარჩენილი. „ვიკინგის" წინააღმდეგ გოლი კაპიტანმა ბენტ სკამელსრუდმა გაიტანა, რომელიც რვაჯერვე ქვეყნის ჩემპიონი იყო „რუსენბორგის" რიგებში. მისი თქმით, ამდენჯერ ზედიზედ ჩემპიონობა გუნდის სტაბილურობაზე მეტყველებს, თუმცა აღნიშნა, რომ ყოველ წელს უფრო და უფრო უძნელდებათ ტიტულის მოპოვება. შეგახსენებთ, რომ „რუსენბორგი" ჩემპიონთა ლიგაშიც ასპარეზობს, მას შემდეგი მატჩი დორტმუნდის „ბორუსიასთან" ელის.

# ფიფას უნდა, რომ ჩვენც გვინდოდეს

ფიფა იმედოვნებს, რომ კლუბთა მსოფლიოს ჩემპიონატი ინაუგურაციის შემდეგ მუდმივ შეჯიბრებად გადაიქცევა. ეს ამბავი მსოფლიო ფეხბურთის მმართველი ორგანიზაციის პრესმდივანმა ამცნო საზოგადოებრიობას.

მოგეხსენებათ, პირველი ჩემპიონატი, სულ მალე ბარზილიაში მოეწყობა. იგი 5-დან 14 იანვრამდე გასტანს და მასში რვა კლუბი გამოვა.

პრეს-მდივანი, ანდრეას ჰერენი ამბობს, რომ ფიფას ჩანაფიქრი რეგულარული შეჯიბრებაა, თუმცა ბევრ რამეს უშუალოდ ბრაზილიური დღეები გვაჩვენებს.

„ჩავატარებთ და დავაკვირდებით პირველ ჩემპიონატს, რის შემდეგაც დასკვნებს გავაკეთებთ" — უთხრა სააგენტო „როიტერს" ჰერენმა.

მოგეხსენებათ ისიც, რომ ბრაზილიაში წასასვლელად ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელმა „მანჩესტერ იუნაიტედმა", ასწლოვან ინგლისურ შეჯიბრებაზე ფეხბურთის ასოციაციის თასზე თქვა უარი და ამით სამშობლოში ფანები გაანაწყენა.

ბოლო, ვინც კლუბთა მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილეებს შეუერთდა, გახლავთ მექსიკური „ნეკაქსა", რომელმაც კონკაკაფის ჩემპიონთა თასის ფინალში, ლას ვეგასში — ეს ამბავი ახლა კვირას მოხდა — კოსტა რიკის გუნდ „ალახუელას" 2:1 მოუგო.

ამრიგად, „ნეკაქსა" დაემატა ზემოხსენებულ „მანჩესტერ იუნაიტედს", საუდის არაბეთის გუნდ „ალ ნასირს", ბრაზილიურ „ვასკუ და გამასა" და „კორინთიანსს", ესპანურ „რეალსა" და ავსტრალიურ „სამხრეთ მელბურნს". რაც შეეხება მერვე მონაწილეს, მისი ვინაობა დეკემბერში გამოვლინდება, როდესაც კონტინენტის უძლიერესს აფრიკელებიც გაარკვევენ. შეჯიბრება ასე ჩატარდება: რვა გუნდს ორ ჯგუფად გაყოფენ, შემდეგ კი თითოეული ჯგუფის უძლიერესს ფინალში შეახვედრებენ. კენჭისყრა 14 ოქტომბერს რიო დე ჟანეიროშია დაგეგმილი.

# ერთი წლის უნახავი ნაკრები



ალესანდრო დელ პიერო ნაკრებს დაუბრუნდა

ალესანდრო დელ პიერო მთელი წელიწადია იტალიის ნაკრებში არ გამოუძახიათ და აი, ევრო 2000-ის შესარჩევ შეხვედრაში ბელარუსის წინააღმდეგ იუვენტუსელს მიწვევა მიუვიდა.

თავდამსხმელმა, რომელსაც მუხლის ტრავმის გამო დიდი ხანი გაუცდა, „სკუადრა აძურას" მაისურით ბოლოს 1998 წლის 10 ოქტომბერს იასპარეზა და ახლა იმ რვათა შორის გახლავთ, რომელთაც წინა შესარჩევ შეხვედრაში, დანიასთან არ უთამაშიათ. ეს რვა ფეხბურთელი იმ დღეს, როდესაც იტალიელებმა ნეაპოლში დანიელებთან 2:3 წააგეს, საერთოდ არ იყო ნაკრებში გამოძახებული.

რვათა შორის დელ პიეროს გარდა გახლავან მისი იუვენტუსელი თანაგუნდელი, ვეტერანი მცველი ჩირო ფერარა, რომელიც 20 თვეა ეროვნულ გუნდში არ გამოჩენილა — მიუხედავად იმისა, რომ მაშინ მოტეხილი ძვალი კარგა ხანია შეუხორცდა — პაოლო მალდინი, „მილანის" კაპიტანი, დანიასთან მატჩის დროს კუნთი რომ ჰქონდა გაწყვეტილი, კვლავ „იუვენტუსის" მოთამაშეები, ჯანლუკა პესოტო და ჯანლუკა ძამბროტა და „ინტერის" ენერგიული ნახევარმცველი ფრანჩესკო მორიერო.

„ლაციოს" მცველი პაოლო ნეგრო ბელარუსების წინააღმდეგ იმიტომ ვერ ითამაშებს, რომ სერია A-ს ბოლო ტურში, „მილანთან" დაპირისპირების დროს (4:4) დაშავდა, ხოლო პარმელ დიეგო ფუზერსა და უდინელ ჯულიანო ჯანიკედას დისკვალიფიკაციის გამო ამ შეხვედრაში მონაწილეობის უფლება არ აქვთ.

„ფიორენტინას" თავდამსხმელი ენრიკო კიეზა და „ლაციოს" მცველები ჯუზეპე ფავალი და ჯუზეპე პანკარო „სკუადრა აძურას" მწვრთნელმა, დინო ძოფმა, უბრალოდ არ გამოიძახა.

სავარაუდოა, რომ შაბათს, მინსკელი გულშემატკივარი სტუმართა თავდასხმაში „ინტერის" ფორვარდს, კრისტიან ვიერის იუვენტუსელი ფილიპო ინძაგის მხარდამხარ იხილავს, ხოლო დელ პიერო თავიდან სათადარიგოთა სკამზე იჯდება.

იტალიის ნაკრების ამოცანა ბელარუსებთან შეხვედრაში მკაფიოა — ფრედ მაინც უნდა ითამაშოს, რათა შესარჩევ ჯგუფში პირველ ადგილზე გავიდეს და ევრო 2000-ის ფინალური ეტაპის საგზური ავტომატურად მოიპოვოს.

წაგების შემთხვევაში იტალიელები პლეი ოფში მოხვდებიან თუ, რასაკვირველია, სხვადასხვა ჯგუფის მეორეადგილოსანთა შორის საუკეთესო მაჩვენებელი არ აღმოაჩნდათ — რისი თეორიული შანსიც არსებობს — და პირველ ადგილებზე გასულთა დარად ავტომატურად არ გაემგზავრენ ბელგია-ჰოლანდიაში.

მეკარეები: ბუფონი (პარმა), ტოლდო (ფიორენტინა); მცველები: კანავარო (პარმა), ნესტა (ლაციო), პანუჩი (ინტერი), ფერარა (იუვენტუსი), მალდინი (მილანი); ნახევარმცველები: ალბერტინი და ამბროზინი (ორივე მილანი), დ. ბაჯო და ვანოლი (ორივე პარმა), კონტე, პესოტო, ძამბროტა (სამივე იუვენტუსი), დი ფრანჩესკო (რომა), დი ბიაჯო და მორიერო (ორივე ინტერი); თავდამსხმელები: დელ პიერო და ინძაგი (ორივე იუვენტუსი), ტოტი და მონტელა (ორივე რომა), ვიერი (ინტერი)

**ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი** V ჯგუფი. ბულგარეთი — ლუქსემბურგი

ლუქსემბურგთან, ევროპის ჩემპიონატის ბოლო შესარჩევ მატჩზე ბულგარეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა დიმიტარ დიმიტროვმა შემდეგი ფეხბურთელები გამოიძახა:

მეკარეები: ზდრავკოვი (ადანასფორი, თურქეთი), ივანკოვი (ლევსკი); მცველები: ზაგორჩიჩი, კირილოვი (ორივე ადანასფორი), მარკოვი (ლოკომოტივი, სოფია), იორდანოვი (სპორტინგი, პორტუგალია), პეტკოვი (ისთანბულისფორი, თურქეთი), ორაჩევი (ნეფტოხიმიკი); ნახევარმცველები: ბორიმიროვი (მიუნხენი, გერმანია), პეტროვი (სელტიკი, შოტლანდია), სტოილოვი, ბ. ივანოვი, ალექსანდროვი (ყველა ლევსკი), რ. ხრისტოვი (ცსკა, სოფია); თავდამსხმელები: მ. ხრისტოვი (კაიზერსლაუტერნი, გერმანია), ბაჩევი (ლევსკი), ტოდოროვი (ლიტექსი), გრუევი (ნეფტოხიმიკი).

**ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი** VI ჯგუფი. ესპანეთი — ისრაელი

„ვალიადოლიდის" მეკარე სეზარ სანჩესი, ალბათ, პირველად ითამაშებს ესპანეთის ნაკრების შემადგენლობაში. 10 ოქტომბერს ჯგუფის ლიდერი ალბასეტეში ისრაელს უმასპინძლებს. ესპანელები უკვე ევრო 2000-ის ფინალისტები არიან, ისრაელისთვის კი ამ მატჩს სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს.

სანჩესი ტრავმირებულ სანტიაგო კანისარესს შეცვლის, რომელმაც სამი კვირის წინ მარჯვენა ფეხი მოიტეხა.

მეკარეები: ხიმენესი (ატლეტიკო), სანჩესი (ვალიადოლიდი); მცველები: სერხი (ბარსელონა), მიჩელ სალგადო, იერო (ორივე რეალი), პაკო ხემესი (სარაგოსა); ნახევარმცველები: გერერო (ბილბაო), ვალერონი (ატლეტიკო), გვარდიოლა, ლუის ენრიკე (ორივე ბარსელონა), ენგონგა (მალიორკა), მუნიტისი (რასინგი), მენდიეტა (ვალენსია); თავდამსხმელები: ხ. ეჩებერია, ურსაისი (ორივე ატლეტიკო), რაული, მორიენტესი (ორივე რეალი).

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტური

## IV ჯგუფი. რუსეთი — უკრაინა

ჩემპიონთა ლიგის ბოლო მატჩის შემდეგ, რომელშიც კიევის „დინამომ“ პირველი ქულა მოიპოვა, კლუბის პრეზიდენტი გრიგორი სურკისი ჟურნალისტებს ესაუბრა: „შარშან ჯგუფური ტურნირის პირველი ნახევარი ორი ქულით დავამთავრეთ, მაგრამ საბოლოოდ პირველი ადგილი დავიკავეთ. ახლაც ამის იმედი მაქვს. მომავალს ოპტიმისტურად ვუყურებ. მაგალითად, „სპარტაკმა“, რომელიც რუსეთის ნაკრების საბაზო გუნდია, ლიგის ბოლო მატჩი ფრანგულ „ბორდოსთან“ წააგო, ეს გუნდი წლეულს მაინცდამაინც არ ბრწყინავს, ხოლო კიევის „დინამომ“, რომელიც უკრაინის ნაკრების საბაზო გუნდი გახლავთ, ბუნდესლიგის ერთ-ერთ ლიდერთან, ლევერკუზენის „ბაიერთან“ ფრედ ითამაშა. ამიტომ, მგონია, რომ 9 ოქტომბრის შეხვედრის წინ გარკვეული ფსიქოლოგიური უპირატესობა გვაქვს“ — განაცხადა სურკისმა.

„საწყენია, რომ მედიამ ამ თამაშს პოლიტიკური სარჩული დაუდო. მართალია, უკრაინული კლუბები მოსკოველებს ყოველთვის პრინციპულად ეთამაშებოდნენ, მაგრამ ახლახან ჩატარებულმა ვეტერანთა შეხვედრებმა ცხადყო, რომ კიეველებიც, სპარტაკელებიც და სხვებიც, მეგობრები არიან. ვიმედოვნებ, რომ 9 ოქტომბერს მოთამაშეებიც, მსაჯებიცა და გულშემატკივრებიც „სამართლიანი თამაშის“ პრინციპს არ დაარღვევენ“ — ასეთია სურკისის განწყობა.

რუსეთის და უკრაინის მწვრთნელებმა — ოლეგ რომანცევმა და იოჟეფ საბომ 9 ოქტომბრის შესარჩევი მატჩისთვის შემდეგი ფეხბურთელები გამოიძახეს:

რუსეთი — მეკარეები: ფილიმონოვი (სპარტაკი), ნიგმატულინი (ლოკომოტივი); მცველები: ხლესტოვი (სპარტაკი), ონოპკო (ოვიედო, ესპანეთი), იანოვსკი (პსჟ, საფრანგეთი), ჩუგაინოვი, დროზდოვი (ორივე ლოკომოტივი); ნახევარმცველები: ალენიჩევი (რომა, იტალია), ბულატოვი, ტიტოვი, ტიხონოვი (ყველა სპარტაკი), სმერტინი (ლოკომოტივი), კარპინი (სელტა, ესპანეთი), ხოხლოვი (პსვ ჰოლანდია), სემაკი (ცსკა); თავდამსხმელები: შირკო (სპარტაკი), ბესჩასტნიხი (რასინგი, ესპანეთი), პანოვი (ზენიტი).

უკრაინა — მეკარეები: შოვკოვსკი, კერნოზენკო (ორივე დინამო), ლავრენცოვი (კრივბასი); მცველები: ლუჟნი (არსენალი, ინგლისი), ვაშჩუკი, გოლოვკო, დმიტრულნი (ყველა დინამო), მიკიტინი, კოვალი (ორივე შახტარი), მიზინი (კარპატი); ნახევარმცველები: მაკსიმოვი (ვერდერი, გერმანია), გუსინი, კოსოვსკი, კონოვალოვი (ყველა — დინამო), ციხმეისტრუკი (ცსკა, კიევი), მაკსიმიუკი (ზენიტი, რუსეთი), კორმილცევი (დინამო); თავდამსხმელები: შევჩენკო (მილანი, იტალია), რებროვი (დინამო), სკაჩენკო (მეცი, საფრანგეთი).

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტური

## V ჯგუფი. შვედეთი — პოლონეთი

პოლონელი ფორვარდები, რადოსლავ გილევიჩი და მასიეჟ ჟურავსკი დაშავებულები გახლავან და ამიტომ შაბათს, ევრო 2000-ის უმნიშვნელოვანეს შესარჩევ შეხვედრაში, შვედეთის წინააღმდეგ, ვერ ითამაშებენ. გილევიჩი ინსბრუკის „ტიროლის“ თავდამსხმელია და მიმდინარე სეზონში, ავსტრიული ბუნდესლიგის ბომბარდირებს 11 გოლით ლიდერობს კიდეც, მაგრამ კუნთი გაიჭიმა და დაახლოებით ერთთვიანი მკურნალობა სჭირდება. რაც შეეხება ჟურავსკის, მას კოჭი აქვს საშინელ დღეში.

კიდევ ერთი თავდამსხმელის, ანჯეი იუსკოვიაკის ბედ-იღბალი გაურკვეველია. მან „ვოლფსბურგის“ შემადგენლობაში ბოლო ორი შეხვედრა გამოტოვა. „სამედიცინო შემოწმება დაადგენს, რამდენად ცუდადაა ჩემი საზარდულის საქმე. თუ თამაში შეიძლება, მყისვე საქმეში ჩავებმები“ — უთხრა იუსკოვიაკმა „გაზეტა ვიბორჩას“ კორესპონდენტს. პირველად კარიერაში, ეროვნული გუნდის ბანაკში ტრიალის პატივი ხვდა ვარშავის „პოლონიას“ მცველს არკადიუშ კალიშანს, ხოლო გამოცდილი ნახევარმცველი ტომაშ ივანი, რომელიც ჰოლანდიაში, კერძოდ პსვ-ში მოღვაწეობს, ორი ყვითელი ბარათის გამო დისკვალიფიცირებულია.

ზემოთ ვახსენეთ, რომ შეხვედრა უმნიშვნელოვანესია. თუ პოლონელებმა შვედეთში მოიგეს ან ფრედ მაინც ითამაშეს, ინგლისის ნაკრებს ჩამოიტოვებენ და ევრო 2000-ის შესარჩევი პლეი ოფის ეტაპზე მოხვდებიან.

მეკარეები: მატიშეკი (ლევერკუზენი, გერმანია), დუდეკი (ფეიენოორდი, ჰოლანდია); მცველები: ვალდოხი (შალკე, გერმანია), ბაკი (ლიონი, საფრანგეთი), კლოსი (ოსერი, საფრანგეთი), ჰაიტო (დუისბურგი, გერმანია), სიადაშკა (აუსტრია, ავსტრია), ზელინსკი (ლეგია), ზაიაცი (ვისლა), კალიშანი (პოლონია); ნახევარმცველები: სვიერჩევსკი (ბასტია, საფრანგეთი), მაიაკი (ჰანზა, გერმანია), ნოვაკი (ვოლფსბურგი, გერმანია), ბრჟეჩეკი (მაკაბი ჰაიფა, ისრაელი), მიხალსკი (ვიძევი), ზრასა (ფეიენოორდი, ჰოლანდია), ჩერეშევსკი (ლეგია); თავდამსხმელები: ბიზაკი (რუხი), ტრჟეჩიაკი (ოსასუნა, ესპანეთი), იუსკოვიაკი (ვოლფსბურგი)

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტური

## VIII ჯგუფი. მაკედონია — ირლანდია

მაკედონიას ირლანდიასთან შეხვედრაში ხუთი ფეხბურთელი დააკლდება. ეს თამაში შაბათს გაიმართება. მაკედონიელთა თავკაცმა დრაგან კანატლოვსკიმ განაცხადა, რომ გუნდში გადანაცვლებებს მოახდენს და ირლანდიელთა მწვრთნელი მიკ მაკარტის გუნდს დიდ სირთულეებს შეუქმნის. „ჩვენ არ შევარცხვენთ მაკედონიას. ვიბრძოლებთ მოსაგებად, თუმცა ფრითაც კმაყოფილი ვიქნებით“ — თქვა მან.

ირლანდია მე-2 ადგილზეა VIII ჯგუფში იუგოსლავიის შემდეგ და აუცილებლად სჭირდება გამარჯვება პირველი ადგილის მოსაპოვებლად ან პლეი ოფში მოსახვედრად მაინც. ეს კი იუგოსლავია — ხორვატიის მატჩის შედეგზეა დამოკიდებული. ეს შეხვედრაც შაბათს გაიმართება ზაგრებში. თავის მხრივ ხორვატიასაც მხოლოდ გამარჯვება სჭირდება. ხორვატები მე-3 ადგილზე არიან. როგორც არ უნდა დასრულდეს მაკედონია — ირლანდიის თამაში, მაკედონიელები მე-4 ადგილზე გადიან. მეხუთე ადგილზე ამ ჯგუფში მალტაა. „ჩვენ არ გვაინტერესებს, როგორ დასრულდება შეხვედრა ზაგრებში, თუმცა ამ თამაშს დიდი მნიშვნელობა აქვს“ — თქვა კანატლაროვსკიმ. მაკედონიელებს შაბათს დააკლდებათ: მცველები — სტოიკოვსკი და ნიკოლოვსკი, ნახევარმცველები — სტოჟანოვსკი და ტრენევსკი, ასევე ძირითადი მეკარე ნიკოლოვი. ისინი დაშავებულები არიან.

ირლანდიელთა ბანაკში ახალგაზრდა კინის პრობლემა დგას: შეგახსენებთ, რომ მას მუხლის ტრავმა აწუხებდა. „ჩვენ ვაკვირდებით მას და დარწმუნებული ვარ, ყველაფერი კარგად იქნება. იგი ითამაშებს“. 19 წლის კინმა პირველი გოლი წინა თვეში შეაგდო მალტის ნაკრების კარში. ის თამაში ირლანდიამ 3:2 მოიგო. „ქოვენთრის“ მწვრთნელმა გორდონ სტრაჩანმა (სადაც კინი თამაშობს) ეჭვი გამოთქვა ამ ფეხბურთელის მზადყოფნის გამო. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც „ქოვენთრიმ“ 1:1 ითამაშა „ევერტონის“ წინააღმდეგ. და კიდევ, მაკარტი არ არის დარწმუნებული, დააყენოს თუ არა ლი კარსლი დაშავებული როი კინის ადგილზე. იქნება თუ არა იგი სასარგებლო, ეჭვობს მწვრთნელი. „ბლექბერნის“ ფეხბურთელმა კვირას ფეხი დაიზიანა და საავადმყოფოში მოხვდა.

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტური

## VIII ჯგუფი. ხორვატია — იუგოსლავია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხორვატთა მწვრთნელმა მიროსლავ ბლაჟევიჩმა გუნდში კაპიტანი ზვონიმირ ბობანი მიიწვია, თუმც მილანელის თამაში საეჭვოა — მას მუცლის კუნთი აქვს დაჭიმული. თუ ბობანი გუნდს ვერ დაეხმარება, მწვრთნელს მის შემცვლელებად ჰამბურგელი ნიკო კოვაჩი ან კროაციელი ტომისლავ რუკავინა ეგულება.

ხორვატებს ძალიან სურთ, დაამარცხონ იუგოსლავია, ქვეყანა, რომელსაც 1991 წელს გამოეყვნენ. წინა შეხვედრა კი ბელგრადში უგოლოდ დასრულდა.

„ეს ურთულესი მატჩი იქნება — თქვა ბლაჟევიჩმა — არა მხოლოდ უდიდესი ფსიქოლოგიური დატვირთვის გამო. იუგოსლავია უძლიერესი გუნდია და მთავარი სწორედ ეს გახლავთ.“

ხორვატებს არ ეყოლებათ ვესტჰემელი იგორ შტიმაცი. მას სავარაუდოდ კროაციელი ვეტერანი გორან ჯურიჩი ან შტუტგარტელი ზვონიმირ სოლდო შეცვლის. ბრუნდება ლაციოელი ალენ ბოკშიჩი, რომელიც ბოლო ერთი წლის განმავლობაში პირველად შეუწყვილდება დავორ შუკერს.



მიროსლავ ბლაჟევიჩი

მეკარეები: ლადიჩი (კროაცია), მრმიჩი (ვარტეკსი); მცველები: ჯურიჩი (კროაცია), ბილიჩი (ევერტონი, ინგლისი), სიმიჩი (ინტერი, იტალია), სოლდო (შტუტგარტი, გერმანია), კოვაჩი (ლევერკუზენი, გერმანია), იარნი (რეალი, ესპანეთი), ტუდორი (იუვენტუსი, იტალია); ნახევარმცველები: ასანოვიჩი (პანათინაიკოსი, საბერძნეთი), ბობანი (მილანი, იტალია), ჟურჩიჩი, რუკავინა, ბისკანი, სარიჩი (ყველა კროაცია), სტანიჩი (პარმა, იტალია), კოვაჩი (ჰამბურგი, გერმანია); თავდამსხმელები: შუკერი (არსენალი, ინგლისი), ბოკშიჩი (ლაციო, იტალია), რაპაიჩი (პერუჯა, იტალია), სიმიჩი (კროაცია), ვუგრინეცი (ტრაბზონსფორი, თურქეთი).

იუგოსლავიელების მწვრთნელმა ვუიადინ ბოშკოვმა ის 21 ფეხბურთელი დაასახელა, რომლებიც ხორვატებს შეებრძოლებიან. მათგან მხოლოდ ორი თამაშობს იუგოსლავიურ კლუბში.

ვეტერანმა მწვრთნელმა თქვა: „გაიმარჯვებს ის, ვინც ფსიქოლოგიურად უკეთ მოემზადება.“ იუგოსლავიელებს ფრეც ხელს აძლევთ, ხორვატებს კი მხოლოდ გამარჯვება სჭირდებათ.

„ჩვენ არც ისე ბევრის გაკეთება შეგვიძლია ფეხბურთელების ფსიქოლოგიური და ტაქტიკური შესაძლებლობების გასაუმჯობესებლად. მაგრამ უნდა ვიმუშაოთ იმაზე, რომ მათ აზსოვდეთ მოახლოებული ბრძოლა.“

მწვრთნელის განცხადებით, იგი მთავარ ყურადღებას მეკარეების სათამაშო ფორმას უთმობს, მათგან კი ორის მდგომარეობა არ მოსწონს.

„ვფიქრობ, ჩვენი ფეხბურთელები განსაკუთრებული პასუხისმგებლობით მოეკიდებიან იმ ფაქტს, რომ მათი მეტოქე წინა მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალოსანია“ — დაუმატა ბოშკოვმა.

მეკარეები: კრალი (პსვ, ჰოლანდია), კოსიჩი (ცრვენა ზვეზდა), ჟილიჩი (ვოივოდინა); მცველები: მირკოვიჩი (იუვენტუსი, იტალია), ჯოროვიჩი (სელტა, ესპანეთი), ჯუკიჩი (ვალენსია, ესპანეთი), მიხაილოვიჩი (ლაციო, იტალია), კომლიენოვიჩი (კაიზერ სლაუტერნი, გერმანია), ბოლიჩი (სალერნიტანა, იტალია), საველიჩი (ბორდო, საფრანგეთი); ნახევარმცველები: იოკანოვიჩი (დეპორტივო, ესპანეთი), დრულოვიჩი (პორტუ, პორტუგალია), გროზდიჩი (ვიტესი, ჰოლანდია), გოვედარიცა (ვალვაიკი, ჰოლანდია), სტოიკოვიჩი (ნაგოია, იაპონია), სტანკოვიჩი (ლაციო, იტალია), ნადი (ოვიედო, ესპანეთი); თავდამსხმელები: მიატოვიჩი (ფიორენტინა, იტალია), სავიჩევიჩი (რაპიდი, ავსტრია), მილოშევიჩი (სარაგოსა, ესპანეთი), კოვაჩევიჩი (იუვენტუსი, იტალია).

# ენდობა, არ ენდობა




კევინ კიგანი ძიებაშია

რობერტ ვასეიგე, ბელგიის ეროვნული ნაკრების ახალი მწვრთნელი, ინგლისელებთან ამხანაგური თამაშისთვის ემზადება. კრიზისით მოცულ გუნდში მხსნელის სტატუსით მისულმა კაცმა ნაკრებში „ანდერლეხტის“ ხუთი და საზღვარგარეთ მოთამაშე ამდენივე ფეხბურთელი იახლა. მათ შორისაა ესპანური „ესტრემადურას“ მეკარე რონალდ გასპერჩიჩიც.

ბელგიელთა გუნდში არ იქნებიან „ბრიუგეს“ დაშავებული მოთამაშეები ფილიპ ვანდე ვალე და გერტ ვერჰეიენი, ხოლო ანდერლეხტელი ვალტერ ბასეგიო ამჯერად 21 წლამდელთა ნაკრებში გამოვა.

„ლიერსის“ წევრი ერიკ ვან მეირი მისი კლუბის საუცხოო სტარტისთვის წაახალისეს და ეროვნული გუნდის დაფლეთილი დაცვის შესაკვრელად იხმეს.

საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ მოედნის შუაში ლეგიონერები, პარმელი იოჰან ვალემი და „შალკეს“ მოთამაშე მარკ ვილმოტსი — ჰოლანდიასთან მატჩის დროს იგი მოედნიდან გააძევეს — ახლა „ბრიუგეს“ წევრის, ადრე კი „ქოვენთრი სიტის“ ნახევარმცველის ფილიპ კლემენტის დახმარებით შეეცდებიან ინგლისელ შუახაზელთა შეჩერებას.

თავდასხმაში კი ვასეიგე „სტანდარდის“ ფორვარდ ძმებს მპენზებს ენდობა, რომელთა გარდა გენკელი ბრანკო შტრუპარი და ბელგიის ჩემპიონატის ბომბარდირთა ლიდერი ვესტერლოელი ტონი ბრონო არიან გამოძახებული.

ამასობაში ინგლისის ნაკრების მეთაურმა, კევინ კიგანმა „ჩელსიდან“ დენის უაიზი და „მიდლსბროდან“ პოლ ინსი დაუბრუნა ეროვნულ საქმეს.

კიგანმა სანდერლენდში დანიშნული შეხვედრისთვის 25 ფეხბურთელი იახლა, მაგრამ ამ ერთობ გრძელ სიაშიც კი ვერ მოიძებნა ადგილი დევიდ ბეტისთვის, რომელიც 8 სექტემბერს, პოლონეთთან ოფიციალური შეხვედრის დროს, მოედნიდან გააძევეს.

მარტო ბეტი როდია ამ დღეში. იმ ხალხიდან, კიგანს ვარშავაში რომ ახლდნენ მწვრთნელს ბელგიელებთან სათამაშოდ თერთმეტი არ დაუბარებია. ამ თერთმეტიდან თავის დამშვიდების საბაბი ტრავმირებულებს, რობი ფაულერს, გარი ნევილს და სტივ მაკმანამანს თუ აქვთ.

ემილ ჰესკის და სტივ გაპის — ნაკრებში პირველადაა — გამოძახება „ლესტერ სიტის“ კარგი სტარტის დამსახურება გახლავთ.

დავუბრუნდეთ უაიზს. მას ნაკრებში სულ 12 შეხვედრა აქვთ ჩატარებული, რომელთაგან ბოლო სამი წლის წინ უნგრეთის ნაკრების წინააღმდეგ იყო.

რაც შეეხება ინსს, მას თებერვლის მერე აღარ მოურგია ნაკრების მაისური, თებერვალში კი გეხსომებათ, ინგლისელებმა ამხანაგური მატჩი გამართეს „უემბლიზე“ მსოფლიოს ჩემპიონ ფრანგებთან და 0:2 იწვნიეს.

მიწვეულთა შორისაა „ვესტ ჰემის“ ნახევარმცველი ტრევორ სინკლერი, 21 წლამდელთა და B ნაკრების ბრძოლებში შემოწმებული კაცი.

ტოტენჰემელი მეკარის იან უოქერის ადგილი ამჯერად „იფსვიჩ თაუნის“ კარის მცველს, რიჩარდ რაიტს ერგო, მაგრამ მთავარ მეკარედ „არსენალის“ პირველი ნომერი, დევიდ სიმენი რჩება, რომელმაც ტკივილები მოირჩინა.

ბელგია — მეკარეები: დე ვლიეგერი (ანდერლეხტი), გასპერჩიჩი (ესტრემადურა); მცველები: ბროკენი (ანდერლეხტი), დე ბუკი (ანდერლეხტი), დეფლანდრე (ბრიუგე), ჰენდრიკსი (გენკი), ვან მეირი (ლიერსი), ოიენი (ანდერლეხტი), პეეტერსი (არმინია, გერმანია), ვან კერკჰოვენი (შალკე, გერმანია); ნახევარმცველები: გოორი (ანდერლეხტი), ტანკე (მუსკრონი), ვანდერჰაეგე (მუსკრონი), ვალემი (პარმა, იტალია), კლემენტი (ბრიუგე), ვილმოტსი (შალკე, გერმანია); თავდამსხმელები: ე. მპენზა, მ. მპენზა (ორივე სტანდარდი), სტრუპარი (გენკი), ბრონიო (ვესტერლო)

ინგლისი — მეკარეები: სიმენი (არსენალი), მარტინი (ლიდსი), რაიტი (იფსვიჩი); მცველები: გრეი (სანდერლენდი), ფ. ნევილი (მანჩესტერ იუნაიტედი), ლე სო (ჩელსი), ადამსი, კიოუნი (არსენალი), საუთგეიტი (ასტონ ვილა), ვუდგეიტი (ლიდსი); ნახევარმცველები: გაპი (ლესტერი), სინკლერი (ვესტ ჰემი), დაიერი (ნიუკასლი), ლამპარდი (ვესტ ჰემი), ბექემი (მანჩესტერ იუნაიტედი), პარლოუ (არსენალი), ინსი (მიდლსბრო), რედნეპი (ლივერპული), უაიზი (ჩელსი); თავდამსხმელები: სქოულზი (მანჩესტერ იუნაიტედი), შირერი (ნიუკასლი), ოუენი (ლივერპული), ჰესკი (ლესტერი), ფილიპსი (სანდერლენდი), სატონი (ჩელსი).

# ბრაზილიელი ვარსკვლავი



რონალდო დაჩიავდაო, ფეხბურთს ველარ თამაშობსო, ორი წელიწადი სრულდება ხეირიანი არაფერი გაუკეთებიაო და ასე შემდეგ.

„ინტერმა“ იმდენი ვარსკვლავი იყიდა, რომ გვარი ალარაფერს გიკეთებს, გინდა რონალდო იყავი და გინდა პელე. რონალდო ბოლო დროს სათადარიგოთა სკამზე ხშირად ზის. ეს ის პოზიციაა, რომლის გამოც ქართველი ვარსკვლავები ამბობენ მწვრთნელი რაღაცას მერჩის, გადამეკიდა, ჩემს ფეხბურთს არ მათამაშებსო.

რონალდო კი ქართველი არ არის. იქნებ ქართველი ვარსკვლავების გაგებით ვარსკვლავი სულაც არ იყოს. ის ამბობს: „ისეთ ქომაგებს, „ინტერს“ რომ ჰყავს, დედამიწის ზურგზე ვერსად ნახავთ. მსურს მათ განვუცხადო, რომ აქედან წასვლა გულშიც არ გამივლია და სანამ „ინტერთან“ ერთად სკუდეტოს არ მოვიპოვებ აქ დავრჩები“.

ბევრს ეგონა, რომ რონალდო გასულ ზაფხულს „ინტერიდან“ წავიდოდა. კონკურენცია იქით იყოს და გუნდი მერვე ადგილზე გავიდა, უევროპოდ დარჩა. ერთი კვირის წინ „ნიუკასლ იუნაიტედის“ მწვრთნელმა, ბობი რობსონმა, მილანში წერილი აფრინა, მაგ კაცს თქვენ მაინც არ იყენებთ და მე მათხოვეთო. პასუხი უარი იყო.

„ინტერს“ 1989 წლის მერე ალარ მოუგია სკუდეტო. გულშემატკივარს რონალდოსა და კრისტიან ვიერის წყვილის ეიმედებოდა, მაგრამ ბრაზილიელმა პირველი გოლი მხოლოდ ახლა შაბათს გაიტანა. ისიც, მეორე ტაიმის მეშვიდე წუთამდე სკამზე იჯდა.

„რონალდო ნამდვილი რონალდო 23 ოქტომბრისთვის, „ინტერ“ — „მილანის“ „სან სიროული“ დერბისთვის იქნება. დიდი მატჩი გველის, არა?“ — თქვა ფორვარდმა.

რონალდომ იცის, რომ მწვრთნელი არაფერს ერჩის, პირიქით, მისი კარგი თამაში აძლევს ხელს. მან ისიც იცის, რომ ძალიან კარგად შეუძლია თავისი საქმის კეთება და თან მუშაობს, არაფერს თაკილობს, გამარჯვება უნდა.

არა, ის ნამდვილად არ არის ქართველი ვარსკვლავი.

# აზია თანახმაა

ხანგრძლივი დისკუსიისა და სჯა-ბაასის შემდეგ ფიფამ საბოლოოდ დაითანხმა აზიის ფეხბურთის ფედერაცია, მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის საფინალო ადგილებისთვის პლეი ოფში მიიღოს მონაწილეობა. როგორც იცით, ტურნირი კორეასა და იაპონიაში ტარდება და მათ, როგორც მასინძელ ქვეყნებს, ადგილები უკვე დაჯავშნული აქვთ, ხოლო კიდევ ორი აზიის საკვალიფიკაციო ეტაპის გამარჯვებული, ავტომატურად მოხვდება ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე. გადაწყდა, რომ ფიფა აზიისათვის მხოლოდ იმ ოთხი ადგილის მინიჭებით შემოიფარგლა. ამაზე აზიის ფეხბურთის ფედერაციამ პროტესტი გამოთქვა. ხანგრძლივი დისკუსიის შემდეგ ფიფამ მათთვის მეხუთე ადგილის გამოყოფაზე თანხმობა განაცხადა, მაგრამ იმ პირობით, რომ ამ უკანასკნელი საგზურის ბედს უეფას რომელიმე წევრ ქვეყანასთან პლეი ოფში გაარკვევდა.

აზიამ ეს არ იკმარა და ევროპის ქვეყნის ნაცვლად ავსტრალია-ოკეანიის საფეხბურთო კავშირის წევრთან მოინდომა პლეი ოფის გამართვა. მეორე დათმობაზე ფიფა უკვე ალარ წავიდა და აზიას კატეგორიულად დაუსვა საკითხი, ურჩობა შეეწყვიტა. ისიც რას გააწყობდა და საბოლოოდ დათანხმდა მოთხოვნას.

ამ საკითხზე გამართული დისკუსიის შემდეგ ჟენევაში, პრესკონფერენციაზე, ფიფას პრეზიდენტმა ზეპ ბლატერმა განაცხადა, რომ იგი მოხარულია პრობლემის საბოლოოდ მოგვარებით და აზიასთან საერთო ენის გამონახვით. „ლოგიკურია, რომ აზიას სურდა პლეი ოფში ოკეანიასთან მონაწილეობა, მაგრამ ეს არ გამოვიდა და ახლა შეიძლება აზია გადაწყვეტილებით მოხიბლული არ გახლავთ, მაგრამ, რაც მთავარია, მათ ეს წინადადება მიიღეს და უსიტყვოდ დათანხმდნენ. რაოდენ სასიხარულოა ის ფაქტი, რომ ფეხბურთის დიდ ოჯახში განხეთქილება არ ჩამოვარდა“ — აცხადებს ბლატერი.

ფიფამ აზიის სასარგებლოდ ვერც მეორე საკითხი გადაწყვიტა. საქმე ეხებოდა იმავე მსოფლიოს ჩემპიონატის ჩატარების თარიღს. აზია ტურნირის მაისის თვეში დაწყებას მოითხოვდა და ამას ივნის-ივლისში წვიმიანი სეზონით ხსნიდა. ჩემპიონატის მაისში ჩატარების კატეგორიული წინააღმდეგი, რა თქმა უნდა, უეფა იყო, რადგან ამ დროს ევროპის ქვეყნებში საფეხბურთო სეზონია და თარიღის ცვლილება მათ ისედაც გადატვირთულ კალენდარზე, ბუნებრივია, ძლიერ იმოქმედებდა.

„ჩვენ არ შეგვიძლია, ჩემპიონატის ვადები მაისში გადავწიოთ — აცხადებს უეფას გენერალური მდივანი გერჰარდ აიგნერი — ერთი კვირა, აი, ის მაქსიმუმი, რომელსაც შეიძლება კიდევ დავეთანხმოთ.“

ჟენევაში იმ დღეს მრავალი საკითხი განიხილეს, მათ შორის 2002 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო მატჩების ორგანიზება. დაისვა საკითხი სხვადასხვა კონტინენტებზე თამაშების ერთდროულად ჩატარებისა, რაც ფეხბურთელებს, რომლებიც სხვადასხვა ქვეყანაში თამაშობენ, მრავალ პრობლემას აცილებს თავიდან.

შეეხნენ აგრეთვე 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობის პრეტენდენტი ქვეყნების — ინგლისის, გერმანიის, სამხრეთ აფრიკის, მაროკოს, ბრაზილიის თემებსაც. აგრეთვე ჩემპიონატებზე ბილეთების მაგივრად ელექტრონული ციფრული ბარათების გამოყენებას.

ნიკა ზუბლაძე

# სამხრეთ ამერიკა

## ბრაზილია

მარიო ზაგალოს „პორტუგეზა“ 2:0-ს იგებდა „პალმეირასთან“ შეხვედრაში, თუმცა სამი გოლის გაშვება მოახერხა, და წააგო.

ლეანდროს და ალეშანდრეს გოლებით, რომლებიც მატჩის დაწყებიდან 11 წუთში შეაგდეს, „პორტუგეზა“ დაწინაურდა. პალმეირასელებმა სეზარ სამპაიომ, ბრაზილიის ნაკრების ყოფილმა წევრმა და პაულო ნუნესმა პირველივე ტაიმში აღადგინეს წონასწორობა. შემდეგ ზინიომ, რომელიც ასევე გვახსოვს 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატიდან, გამარჯვების გოლი გაიტანა საჯარიმოთი. „პალმეირასის“ მწვრთნელმა ლუის ფელიპე სკოლარიმ ამჯერადაც არ გაიყვანა მინდორზე კოლუმბიელი ფაუსტინო ასპრილია. ამ გამარჯვების შემდეგ ლიბერტადორესის თასის მფლობელი „პალმეირასი“ მე-7 ადგილზე იმყოფება.

„ფლამენგომ“ ხელიდან გაუშვა შანსი დაწეოდა ლიდერ „კორინთიანსს“, წააგო რა თავისი შეხვედრა ანგარიშით 0:3 „ატლეტიკო მინეიროსთან“.

„ვასკუ და გამა“ 1:2 დამარცხდა „სან პაულოსთან“. ეს თამაში „მარაკანაზე“ გაიმართა, რადგან „ვასკუ და გამას“ აკრძალული აქვს თავის სტადიონზე თამაში. მიზეზი ისაა, რომ 10 დღის წინ კლუბის დირექტორმა ბურთი გაიტაცა და თამაში ჩაშალა.

ამ ტურში ორ მწვრთნელს ჰქონდა დებიუტი. კლაუდიო დუარტეს „გრემიომ“ 1:1 ითამაშა „პარანასთან“. ოტასილიო გონსალესი, რომელიც დუარტეს ყოფილ გუნდს „გამას“ წვრთნის, ასევე ფრეს დასჯერდა „ჟუვენტუდესთან“ თამაშში. მატჩი 0:0 დასრულდა.

ბრაზილიის ჩემპიონატის სისტემის მიხედვით, რვა საუკეთესო გუნდი მეოთხედფინალებში განაგრძობს ბრძოლას.

დავუბრუნდეთ „პორტუგეზას“ და მის სახელოვან მწვრთნელს მარიო ზაგალოს. ზაგალოს ავტორიტეტი და გამოცდილება ვერაფრით დაეხმარა სან პაულოს ამ მოკრძალებულ კლუბს. ის ცხრა თვე, რომელიც სახელოვანმა ბრაზილიელმა გუნდში გაატარა, ფიასკოთი დასრულდა. „პორტუგეზა“ მე-20 ადგილზეა. ჩემპიონატში კი სულ 22 კლუბი გამოდის. გუნდის წარმომადგენელმა, რომელმაც ზაგალოს წასვლის შესახებ განაცხადა, ვეტერან



„ბებერი მგელი“ მარიო ზაგალო

ბრაზილიელს „ბებერი მგელი“ უწოდა. მანვე გაიხსენა ის უდიდესი სიხარული, რაც ზაგალომ მთელ ბრაზილიას 1970 წელს მოუტანა. აღსანიშნავია, რომ ხელფასს ზაგალო წლის ბოლომდე მიიღებს. თუმცა კლუბის წარუმატებლობაში მხოლოდ ზაგალოს დადანაშაულება არ შეიძლება. ჩემპიონატის სტარტის წინ გუნდს ხუთი ძირითადი მოთამაშე გამოაკლდა. „ის არ არის დამნაშავე, იგი გარემოებების მსხვერპლია. მაგრამ როდესაც გუნდი ძალიან ცუდ შედეგს აჩვენებს, მთელი ტვირთი მწვრთნელმა უნდა ზიდოს“ — თქვეს კლუბის ხელმძღვანელებმა. ზაგალოს „პორტუგეზაში“ მისვლამდეც აკრიტიკებდნენ. 1998 წელს ბრაზილია ვერ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი. ბრაზილიელთათვის კი ნებისმიერი სხვა შედეგი მიუღებელია. თვით „პორტუგეზა“ ვერ დაიკვეხნის დიდი მიღწევებით. გუნდი 1973 წელს სან პაულუს შტატის ჩემპიონი გახდა. ხოლო 1996 წელს ბრაზილიის ჩემპიონატის ფინალამდე მიაღწია. წელს კლუბს ურიგოდ არ დაუწყია თამაში. რამდენიმე შთამბეჭდავი გამარჯვებაც მოიპოვა. შემდეგ კი დიდ ბრაზილიურ ოთხეულს გადააწყდა — „სანტოსი“, „სან პაულო“, „კორინთიანსი“ და „პალმეირასი“. ზაგალოს მეტის გაკეთება არ შეეძლო. ცენტრალური მცველი სეზარი „პარი სენ ჟერმენში“ გაიყიდა, ავგუსტო ძველ კლუბს დაუბრუნდა. კიდევ სამი მოთამაშე სერიოზულად დაშავდა.

თუმცა ზაგალოს შეუძლია იამაყოს. მან ხომ ოთხი მსოფლიოს ჩემპიონატი მოიგო 1958 და 62 წლებში როგორც ფეხბურთელმა. 1970 წელს როგორც მწვრთნელმა და 1994 წელს მთავარი მწვრთნელის თანაშემწე.

საინტერესოა, რომ ზაგალო მე-16 მწვრთნელი აღმოჩნდა, რომელიც წელს კლუბიდან დაითხოვეს.

ბოლო ტურში „პორტუგეზამ“ [illegible] წააგო 0:1 „კორინთიანსთან“. იგი კვლავ მე-20 ადგილზეა და დაკარგული აქვს პრაქტიკულად ყველა შანსი მეოთხედფინალში გასვლისა. „კორინთიანსი“ კი ლიდერობს ჩემპიონატს. მას 13 ტურის შემდეგ 28 ქულა აქვს. ეს სამი ქულით მეტია, ვიდრე „სან პაულოს“, „ფლამენგოს“, „ვასკუ და გამას“ და „კრუზეიროს“ აქვთ მოგროვებული. ეს გუნდები ამ ტურში ერთმანეთში არკვევდნენ ურთიერთობას. „სან პაულომ“ და „პალმეირასმა“ 0:0 ითამაშეს. რიოში „ვასკუ და გამამ“ 1:0 მოუგო „ფლამენგოს“, ხოლო „კრუზეირომ“ გაანადგურა მინეიროს „ატლეტიკო“ 3:0. ეს შეხვედრა ბელუ ორიზონტიში ჩატარდა. აღსანიშნავია, რომ „ვასკოს“ და „ფლამენგოს“ მატჩს 82 ათასი მაყურებელი ადევნებდა თვალს. ამ შეხვედრაში გოლი ჟუნინიომ გაიტანა.

მე-13 ტური: გამა — ჟუვენტუდე 0:0; ვიტორია — კრუზეირო 4:1; რესიფე — ინტერნასიონალი 0:0; პალმეირასი — პორტუგეზა 3:2; პარანაენსე — პონტე პრეტა 1:0; გრემიო — პარანა 1:1; სანტოსი — კურიტიბა 1:1; ვასკუ და გამა — სან პაულუ 1:2; ატლეტიკო მინეირო — ფლამენგო 3:0.

მე-14 ტური: ინტერნასიონალი — სანტოსი 1:2; გუარანი — პარანაენსე 1:2; პორტუგეზა — კორინთიანსი 0:1; კურიტიბა — გრემიო 4:0; ფლამენგო — ვასკუ და გამა 0:1; პონტე პრეტა — რესიფე 2:0; სან პაულუ — პალმეირასი 0:0; კრუზეირო — ატლეტიკო მინეირო 3:0.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კორინთიანსი | 13 | 9 | 1 | 3 | 31:18 | 28 |
| სან პაულუ | 15 | 8 | 1 | 6 | 30:17 | 25 |
| ფლამენგო | 14 | 8 | 1 | 5 | 24:19 | 25 |
| ვასკუ და გამა | 13 | 7 | 4 | 2 | 19:10 | 25 |
| კრუზეირო | 13 | 7 | 4 | 2 | 27:19 | 25 |
| ატლ. პარანაენსე | 14 | 7 | 3 | 4 | 22:18 | 24 |
| პალმეირასი | 14 | 6 | 5 | 3 | 21:17 | 23 |
| გუარანი | 14 | 7 | 1 | 6 | 19:17 | 22 |
| პონტე პრეტა | 14 | 6 | 4 | 4 | 15:11 | 22 |
| ატლ. მინეირო | 14 | 6 | 3 | 5 | 27:20 | 21 |
| ვიტორია | 14 | 6 | 2 | 6 | 19:23 | 20 |
| სანტოსი | 14 | 5 | 5 | 4 | 15:14 | 20 |
| გამა | 14 | 5 | 3 | 6 | 15:16 | 18 |
| კურიტიბა | 14 | 4 | 5 | 5 | 19:20 | 17 |
| გრემიო | 14 | 4 | 4 | 6 | 18:26 | 16 |
| რესიფე | 14 | 3 | 6 | 5 | 7:10 | 15 |
| ინტერნასიონალი | 14 | 4 | 2 | 8 | 11:18 | 14 |
| პარანა | 12 | 3 | 5 | 4 | 10:13 | 14 |
| რიბეირაო | 15 | 3 | 4 | 8 | 18:29 | 13 |
| პორტუგეზა | 13 | 3 | 3 | 7 | 14:19 | 12 |
| ჟუვენტუდე | 14 | 2 | 6 | 6 | 11:19 | 12 |
| ბოტაფოგო | 14 | 2 | 2 | 10 | 13:32 | 8 |

## არგენტინა

„ბოკა ხუნიორსის“ თავდამსხმელს მარტინ პალერმოს უთანხმოებები აქვს თავის კლუბთან. ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკებები მისი „ლაციოში“ გადასვლასთან დაკავშირებით. ბოლო ტურში „ბოკამ“ 3:1 მოუგო „ხიმნასია ხუხუის“. ორი გოლი პალერმომ შეაგდო და სათავეში ჩაუდგა არგენტინის ჩემპიონატის ბომბარდირთა სიას. პალერმოს 10 ბურთი აქვს გატანილი. „ბოკას“ 9 თამაშიდან 18 ქულა დაუგროვდა. ამდენივე ქულა აქვთ „რივერ პლეიტს“ და „ველეს სარსფილდს“, მაგრამ ბურთების უკეთესი სხვაობით „ბოკა“ მეორე ადგილზე გადავიდა.

ლიდერმა „სან ლორენსომ“, რომელსაც 1986 წლის მსოფლიოს ჩემპიონი ოსკარ რუჯერი წვრთნის, ასევე დაამარცხა მეტოქე „ინსტიტუტო“ ანგარიშით 2:0. გოლები გილერმო ფრანკომ და ლუკას პუსინერომ გაიტანეს. „სან ლორენსო“ „ბოკას“ 3 ქულით უსწრებს.

„რივერ პლეიტი“ და „ველეს სარსფილდი“, რომლებიც ამ ტურამდე მეორე-მესამე ადგილებს იყოფდნენ, მშვიდობიანად გაიყარნენ — 0:0. ბრწყინვალედ ითამაშა „ველესის“ პარაგვაელმა მეკარემ ხოსე ლუის ჩილავერტმა. მან რივერელი რობერტო ბონანოს პენალტი მოიგერია.

გიორგი დარჯანია



მარტინ პალერმო — საუკეთესო არგენტინელი ფორვარდი

მე-9 ტური: სან ლორენსო — ინსტიტუტო 2:0; რივერ პლეიტი — ველეს სარსფილდი 0:0; ლა პლატა — ინდეპენდიენტე 2:0; ნიუელს ოლდ ბოიზი — არგენტინოს ხუნიორსი 0:2; ფერო კარილი — როსარიო 0:4; ჩაკარიტა — კოლონი 4:2; ტალერესი — ბელგრანო 3:1; რასინგი — ესტუდიანტესი 2:0; ხიმნასია ხუხუი — ბოკა ხუნიორსი 1:3; უნიონი — ლანუსი 1:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სან ლორენსო | 9 | 6 | 3 | 0 | 14:5 | 21 |
| ბოკა ხუნიორსი | 9 | 5 | 3 | 1 | 17:7 | 18 |
| ველესი | 9 | 5 | 3 | 1 | 14:5 | 18 |
| რივერ პლეიტი | 9 | 5 | 3 | 1 | 20:12 | 18 |
| რასინგი | 9 | 4 | 5 | 0 | 12:7 | 17 |
| როსარიო | 9 | 5 | 1 | 3 | 17:10 | 16 |
| ლანუსი | 9 | 5 | 1 | 3 | 12:11 | 16 |
| ტალერესი | 9 | 4 | 3 | 2 | 14:10 | 15 |
| არგ. ხუნიორსი | 9 | 3 | 4 | 2 | 11:8 | 13 |
| ლა პლატა | 9 | 2 | 5 | 2 | 11:9 | 11 |
| ჩაკარიტა | 9 | 2 | 4 | 3 | 16:16 | 10 |
| ინსტიტუტო | 9 | 2 | 4 | 3 | 11:14 | 10 |
| ბელგრანო | 9 | 2 | 4 | 3 | 10:13 | 10 |
| ესტუდიანტესი | 9 | 3 | 1 | 5 | 13:19 | 10 |
| კოლონი | 9 | 2 | 3 | 4 | 9:12 | 9 |
| ინდეპენდიენტე | 9 | 1 | 5 | 3 | 8:11 | 8 |
| ოლდ ბოიზი | 9 | 1 | 4 | 4 | 8:11 | 7 |
| უნიონი | 9 | 2 | 1 | 6 | 8:15 | 7 |
| ხიმნასია ხუხუი | 9 | 1 | 1 | 7 | 6:19 | 4 |
| ფერო კარილი | 9 | 0 | 2 | 7 | 4:21 | 2 |

## სლოვენია

IV ტური

**ტრიგლავი — ლოკა კავა 67:58, ჰელიოსი — სავინსკი 97:94, სლოვანი — მარიბორი 62:68, როგლა ატრასი — ოლიმპია 68:110, ზაგორიე — კრკა 90:99, პივოვარნა — კრაშკი ზიდარი 101:71**

ამ ტურის ორ მატჩში დაინიშნა დამატებითი დრო. „ზაგორიე“ მთელი თამაში სჯობდა გაცილებით ძლიერ „კრკას“ და მიზანთანაც ახლოს იყო: დამთავრებამდე ორი წამით ადრე 83:80 იგებდა. ამ დროს „კრკას“ დრაჟოვიჩი სამქულიანის სასროლად გაემზადა, ზაგორიელი ჩოპი მასზე დაჯარიმდა და დაზარალებულმა სამი საჯარიმოს სროლის უფლება მიიღო. დრაჟოვიჩი სამჯერვე ზუსტი იყო და მატჩიც დამატებით დროში გაგრძელდა. იქ კი „ზაგორიემ“ ვერაფრით დააღწია თავი შოკს და დამარცხდა.

დომზალეს „ჰელიოსის“ ლაშკევიჩმა დამთავრებამდე სამი წამით ადრე 85:83 დააწინაურა თავისიანები „სავინსკის“ წინააღმდეგ. სავინსკელმა კადიჩმა ბოლო წამზე სანწაულებრივი ბურთი ჩააგდო და აქაც დამატებითი დრო დაინიშნა. სავარაუდოდ, ფავორიტად შერაცხულ „სავინსკის“ უნდა გაეტეხა მეტოქე, მაგრამ „ჰელიოსი“ მაგრად დადგა და სირენამდე ოთხი წამით ადრე 95:93 იგებდა. კადიჩს კვლავ მიეცა „სავინსკის“ გადარჩენის შანსი, მაგრამ ორიდან მხოლოდ ერთი საჯარიმო ჩააგდო, ხოლო „ჰელიოსმა“ წარმატებით დააგვირგვინა ბოლო შეტევა.

კვლავ იმარჯვეს და სეზონში მეორედ ას ქულაზე მეტი დააგროვეს ევროლიგის ბინადრებმა, ლიუბლიანის „ოლიმპიამ“ და ლაშკოს „პივოვარნამ“. პრობლემა არც ერთს ჰქონია, უბრალოდ „ოლიმპიამ“ მეორე ტაიმში რვა სამქულიანი (ათი ნასროლიდან) გაუშვა „როგლა ატრასისგან“, ხოლო „კრაშკი ზიდარმა“ ვერც ეს გაუხერხა „პივოვარნას“, რომელსაც აკლდნენ ტრავმირებული ლისიცა და ჟარკოვიჩი.

კრანის „ტრიგლავმა“ ერთი მონაკვეთი 13:4 მოუგო „ლოკა კავას“ და შესვენებისთვის 35:26 დაწინაურდა. მეორე ტაიმში ტრიგლაველთა უპირატესობამ 21 ქულას მიაღწია, ხოლო ამ გუნდის 40 წლის ვეტერანმა ველკო პეტრანოვიჩმა 14 ქულა და 16 მოხსნა გააკეთა.

ქართველების „სლოვანმა“ კი, შეგახსენებთ, გულარხეინობის გამო წააგო საშინაო შეხვედრა აქამდე ბოლო ადგილზე მყოფ „მარიბორთან“. სლოვანელები ერთადერთხელ, მატჩის დასაწყისში იგებდნენ (7:6), მერე რაც მოხდა, გუშინდელ „სარბიელშიც“ მოგახსენეთ.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპია | 4 | 4 | 0 | 376:244 | 8 |
| პივოვარნა | 4 | 4 | 0 | 356:269 | 8 |
| კრკა | 4 | 3 | 1 | 339:282 | 7 |
| ტრიგლავი | 4 | 3 | 1 | 284:278 | 7 |
| სლოვანი | 4 | 2 | 2 | 275:263 | 6 |
| სავინსკი | 4 | 2 | 2 | 324:314 | 6 |
| ზაგორიე | 4 | 2 | 2 | 309:317 | 6 |
| ჰელიოსი | 4 | 2 | 2 | 297:335 | 6 |
| მარიბორი | 4 | 1 | 3 | 283:339 | 5 |
| ლოკა კავა | 4 | 1 | 3 | 247:323 | 5 |
| კრაშკი ზიდარი | 4 | 0 | 4 | 287:342 | 4 |
| როგლა ატრასი | 4 | 0 | 4 | 266:337 | 4 |

## საბერძნეთი

II ტური

**აეკ — ესპეროსი 81:62, არისი — ირაკლიონი 68:60, დაფნი — პაოკ 62:78, ნიარ ისტი — ირაკლისი 67:56, ოლიმპიაკოსი — მარუსი 60:51, პანიონიოსი — სპორტინგი 80:53, პერისტერი — პანათინაიკოსი 45:58**

საბერძნეთის ჩემპიონატი ყოველგვარი მოულოდნელობების გარეშე მიმდინარეობს. ფავორიტები, მართალია, ცოტა ქულებს აგროვებენ, მაგრამ კიდევ უფრო ცოტას უშვებენ. ამაში არაფერია გასაკვირი: „პანათინაიკოსი“ და „ოლიმპიაკოსი“ ხისტი დაცვითი ტაქტიკის უპირველესი ქადაგები არიან.

ლიდერებშია გარეული ათენის აეკი, რომელიც მეორე ტურში „ესპეროსს“ დაუხვდა. ამ მატჩში ერთმანეთს საქართველოში გაზრდილი კალათბურთელები დაუპირისპირდნენ. ექსთბილისელმა ესპეროსელმა იგორ მორაიტისმა (მურაიტოვი) 7 ქულა გააკეთა, ექსსოხუმელმა აეკელმა იაკოვოს ცაკალიდისმა (ცაკალოვი) 6 ქულა.

აეკ-მა დიდი უპირატესობით გაიმარჯვა, მაგრამ, სავარაუდოდ, პირველ წაგებას მომდევნო ტურშივე, 10 ოქტომბერს იწვნევს: ათენურ დერბიში „პანათინაიკოსს“ სტუმრობს.

ტურის საუკეთესო მოთამაშედ კი პაოკ-ის ამერიკელი ბილ ედვარდსი აღიარეს. „დაფნისთან“ თამაშისას მან 26 ქულა დააგროვა.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პანათინაიკოსი | 2 | 2 | 0 | 137:99 | 4 |
| პაოკ | 2 | 2 | 0 | 158:124 | 4 |
| აეკ | 2 | 2 | 0 | 165:137 | 4 |
| ოლიმპიაკოსი | 2 | 2 | 0 | 115:103 | 4 |
| პანიონიოსი | 2 | 1 | 1 | 142:133 | 3 |
| ირაკლისი | 2 | 1 | 1 | 137:136 | 3 |
| არისი | 2 | 1 | 1 | 137:141 | 3 |
| პერისტერი | 2 | 1 | 1 | 126:131 | 3 |
| ნიარ ისტი | 2 | 1 | 1 | 121:135 | 3 |
| დაფნი | 2 | 1 | 1 | 129:144 | 3 |
| მარუსი | 2 | 0 | 2 | 117:127 | 2 |
| ირაკლიონი | 2 | 0 | 2 | 112:123 | 2 |
| ესპეროსი | 2 | 0 | 2 | 135:162 | 2 |
| სპორტინგი | 2 | 0 | 2 | 128:164 | 2 |

## იტალია

IV ტური

**ვარეზე — ფორტიტუდო 65:79, კინდერი — ადეკო 85:55, აეროპორტი — პესი 80:68, იმოლა — სკავოლინი 78:93, მიულერი — სიენა 57:55, ძუკეტი — კანტუ 89:60, ტრიესტი — რეჯანა 70:61, ვიოლა — ბენეტონი 63:61**

რეჯო კალაბრიას „ვიოლა“ ფავორიტთა რისხვად იქცა. პირველ ტურში ამ გუნდმა ბოლონიის „კინდერი“ დაიფრინა, ამჯერად კი ევროლიგის ბინადარი, ტრევიზოს „ბენეტონი“ გაუშვა შინ კუდამოძუებული. მართალია, „ბენეტონს“ რამდენიმე მოთამაშე დაშავებული ჰყავს, ამერიკელი გამთამაშებელი ტაიუს ედნი ტრავმის გამო საერთოდ ვერ თამაშობს, მაგრამ „ვიოლასთან“ მარცხი მაინც მოულოდნელია.

პირველად გაიმარჯვა „ტრიესტმა“, რომელმაც შინ სძლია „რეჯანას“. ახლა ჩემპიონატში გუნდი აღარ დარჩა, მოგების სიხარული რომ არ განეცადოს.

სამაგიეროდ, კიდევ არსებობს წაუგებელი გუნდი — ბოლონიის „ფორტიტუდო“ (ყოფილი „ტიმსისტემი“), რომლისთვისაც სულერთია, შინ თამაშობს თუ გარეთ. ამჯერად ბოლონიელებმა სტუმრად მოუგეს იტალიის ჩემპიონ „ვარეზეს“. ვარეზელებმა ოთხ დღეში მეორედ წააგეს. შეგახსენებთ, რომ ხუთშაბათს ისინი ევროლიგის საშინაო მატჩში დამარცხდნენ სტამბოლის „ულქერთან“.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ფორტიტუდო | 4 | 4 | 0 | 303:262 | 8 |
| კინდერი | 4 | 3 | 1 | 314:240 | 7 |
| მიულერი | 5 | 2 | 3 | 338:336 | 7 |
| ვარეზე | 5 | 2 | 3 | 346:359 | 7 |
| სიენა | 4 | 2 | 2 | 268:252 | 6 |
| ძუკეტი | 4 | 2 | 2 | 272:261 | 6 |
| სკავოლინი | 4 | 2 | 2 | 304:308 | 6 |
| იმოლა | 4 | 2 | 2 | 309:316 | 6 |
| აეროპორტი | 4 | 2 | 2 | 273:283 | 6 |
| ბენეტონი | 4 | 2 | 2 | 264:275 | 6 |
| რეჯანა | 4 | 2 | 2 | 303:315 | 6 |
| ადეკო | 4 | 2 | 2 | 276:288 | 6 |
| ვიოლა | 4 | 2 | 2 | 274:294 | 6 |
| კანტუ | 4 | 2 | 2 | 282:304 | 6 |
| ტრიესტი | 4 | 1 | 3 | 278:290 | 5 |
| პესი | 4 | 1 | 3 | 282:303 | 5 |

ვაქირავებ ან ვყიდი
გარემონტებულ 1-ოთახიან იზოლირებულ ბინას
სარაჯიშვილის მეტროსთან ☎ 60 21 23

## საფრანგეთი

IV ტური

**ბეზანსონი — შამპანი 79:55, დიჟონი — გრაველინი 70:66, შოლე — საონი 74:58, ევრე — ლიმოჟი 67:57, ანტიბი — პარი სენ ჟერმენი 48:77, ლე მანი — ნანსი 70:64, პო ორტეზი — მონპელიე 94:81, ვილერბანი — სტრასბური 81:75**

საფრანგეთის ჩემპიონატის მეოთხე ტურში ორი სიურპრიზი მოხდა: „შოლესა“ და „ევრეს“ მოგებები, შესაბამისად, „საონსა“ და „ლიმოჟთან“ ბევრისთვის მართლაც მოულოდნელი იყო.

უბადრუკი და საწყალობელი შოლელები სეზონის დაწყებიდან მარცხს მარცხზე განიცდიდნენ შინ თუ გარეთ, საფრანგეთში თუ ევროპაში. საშინაო ჩემპიონატის პირველ სამ ტურში წაგებას ევროლიგის ორი მატჩის წაგებაც მიაყოლეს და ორივე ფრონტზე აუტსაიდერთა რიგებში მოექცნენ. შაბათს მიღწეული გამარჯვება ამ სეზონის პირველი წარმატება იყო მათთვის. ანგარიშის გათვალისწინებით (74:58) „შოლემ“ თამაშის ყველა კომპონენტში დაჩაგრა მოწინააღმდეგე, რომელიც, მართალია ფრანგულ გრანდებს არ განეკუთვნება, მაგრამ არც ნამეტანი სუსტია. მასპინძელთა რიგებში ყველაზე შედეგიანები მილერი და ჩაილდერსი იყვნენ, რომელთაგან თითოეულმა 17 ქულა მოუტანა თავის გუნდს. ისე, უფრო მეტს სტუმრები ესროდნენ, მაგრამ უფრო ზუსტები მასპინძლები იყვნენ. თანაც, საონელები ძალიან ხშირად ჯარიმდებოდნენ და მეტოქემაც ამით კარგად იხეირა — „შოლემ“ 18 საჯარიმო სროლიდან 16 ქულა მოიპოვა.

აქამდე დაუმარცხებელ „ლიმოჟს“ რთული გასვლითი მატჩი ჰქონდა „ევრესთან“ და პირველი წაგებაც დააგემოვნა. ევრელებმა, ვეისის 12 მოხსნის და ბონატოს 20 ქულის მიუხედავად, აშკარად დაჯაბნეს მეტოქე. ვეისისა და ბონატოს გარდა, სხვა ლიმოჟელებმა სათანადოდ ვერ ითამაშეს თავდასხმაში (ბურთის კალათში მოთავსება მხოლოდ 5 სტუმარმა კალათბურთელმა შეძლო) და მასპინძლებმაც გაიმარჯვეს. ამ მარცხით გათამაშების ცხრილში პირველი ადგილი „ლიმოჟმა“ „პარი სენ ჟერმენს“ დაუთმო.

დედაქალაქურმა გუნდმა გასვლით მატჩში „ანტიბი“ გაანადგურა (77:48). ისე, ანტიბელთა გასამართლებლად უნდა ითქვას, რომ მათ ორი თავიანთი საუკეთესო კალათბურთელი სალსტრიომი და მოლინარი აკლდათ. თუმცა, პსჟ იმ დღეს ისე ალმაცერობით თამაშობდა, ძნელი წარმოსადგენია „ანტიბს“, თუნდაც სრული საბრძოლო შემადგენლობით, რამე გაეხერხებინა მის წინააღმდეგ.

კიდევ ერთი გუნდი, რომელიც ჩინებულ ფორმაშია, გახლავთ „პო ორტეზია“. მან თავის სპორტის სასახლეში „მონპელიეს“ სძლია. ეს „პო-ორტეზის“ ზედიზედ 50-ე საშინაო გამარჯვება იყო რეგულარულ სეზონში, რაც საფრანგეთის რეკორდია. მატჩი თავიდან საკმაოდ დაძაბული იყო, რაზეც პირველი ტაიმის ანგარიშიც მეტყველებს — 42:42. წონასწორობა 25-ე წუთამდე შენარჩუნდა (47:47), ამის მერე კი პოელებმა ნელ-ნელა გარდატეხა შეიტანეს თამაშში და თანდათანობით სხვაობაც გაზარდეს. საბოლოოდ 94:81 და საიუბილეო გამარჯვება.

დანარჩენმა მატჩებმა კი ერთობ „წყნარად“ ჩაიარა. ყველა მათგანი მასპინძელთა მოგებით დასრულდა, ერთი ეგ იყო, „ვილერბანისგან“ უმაღლესი ლიგის დებიუტანტ „სტრასბურის“ განადგურებას ელოდნენ, მაგრამ ალზასელები მაგრად დადგნენ და მხოლოდ ექვსი ქულით დათმეს შეხვედრა.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პსჟ | 4 | 3 | 1 | 284:242 | 7 |
| ევრე | 4 | 3 | 1 | 273:247 | 7 |
| ვილერბანი | 4 | 3 | 1 | 284:267 | 7 |
| ლიმოჟი | 4 | 3 | 1 | 275:263 | 7 |
| დიჟონი | 3 | 3 | 0 | 233:183 | 6 |
| პო ორტეზი | 3 | 3 | 0 | 253:218 | 6 |
| ბეზანსონი | 4 | 2 | 2 | 307:286 | 6 |
| სტრასბური | 4 | 2 | 2 | 290:281 | 6 |
| ლე მანი | 4 | 2 | 2 | 267:267 | 6 |
| შოლე | 4 | 1 | 3 | 270:278 | 5 |
| საონი | 4 | 1 | 3 | 269:279 | 5 |
| ნანსი | 4 | 1 | 3 | 249:271 | 5 |
| მონპელიე | 4 | 1 | 3 | 301:329 | 5 |
| შამპანი | 4 | 1 | 3 | 259:292 | 5 |
| გრაველინი | 4 | 1 | 3 | 254:306 | 5 |
| ანტიბი | 4 | 1 | 3 | 329:288 | 5 |

## ესპანეთი

VI ტური

**ფორუმი — კასერესი 59:62, კანარიასი — ტდკ 66:52, ბარსელონა — ესტუდიანტესი 81:65, ტაუ — ბრეოგანი 91:78, კახა სან ფერნანდო — კანტაბრია 84:76, ბადალონა — ხიხონი 91:68, ფუენლაბრადა — ლეონი 74:56, რეალი — უნიკახა 59:54, ხირონა — პამესა 67:78**

ამერიკელი ტანოკა ბერდი ჰყავდეს კარგად და ვალენსიის „პამესას“ დიდხანს არაფერი გაუჭირდება. არა, „პამესა“, რა თქმა უნდა, ოდესმე წააგებს, მაგრამ იმაში, რომ ახლა ექვსიდან ექვსი მოგება აქვს და სატურნირო ცხრილს სათავეში მოქცევია, ტანოკა ბერდის წვლილი უდიდესია. ამ ტურშიც ამერიკელმა 22 ქულა და 20 მოხსნა გაუკეთა „ხირონას“, რამაც მნიშვნელოვნად განაპირობა მისი გუნდის მორიგი მოგება.

„კასერესის“ ამეირკელმა დენი აბრამსმა ვალიადოლიდში, „ფორუმის“ წინააღმდეგ 21 ქულა და 11 მოხსნა მოაგროვა. მატჩამდე კი ცნობილი გახდა, რომ აბრამსი ესპანეთის ჩემპიონატის სექტემბრის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს. ეს კაცი ლიდერობს ჩემპიონატის ბომბარდირებს, ხოლო მოხსნებში მეორე ადგილზეა.

ნელ-ნელა აღწევს თავს სასტარტო ნოკდაუნს სევილიის „კახა სან ფერნანდო“, რომელმაც შინ აჯობა „კანტაბრიას“. საშინაო გამარჯვებები მოიპოვეს და წინა ტურში შელახული პრესტიჟი აღიდგინეს ევროლიგის დანარჩენმა ბინადრებმა, „ბარსელონამ“ და მადრიდის „რეალმა“. ოღონდ, თუკი კატალონიელებმა იოლად დაამარცხეს „ესტუდიანტესი“, დედაქალაქელებს მძიმე ბრძოლა გადახდათ მალაგის „უნიკახასთან“. „რეალში“ ყველაზე შედეგიანი იყო ალექსანდრ ჯორჯევიჩი (15 ქულა), ბელგიელმა ერიკ სტიულენსმა 14 ქულა და 10 მოხსნა გააკეთა.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პამესა | 6 | 6 | 0 | 488:423 | 12 |
| ტაუ | 6 | 4 | 2 | 489:454 | 10 |
| ბარსელონა | 6 | 4 | 2 | 441:418 | 10 |
| კასერესი | 6 | 4 | 2 | 439:428 | 10 |
| კანარიასი | 6 | 4 | 2 | 437:438 | 10 |
| ფორუმი | 6 | 3 | 3 | 431:368 | 9 |
| ტდკ | 6 | 3 | 3 | 437:413 | 9 |
| სან ფერნანდო | 6 | 3 | 3 | 440:423 | 9 |
| ბადალონა | 6 | 3 | 3 | 475:464 | 9 |
| ფუენლაბრადა | 6 | 3 | 3 | 440:433 | 9 |
| უნიკახა | 6 | 3 | 3 | 391:387 | 9 |
| ხირონა | 6 | 3 | 3 | 440:440 | 9 |
| რეალი | 6 | 3 | 3 | 436:443 | 9 |
| ესტუდიანტესი | 6 | 3 | 3 | 433:446 | 9 |
| ხიხონი | 6 | 2 | 4 | 404:440 | 8 |
| ბრეოგანი | 6 | 1 | 5 | 447:502 | 7 |
| ლეონი | 6 | 1 | 5 | 393:465 | 7 |
| კანტაბრია | 6 | 1 | 5 | 422:498 | 7 |

## თურქეთი

III ტური

**ითუ — ქომბასანი 72:70, თოფაში — დარუშაფაკა 82:69, ფენერბაჰჩე — მიდონოსე 101:84, ბეშიქთაში — ოიაქი 68:61, ტროი — ეფესი 73:91, ტელეკომი — ულქერი 92:68, გალათასარაი — ქარშიაქა 59:63**

რამდენადაც ცუდად თამაშობს ევროლიგაში სტამბოლის „ეფესი“ (ორიდან ორი წაგება), იმდენად ყოჩაღობს ქვეყნის ჩემპიონატში. გუნდს სამიდან სამი მოგება აქვს, ბოლო ტურში კი ჯერაც გაუხარელი „ტროი“ იმსხვერპლა. იზმირში გამართულ მატჩში ხუთმა ეფესელმა გააკეთა ათი და მეტი ქულა. მასპინძელთაგან კი მხოლოდ ხორვატი დამირ მრშიჩია (25 ქულა) აღნიშვნის ღირსი.

წინა ორი მატჩის ჯამში სამი ქულით წაგების შემდეგ („ეფესთან“ და „დარუშაფაკასთან“) პირველად მოიგო ანკარის „ტელეკომმა“. მისი მეტოქე სტამბოლის „ულქერი“ იყო, რომელმაც ევროლიგის უკანასკნელ ტურში მეტად რთული და მომქანცველი მატჩი მოუგო იტალიურ „ვარეზეს“. ულქერელები აშკარად გადაღლილნი იყვნენ, რითაც კარგად ისარგებლა „ტელეკომმა“ და მეორე ტაიმში თამაში ცალფარას დაემსგავსა. ანკარელთაგან ყველაზე შედეგიანი იყვნენ ივიცა იურკოვიჩი (20 ქულა) და გორან იაგოდნიკი (19 ქულა).

თურქეთის ჩემპიონმა „თოფაშმა“ პატარა სასწაული მოახდინა. ბურსელები მეორე ტაიმში 15 ქულას აგებდნენ სტამბოლის „დარუშაფაკასთან“, მაგრამ დეფიციტი გაქვითეს და შეხვედრა დამატებით დროში გადაიყვანეს. „დარუშაფაკას“ სამ მოთამაშეს ხუთი პერსონალური ჰქონდა მიღებული, რის გამოც მათი მოგების შანსები მიზერულამდე შემცირდა. „თოფაშში“ ყველაზე შედეგიანები იყვნენ ხორვატი სლავენ რიმაცი (30 ქულა) და ამერიკელი რაშარდ გრიფიტი (14 ქულა, 12 მოხსნა). ისე, „დარუშაფაკას“ ამერიკელს ანსლის შეეძლო ტურის გმირი გამხდარიყო, მაგრამ ძირითადი დროის ბოლო წამზე ნასროლი ბურთი ააცილა.

საინტერესო მატჩი გაიმართა სტამბოლში, სადაც „გალათასარაიმ“ უმასპინძლა იზმირის „ქარშიაქას“. აქამდე ორივე წაუგებელი იყო და ამ შეხვედრაშიც ორივემ კარგად ითამაშა, ოღონდ „ქარშიაქას“ უფრო გაუმართლა: ბოლო წუთზე „გალათასარაი“ ერთი ქულით აგებდა, მაგრამ რამდენიმე შეტევა გაუცუდდა.

გათამაშებას კი ისევ სტამბოლის „ფენერბაჰჩე“ ლიდერობს, რომელმაც იოლად სძლია „მიდონოსეს“. ზაზა ენდენმა (ენდელაძე) 5 ქულა გააკეთა.

თურქეთის უმაღლეს ლიგაში ბოლო წამს, შემთხვევით მოხვედრილმა ითუ-მ მეორე მატჩი მოიგო. ეს ორი ამერიკელის, ვინგფილდისა და ფრიმანის დამსახურებაა, რომლებმაც შესაბამისად, 23 და 17 ქულა ჩაუგდეს აუტსაიდერ „ქომბასანის“.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ფენერბაჰჩე | 3 | 3 | 0 | 261:209 | 6 |
| ქარშიაქა | 3 | 3 | 0 | 207:170 | 6 |
| ეფესი | 3 | 3 | 0 | 237:214 | 6 |
| თოფაში | 3 | 2 | 1 | 214:197 | 5 |
| დარუშაფაკა | 3 | 2 | 1 | 204:209 | 5 |
| გალათასარაი | 3 | 2 | 1 | 209:196 | 5 |
| ბეშიქთაში | 3 | 2 | 1 | 211:211 | 5 |
| ითუ | 3 | 2 | 1 | 204:206 | 5 |
| ტელეკომი | 3 | 1 | 2 | 208:187 | 4 |
| ულქერი | 3 | 1 | 2 | 192:219 | 4 |
| ქომბასანი | 3 | 0 | 3 | 197:210 | 3 |
| ტროი | 3 | 0 | 3 | 220:249 | 3 |
| მიდონოსე | 3 | 0 | 3 | 242:283 | 3 |
| ოიაქი | 3 | 0 | 3 | 176:222 | 3 |

სარბიელი სამუშაოდ იწვევს
ინგლისური ენისა და სპორტის მცოდნე პროფესიონალ, დამწყებ ჟურნალისტებს, აგრეთვე ჟურნალისტად მუშაობის მსურველებს.
გამოგვეხმაურეთ ტელეფონით (38-11-14, 39-48-29),
ან გვესტუმრეთ რედაქციაში
(ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული).

სარბიელის საერთაშორისო სატელეფონო კავშირს
უზრუნველყოფს კომპანია საქტელეკომ პლუსი
☎ 99 67 67, 98 30 20

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

**სამშაბათიდან, 12 ოქტომბრიდან „კროკოს" მთავარი ოფისი ფურცელაძის ქუჩაზე (კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში) იმუშავებს 11[00] საათიდან 18[00] საათამდე**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | **საფრანგეთი. II დივიზიონი. XIII ტური** | | | |
| | 7 ოქტომბერი | | | |
| 001 | ლორიანი — სოშო | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| | **ავსტრია. XV ტური** | | | |
| | 6 ოქტომბერი | | | |
| 003 | აუსტრია — ბრეგენცი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 004 | ლინცერი — ტიროლი | 4,4 | 3,1 | 1,7 |
| 005 | ლუსტენაუ — რიდი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| 006 | ზალცბურგი — გრაცერი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| 007 | შტურმი — რაპიდი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| | **დანია. XI ტური** | | | |
| | 6 ოქტომბერი | | | |
| 008 | სილკებორგი — ვიბორგი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 009 | კოპენჰაგენი — ჰერფიოლგე | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 010 | ოლბორგი — აკადემისკი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 011 | ორჰუსი — ესბიერგი | 1,6 | 3,3 | 4,7 |
| 012 | ოდენსე — ბრიონდბიუ | 4,4 | 3,1 | 1,7 |
| 013 | ლუინგბიუ — ვაილე | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| | **უკრაინა. XI ტური** | | | |
| | 6 ოქტომბერი | | | |
| 014 | ნივა — პრიკარპატია | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| | **ბელგია. ლიგის თასი** | | | |
| | 6 ოქტომბერი | | | |
| 016 | კორტრაიკი — ანდერლეხტი | 6,5 | 4,0 | 1,35 |
| 017 | ანტვერპენი — მუსკრონი | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| | **პოლონეთი. ლიგის თასი. მეოთხედფინალი. I წრე** | | | |
| | 6 ოქტომბერი | | | |
| 020 | ლკს — ლეგია | 2,5 | 2,8 | 2,6 |
| 021 | პოგონი — პლოცკი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| | **ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი** | | | |
| | 6 ოქტომბერი | | | |
| 502 | საბერძნეთი — ალბანეთი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| | **კალათბურთი. ევროლიგა. III ტური** | | | |
| | 6 ოქტომბერი | | | |
| 801 | ეფესი (თურქეთი) — ბუდუჩნოსტი (იუგოსლავია) | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| 802 | შოლე (საფრანგეთი) — ბარსელონა (ესპანეთი) | 4,0 | 12,0 | 1,15 |
| 803 | პაოკ (საბერძნეთი) — ცსკა (რუსეთი) | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| | 7 ოქტომბერი | | | |
| 804 | ულქერი (თურქეთი) — ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი) | 3,5 | 12,0 | 1,2 |
| 805 | ჟალგირისი (ლიტვა) — თოფაში (თურქეთი) | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 806 | კახა სან ფერნანდო (ესპანეთი) — ფორტიტუდო (იტალია) | 4,0 | 12,0 | 1,15 |
| 807 | რეალი (ესპანეთი) — ალბა (გერმანია) | 1,05 | 12,0 | 7,5 |
| 808 | ბენეტონი (იტალია) — ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 809 | ვილერბანი (საფრანგეთი) — პივოვარნა (სლოვენია) | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| 810 | ვარეზე (იტალია) — მაკაბი (ისრაელი) | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| 811 | პო ორტეზი (საფრანგეთი) — ციბონა (ხორვატია) | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 812 | პანათინაიკოსი (საბერძნეთი) — ოლიმპია (სლოვენია) | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| | **ჰოკეი. NHL** | | | |
| | 6 ოქტომბერი | | | |
| 817 | ტორონტო — კოლორადო | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| 818 | ფლორიდა — ლოს ანჯელესი | 1,7 | 4,4 | 2,4 |
| 819 | კალგარი — სენტ ლუისი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| 820 | ედმონტონი — მონრეალი | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| 821 | ვანკუვერი — ჩიკაგო | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| | 7 ოქტომბერი | | | |
| 822 | ოტავა — ბოსტონი | 1,5 | 4,4 | 3,0 |
| 823 | ნიუ ჯერსი — პიტსბურგი | 1,5 | 4,4 | 3,0 |
| 824 | ფილადელფია — კაროლინა | 1,4 | 4,4 | 3,4 |
| 825 | ტამპა ბეი — ლოს ანჯელესი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| 826 | ატლანტა — დეტროიტი | 3,4 | 4,4 | 1,4 |
| 827 | სან ხოსე — ედმონტონი | 1,6 | 4,4 | 2,7 |

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

## გათამაშების წესები

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში". სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო"-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო"-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო"-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თახა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო"-ს მიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო"-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

# მტაცებელი ბერძენიშვილი ნახტომისთვის ემზადება

*საქართველოს კალათბურთელთა ნაკრების ცენტრი დავით ბერძენიშვილი აგერ უკვე მეოთხე წელია, სლოვაკეთში თამაშობს. პირველი სამი სეზონი მან „სლოვაკოფარმაში“ გაატარა, ახალი გათამაშების წინ კი ასევე სლოვაკურ „ლევიცეს“ გაუფორმა ერთწლიანი კონტრაქტი, აქაოდა, „სლოვაკოფარმაში“ თამაში ხშირად არ მიწევდაო.*

*ადვილი მისახვედრია, დათომ ეს ნაბიჯი მეტი სათამაშო პრაქტიკისთვის და საკუთარი შესაძლებლობების უფრო მეტად წარმოსაჩენად გადადგა. თავადაც ამბობდა, „ლევიცეს“ ხუთეულში ადგილი გარანტირებული მაქვს, რაც ბერძენიშვილს ოპტიმიზმის საფუძველს აძლევდა — ძლიერ ევროპულ კლუბში მოხვედრა ამ გზით უფრო გამიადვილდებაო.*

*ახალ ჩემპიონატში „ლევიცეს“ სტარტს არცთუ სახარბიელო ეთქმის. აგრე უკვე ოთხი ტური მიილია, ჩვენებურის კლუბმა კი ერთადერთი გამარჯვება მოახერხა. წარუმატებლობა წარუმატებლობად, მაგრამ ბერძენიშვილთან დაკავშირება უფრო იმად გადავწყვიტეთ, რომ ბოლო ტურში „ინტერთან“ დათოს საერთოდ არ უთამაშია:*

— თამაშის წინა დღეს თავი შეუძლოდ ვიგრძენი, როგორც აღმოჩნდა, სიცხე მქონდა. „ინტერთან“ უთამაშებლობის მიზეზიც სწორედ ეს გახლდათ.

**— ახლა როგორ გრძნობ თავს?**

— თითქმის მოვმჯობინდი. მართალია, იმის მერე აღარ მივარჯიშია, მაგრამ ვგრძნობ, რომ უკეთ ვარ. ხვალზეგ ალბათ ჩვეულ რიტმს დავიბრუნებ.

**— ოთხი თამაშიან სამის წაგების შემდეგ რა სიტუაციაა გუნდში?**

— მწვრთნელები, რა თქმა უნდა, უხასიათოდ არიან, თუმცა მომავალს იმედის თვალით შეჰყურებენ. ერთიცაა, თავიდანვე „ლევიცეს“ საშინელი უიღბლობა დაებედა.

**— ამბობენ, ბედი ძლიერებს უღიმისო...**

— რომ გენახა რა თამაშები დავთმეთ, ამას აღარ იტყოდი. ნაღდი მოსაგები შეხვედრები წავაგეთ. აქ „ინტერთან“ მატჩს არ ვგულისხმობ, რომელიც გუნდმა აშკარად ჩააგდო. საერთოდ „ინტერი“ მეორე გუნდია „სლოვაკოფარმას“ შემდეგ და ალბათ ვერცხლის მედლებსაც ვერავინ შეეცილება.

**— ბრატისლაველებთან რომ გეთამაშა, შენი აზრით, რა შეიცვლებოდა?**

— მიჭირს პასუხის გაცემა, მაგრამ თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ დღესდღეობით „ლევიცეს“ ძირითადი ცენტრი ვარ...

**— ჰო, მართლა, ხუთეულში საბოლოოდ დამკვიდრდი?**

— აქამდე ასეა. ვფიქრობ, მომავალშიც ასე გაგრძელდება, რადგან უკმაყოფილების საბაბს მწვრთნელებს ნამდვილად არ ვაძლევ. ის წაგებები კი, როგორც უკვე გითხარით, უიღბლობას დაბრალდა.

**— პოტენციურად რისი მიღწევა შეუძლია წლეულს „ლევიცეს“?**

— წესით ექვსეულში მოხვედრა არ უნდა გაგვიჭირდეს. ამის შემდეგ კი ჩემპიონატი ისეთი სისტემით გრძელდება, ნებისმიერი შედეგისთვის შეიძლება ბრძოლა. ვნახოთ, ყველაფერს მომავალი გვიჩვენებს.

**— თავად თუ გაკმაყოფილებს მანდაური პირობები, ნათქვამ სიტყვას ხომ არ გიტეხენ სლოვაკები?**

— ყველანაირად უზრუნველყოფილი ვარ, აქაურებზეც ძვირი ნაკლებად მეთქმის — რასაც შემპირდნენ, ყველაფერს მისრულებენ. ეგ არის, უფრო ძლიერ კლუბში თამაში მსურს და გულიც მხოლოდ ამაზე მეთანაღრება. ჩემი თავი ახლა იმ მტაცებელს მაგონებს, რომელიც გადამწყვეტი ნახტომისთვის ემზადება. ეს ნახტომი კი უეჭველად ძლიერი ევროპული გუნდის მიმართულებით უნდა გაკეთდეს. არის კიდეც რაღაც წინადადებები, ოღონდ დაწვრილებით საუბარი უფრო ახალი წლის შემდეგ იქნება შესაძლებელი.

**გიორგი გიკაშვილი**

# თავისუფალი აგენტების ბაზარი

4 ოქტომბერი

***ჰიუსტონ როკიტსი:*** შეინარჩუნა ფორვარდი ჩარლზ ბარკლი (ერთწლიანი კონტრაქტი); დაითხოვა უკანახაზელი ედი ჯონსონი; დაითხოვა „პორტლენდიდან“ გადმოყვანილი უკანახაზელი ბრაიან შოუ

***გოლდენ სტეიტ უორიორზი:*** აიყვანა უგუნდო უკანახაზელი ტიმ ლეგლერი (ერთწლიანი კონტრაქტი)

***იუტა ჯაზი:*** აიყვანა „ვანკუვერის“ ყოფილი ფორვარდი პიტ ჩილკატი

***სან ანტონიო სპურზი:*** აიყვანა უგუნდო ცენტრი ტოდ ლინდემანი

***ორლანდო მეჯიქი:*** დაითხოვა უკანახაზელი როდრიკ როუდზი

***შარლოტ ჰორნეთსი:*** აიყვანა უგუნდო ფორვარდები ტაირონ გრანტი და დერიკ ჰუდი; აიყვანა უგუნდო უკანახაზელი ჯეისონ მისკირი

***ჩიკაგო ბულზი:*** აიყვანა უგუნდო ფორვარდები მასეო ბასტონი და დუგ სვენსონი

***კლივლენდ კავალიერზი:*** შეინარჩუნა უკანახაზელი ერლ ბოიკინსი; აიყვანა უგუნდო ფორვარდები ჯამელ ტომასი და ეი. ჯეი.ბრამლეტი; აიყვანა უგუნდო უკანახაზელი ტომი სმიტი; აიყვანა უგუნდო ცენტრი მეტ ფიში

***ვანკუვერ გრიზლიზი:*** აიყვანა უგუნდო ფორვარდები ჯო სტივენსი და სტივენ ჯეკსონი; აიყვანა უგუნდო უკანახაზელი მილტ პალასიო; აიყვანა უგუნდო ცენტრი რიჩ კინგი

# ბარკლი პიპენის წასვლას ელოდა?



სარბიელის არქივიდან

შარშანდელ სეზონში ჩარლზ ბარკლი (მარცხნივ) და სკოტი პიპენი სიხარულს ასე იზიარებდნენ, ახლა კი ერთმანეთი გალანძღეს და მათი გზებიც გაიყარა

ჩარლზ ბარკლისა და სკოტი პიპენის ურთიერთლანძღვას ორივე კალათბურთელისთვის მნიშვნელოვანი სიახლე მოჰყვა: პიპენი „პორტლენდ თრეილ ბლეიზერსში“ გადავიდა, ხოლო ბარკლიმ ახალი, ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა „ჰიუსტონ როკიტსთან“.

ბარკლის ახალი კონტრაქტი კარგა ხანია მზად იყო, მაგრამ კალათბურთელი მას ხელს არ აწერდა. ნაკლებსავარაუდოა, რომ იგი „ჰიუსტონიდან“ პიპენის წასვლას ელოდა, მაგრამ ფაქტია, რომ ბარკლის „ჰიუსტონში“ დარჩენა სკოტის „პორტლენდში“ გადასვლიდან ორი დღის შემდეგ გადაწყდა.

წინა სეზონში ბარკლიმ მატჩში საშუალოდ 16,1 ქულა 12,3 მოხსნა გააკეთა. მან „ჰისტონში“ მესამე სეზონი ჩაამთავრა, ხოლო ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში — მეთხუთმეტე.

ჩარლზს „როკიტსის“ გარდა უთამაშია „ფილადელფია 76“-ში და „ფინიქს სანზში“, 1053 მატჩში მიუღია მონაწილეობა და საშუალოდ 22,3 ქულა და 11,7 მოხსნა გაუკეთებია. 1993 წელს ბარკლი სეზონის უძვირფასეს მოთამაშედ აღიარეს. ლიგის ისტორიაში სულ სამი კალათბურთელია, რომელსაც კარიერაში ერთდროულად გაუკეთებია 20 ათას ქულაზე, 10 ათას მოხსნაზე და 4 ათას პასზე მეტი. ერთ-ერთი მათგანი „სერ ჩარლზია“.

ბარკლის შენარჩუნებასთან ერთად „ჰიუსტონ როკიტსმა“ სამი კაცი დაითხოვა. ამათგან ყველაზე ცნობილია 40 წლის უკანახაზელი ედი ჯონსონი, რომელსაც ლიგაში 17 სეზონი გაუტარებია. ჯონსონმა კარიერის განმავლობაში 1 199 მატჩი ითამაშა და 19 202 ქულა გააკეთა, საუკეთესო სეზონი 1988-89 წლებისა იყო, მაშინ მან მატჩში საშუალოდ 16,0 ქულა და 4,0 მოხსნა გააკეთა და „საუკეთესო მეექვსე მოთამაშის“ ტიტულიც დაისაკუთრა. იმ დროს ჯონსონი „ფინიქსში“ თამაშობდა, მანამდე და მერე კი „საკრამენტოს“, „სიეტლის“, „შარლოტის“, „ინდიანას“ და „ჰიუსტონის“ ღირსებაც დაუცავს.

„ჰიუსტონმა“ სკოტი პიპენის სანაცვლოდ „პორტლენდისგან“ ექვსი კალათბურთელი მიიღო. ორშაბათს გაცხადდა, რომ ორი მათგანი კონტრაქტს ვერ მიიღებს — ბრაიან შოუ და ედ გრეი „როკიტსის“ ხელმძღვანელობამ საწვრთნელი ბანაკიდან დაითხოვა. მათ ახალი გუნდის ძებნა მოუწევთ.

# სარბიელის საშუალებით ფიბა გეკითხებათ

1999 წლის 28 დეკემბერს მოსკოვში გაიმართება „ევროსტარი“, მატჩი ევროპის საუკეთესო კალათბურთელთა მონაწილეობით. ერთმანეთს შეხვდებიან „აღმოსავლეთის“ და „დასავლეთის“ გუნდები.

სამოყვარულო კალათბურთის საერთაშორისო ფედერაცია (ფიბა), „აღმოსავლეთის“ და „დასავლეთის“ გუნდების შემადგენლობების გამოსავლენად აწყობს გულშემატკივართა საერთო-ევროპულ გამოკითხვას. ეს გამოკითხვა ევროპის თითოეულ ქვეყანაში თითო გაზეთის საშუალებით მოეწყობა. საქართველოში ფიბა-ს პარტნიორობის ექსკლუზიური უფლება (საქართველოს კალათბურთის ფედერაციის რეკომენდაციით), „სარბიელს“ ერგო. ამრიგად, „სარბიელის“ მკითხველი უშუალოდ დაადგენს „ევროსტარში“ მოთამაშე გუნდების შემადგენლობებს.

თქვენთვის საქმის გასაიოლებლად, ფიბა გთავაზობთ იმ ევროპელი კალათბურთელების სიას, რომლებიც ამ დროისთვის საუკეთესონი არიან. თქვენ შეგიძლიათ დაასახელოთ ის ევროპელი მოთამაშეებიც, რომლებიც ამ სიაში არ არიან, მაგრამ თამაშობენ ევროპის კლუბებში და, თქვენი აზრით, იმსახურებენ „ევროსტარში“ მოხვედრას.

ამას გარეთ, გთხოვთ, დაასახელოთ ორი არაევროპელი კალათბურთელი, რომლებიც თამაშობენ ევროპის კლუბებში.

ამრიგად, თქვენ უნდა დაასახელოთ სულ 14 კალათბურთელი (12 ევროპელი, 2 არაევროპელი). კალათბურთელის სახელისა და გვარის გასწვრივ მითითებულია მისი ეროვნება და კლუბი:

| | | |
|---|---|---|
| ☐ ალესანდრო აბიო | იტალია | კინდერი (იტალია) |
| ☐ ფრაგისკოს ალვერტისი | საბერძნეთი | პანათინაიკოსი (საბერძნეთი) |
| ☐ ალბერტო ანგულო | ესპანეთი | რეალი (ესპანეთი) |
| ☐ მიროსლავ ბერიჩი | იუგოსლავია | უგუნდოდ |
| ☐ ჰუსეინ ბეშოქი | თურქეთი | ეფესი (თურქეთი) |
| ☐ ჟიმ ბილბა | საფრანგეთი | ვილერბანი (საფრანგეთი) |
| ☐ დავიდე ბონორა | იტალია | კინდერი (იტალია) |
| ☐ დეიან ბოდიროგა | იუგოსლავია | პანათინაიკოსი (საბერძნეთი) |
| ☐ პრედრაგ დანილოვიჩი | იუგოსლავია | კინდერი (იტალია) |
| ☐ ალექსანდრ ჯორჯევიჩი | იუგოსლავია | რეალი (ესპანეთი) |
| ☐ გინტარას ეინიკისი | ლიტვა | ცსკა (რუსეთი) |
| ☐ ნიკოს ეკონომუ | საბერძნეთი | კინდერი (იტალია) |
| ☐ ჰარუნ ერდენაი | თურქეთი | ულქერი (თურქეთი) |
| ☐ ვინჩენცო ესპოზიტო | იტალია | იმოლა (იტალია) |
| ☐ ლორან ფუარე | საფრანგეთი | ტაუ (ესპანეთი) |
| ☐ გრეგორ ფუჩკა | იტალია | ფორტიტუდო (იტალია) |
| ☐ ტორბიორნ გერკე | შვედეთი | პლანია (შვედეთი) |
| ☐ გორდან გირიჩეკი | ხორვატია | ციბონა (ხორვატია) |
| ☐ ალბერტო ერეროსი | ესპანეთი | რეალი (ესპანეთი) |
| ☐ არტურას კარნიშოვასი | ლიტვა | ფორტიტუდო (იტალია) |
| ☐ ოდედ კატაში | ისრაელი | პანათინაიკოსი (საბერძნეთი) |
| ☐ მიხაელ კოხი | გერმანია | პანათინაიკოსი (საბერძნეთი) |
| ☐ იბრაჰიმ ქუთლუაი | თურქეთი | ეფესი (თურქეთი) |
| ☐ დენის მარკონატო | იტალია | ბენეტონი (იტალია) |
| ☐ ანდრეა მენეგინი | იტალია | ვარეზე (იტალია) |
| ☐ მარკო მილიჩი | სლოვენია | ოლიმპია (სლოვენია) |
| ☐ ველკო მრშიჩი | ხორვატია | უნიკახა (ესპანეთი) |
| ☐ დამირ მულაომეროვიჩი | ხორვატია | ეფესი (თურქეთი) |
| ☐ მარტინ მიუურსეპი | ესტონეთი | აეკ (საბერძნეთი) |
| ☐ კარლტონ მაიერსი | იტალია | ფორტიტუდო (იტალია) |
| ☐ პეტარ ნაუმოსკი | მაკედონია | უგუნდოდ |
| ☐ ხუან კარლოს ნავარო | ესპანეთი | ბარსელონა (ესპანეთი) |
| ☐ საშა ობრადოვიჩი | იუგოსლავია | ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) |
| ☐ პაულუ პინტუ | პორტუგალია | პორტუ (პორტუგალია) |
| ☐ დინო რაჯა | ხორვატია | ზადარი (ხორვატია) |
| ☐ ჟელკო რებრაჩა | იუგოსლავია | პანათინაიკოსი (საბერძნეთი) |
| ☐ ეფთიმიოს რენციასი | საბერძნეთი | ბარსელონა (ესპანეთი) |
| ☐ ანტუან რიგოდო | საფრანგეთი | კინდერი (იტალია) |
| ☐ ჰენრიკ როდლი | გერმანია | ალბა (გერმანია) |
| ☐ დორონ შეფერი | ისრაელი | მაკაბი (ისრაელი) |
| ☐ მატიაჟ სმოდიში | სლოვენია | კრკა (სლოვენია) |
| ☐ მუსტაფა სონკო | საფრანგეთი | ვილერბანი (საფრანგეთი) |
| ☐ საულიუს შტომბერგასი | ლიტვა | კინდერი (იტალია) |
| ☐ ერიკ სტრიულენსი | ბელგია | რეალი (ესპანეთი) |
| ☐ დრაგან ტარლაჩი | იუგოსლავია | ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი) |
| ☐ მილან ტომიჩი | იუგოსლავია | ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი) |
| ☐ დომინიკ ტომჩიკი | პოლონეთი | პეკაესი (პოლონეთი) |
| ☐ ალექსის ზახარიუ | კვიპროსი | აპოელი (კვიპროსი) |
| ☐ ირჟი ზიდეკი | ჩეხეთი | ჟალგირისი (ლიტვა) |
| ☐ მინდაუგას ჟუკაუსკასი | ლიტვა | ჟალგირისი (ლიტვა) |

| სიაში არმოხვედრილი ევროპელები | არაევროპელები |
|---|---|
| ________ | ________ |
| ________ | ________ |

*სიაში მყოფი თქვენთვის სასურველი მოთამაშის შერჩევისას მისი სახელის და გვარის წინ მდებარე კვადრატში გააკეთეთ შესაბამისი აღნიშვნა ☒. ხოლო არაევროპელი და სიაში არმყოფი მოთამაშის გვარები ჩაწერეთ სპეციალურ გრაფებში.*

გთხოვთ, გაზეთიდან ამოჭრილი ანკეტა 1999 წლის 1 ნოემბრამდე გამოგვიგზავნოთ „სარბიელის“ რედაქციაში მისამართზე:

**თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42,**

ან საფოსტო მისამართზე:

**თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208**

გთხოვთ, მიუთითოთ თქვენი სახელი, გვარი და ასაკი:

________________

## რეფერენდუმი

# საქართველოს საუკუნის სპორტსმენები

ასეთი ამბავი საუკუნეში ერთხელ ხდება — 19 ოქტომბერს სახელმწიფო ფილარმონიის დიდ დარბაზში ქართული სპორტის ასწლოვანი ისტორია გაცოცხლდება. სწორედ ამ დღეს გაიმართება საქართველოს XX საუკუნის საუკეთესო სპორტსმენების, მწვრთნელების, გუნდების და სპორტის მოღვაწეთა დაჯილდოების ცერემონიალი.

## სამი კითხვა ლაურეატს

*1. დაგვისახელეთ თქვენი სპორტული კარიერის ყველაზე სასიხარულო და ყველაზე გულდასაწყვეტი ეპიზოდები.*
*2. ქართული სპორტი კრიზისშია. რაში ხედავთ გამოსავალს?*
*3. ვის მიგაჩნიათ საქართველოს XX საუკუნის სამ საუკეთესო სპორტსმენად?*

### მაია ჩიბურდანიძე

**ჭადრაკი**

სპორტის დამსახურებული ოსტატი, საერთაშორისო დიდოსტატი ქალთა შორის 1977 წლიდან, ვაჟთა შორის — 1984 წლიდან, მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი (1978, 1981, 1984, 1986, 1988), საბჭოთა კავშირის ჩემპიონი (1977), ოთხჯერ (1984, 1985, 1986, 1987) დაჯილდოვდა ჭადრაკის ოსკარით, საჭადრაკო ოლიმპიადების რვაგზის ჩემპიონი, ორგზის ვიცე-ჩემპიონი და ბრინჯაოსმედალოსანი



1. ჩემთვის ყველაზე სასიხარულო იყო 1977 წელს პრეტენდენტთა ფინალურ მატჩში ალა კუშნირთან გამარჯვება; ყველაზე დასანანი — ტიტულის დაკარგვა.

2. პირველი: სპორტის დეპარტამენტი, როგორც მმართველი ინსტიტუტი, ვერ ამართლებს თავის ფუნქციას გადატვირთული აპარატის გამო. თუ ეს უზარმაზარი აპარატი გამართლებული იყო სსრკ-ის დროს, დღევანდელ საქართველოში იგი მხოლოდ სიძნელეებს ქმნის. ჩემი აზრით, უკეთესი იქნება შეიქმნას მთავრობასთან არსებული რამდენიმე კაცისგან შემდგარი საკოორდინაციო საბჭო — ბიუჯეტის დასამტკიცებლად და ფედერაციების საკონტროლოდ, ხოლო ფედერაციებს მიეცეთ სრული თავისუფლება.

მეორე: აუცილებელია სპონსორული სისტემა! ყველაფერში თუ საზღვარგარეთს ვბაძავთ, ამაშიც მივბაძოთ. ეს ორმხრივ სასარგებლო შეთანხმება იქნება — სპონსორული ორგანიზაციები გადასახადისგან თავისუფლდებიან.

3. გაფრინდაშვილი, ლოსაბერიძე; სანეევი, თედიაშვილი, მესხი




ჭიდაობა

# ანკარაში რვამდე დაითვლიან

**სალიცენზიო** მსოფლიოს ჩემპიონატზე საქართველოს თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ნაკრებიც გაემგზავრა. ეს პირველობა 7-10 ოქტომბერს გაიმართება თურქეთის დედაქალაქ ანკარაში. იქ საქართველოს ღირსებას დაიცავენ — გიორგი გაგიშვილი (54), ოთარ თუშიშვილი (58), დავით პოლოსიანი (63), ემზარ ბედინეიშვილი (69), ალექსანდრე კახნიაშვილი (76), გოჩა ჩიხრაძე (85), ელდარ კურტანიძე (97) და ალექსანდრე მოდებაძე (მძიმე).

ნაკრებში მხოლოდ ერთი დებიუტანტია — გაგიშვილი. ევროპის ჩემპიონატზე ამ წონაში ქუთაისელმა გოჩა კირკიტაძემ იასპარეზა და მეხუთე ადგილიც დაიკავა. რომ არა მისთვის დაუმარცხებელი უკრაინელი ზახარიუკი, რიონისპირელი ფალავანი იქნებ მედალსაც კი შესწვდენოდა. მან ახლა, ბოლოსწინა შეკრებაზე, საკონტროლო შეხვედრა წააგო გაგიშვილთან და ნაკრებში ადგილიც მას დაუთმო. ასევე საკონტროლო შეხვედრის მოგებით დაბრუნდა ნაკრებში კახნიაშვილიც. თავად გაგიშვილს მთავარმა მწვრთნელმა ზაზა თურმანიძემ ვახტანგ ბალავაძის სახელობის წლევანდელი საერთაშორისო ტურნირის მოგების შემდეგ მიაქცია ყურადღება.

დიდების მსოფლიოს ჩემპიონატზე პირველად იჭიდავებს ოთარ თუშიშვილიც, მაგრამ ძნელია მას დებიუტანტი უწოდო. ამ წოდებით წავიდა ის წლეულს ევროპის ჩემპიონატზე მინსკში და უკან ბრინჯაოთი დაბრუნდა. იქნებ ეს ტრადიცია ამჯერადაც გაგრძელდეს. გორელი ფალავანი ულიცენზიოდ ალბათ არ დარჩება, თუმცა ნუ დაგვავიწყდება მისთვის ასევე დაუმარცხებელი მასპინძელთა ერთ-ერთი კერპი ჰარუნ დოგანი, რომელთანაც ოთარმა უკვე ორჯერ წააგო, აქედან ერთხელ მინსკშიც.

თუ მედლებზე ვიფიქრებთ, ამ [illegible] ლიდერებად [illegible] მაგრამ [illegible] ბში მათ აშკარად მოუკლეს. მათ ანკარაში შელახული რეპუტაციის აღდგენაც მართებთ.

შეიძლება ითქვას, გუნდი სრულყოფილად ვერ მოემზადა. სამად სამი შეკრება საქართველოში და ოთხი მოჭიდავე პოლონეთის საერთაშორისო ტურნირზე — სულ ეს იყო ჩვენებურთა სამსოფლიოჩემპიონატო სამზადისი კონტინენტის პირველობის მერე. თუმცა ისინი მინსკშიც ასევე, თითქმის მოუმზადებლები წავიდნენ, უკან კი თუშიშვილის, ბედინეიშვილისა და კურტანიძის ბრინჯაოს მედლებით დაბრუნდნენ. იმედია, ჩვენებურებს ახლაც ვიხილავთ როგორც საპრიზო სამეულში, ისე იმ მოწინავე რვა კაცში, სიდნეის ოლიმპიადის ლიცენზიებს რომ მიიღებენ.

ირაკლი თავაძე

ძიუდო

# ხაბარელი ძალიან ფრთხილობს

**ხვალ** ინგლისის ქალაქ ბირმინგემში ძიუდოისტთა მსოფლიოს ჩემპიონატი იწყება. ესაა სიდნეის ოლიმპიური თამაშების სალიცენზიო ტურნირი. გაისად მწვანე კონტინენტზე ის ძიუდოისტები წავლენ, ბირმინგემში მოწინავე რვა კაცში რომ მოხვდებიან.

ჩვენი ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა შოთა ხაბარელმა ალბიონზე ქართული ძიუდოს პრესტიჟის დასაცავად ნესტორ ხერგიანი (60), გიორგი ვაზაგაშვილი (66), გიორგი რევაზიშვილი (73), სოსო ლიპარტელიანი (81), გია გუგავა (90), ივერი ჯიქურაული (100), რამაზ ჩოჩიშვილი (მძიმე) და ალექსი დავითაშვილი (აბსოლუტური) წაიყვანა. შემადგენლობა ზუსტად ისეთია, როგორიც ევროპის ჩემპიონატზე იყო. ოღონდ ახლა ვაზაგაშვილ-რევაზიშვილმა და ჩოჩიშვილ-დავითაშვილმა ერთმანეთს წონები გაუცვალეს. ამათგან უფრო საყურადღებო მჩატეწონოსანთა „როქია“.

ორი გიორგის დაუსრულებელი ქიშპი 66 კგ-ში ლიდერობისთვის ხაბარელის მუდმივი პრობლემაა. ამ მეტოქეობამ ვაზაგაშვილი ერთხანს აქტიურ სპორტსაც ჩამოაშორა. მართალია, საბოლოოდ დაუბრუნდა დიდ ტატამს, მაგრამ გაცდენილის ერთბაშად ანაზღაურება ვერ შეძლო. მისთვის საოცნებო 66-ში უკვე რევაზიშვილი ბატონობდა. ევროპის წლევანდელი ჩემპიონატისთვის ყველაფერი მოსამზადებელმა ტურნირებმა გადაწყვიტა. იქ უკეთესი შედეგები რევაზიშვილმა აჩვენა და 66-ში ასპარეზობის უფლებაც მოიპოვა. ვაზაგაშვილმა კი 73-ისთვის იბრძოლა. მან ამ ჭიდილში ჯონდო მუზაშვილსაც აჯობა და მერე ევროპულ ბრინჯაოსაც დაეპატრონა, თუმცა საოცნებო წონაზე ფიქრი კვლავაც არ შეუწყვეტია. სანდო ხალხი იმასაც ამბობდა, რომ სამსოფლიოსჩემპიონატოდ ვაზაგაშვილს მწვრთნელისთვის ულტიმატუმი წაუყენებია — ან 66-ში დამაყენე, ან საერთოდ არ წავალ მსოფლიოს პირველობაზეო. ხაბარელი ამას უარყოფს და ამტკიცებს, პირიქით, ვაზაგაშვილმა თვითონ მითხრა, რომელ წონაშიც მეტყვით, იქ ვიჭიდავებ, მწვრთნელთა საბჭომ კი ასე გადაწყვიტაო. ახლა ეს ყველაფერი მეორეხარისხოვანია. მთავარი კი ისაა, რომ კომპრომისი გამოიძებნა. თუ რევაზიშვილი და ვაზაგაშვილი ლიცენზიებს მოიპოვებენ, წონაზე დავა მერეც შეიძლება. ძიუდოში ხომ ლიცენზიას ქვეყანა იღებს და არა პირადად სპორტსმენი.


ვაზაგაშვილ-რევაზიშვილის საჭილდაო 66 ვაზაგაშვილს დარჩა

ისე, იქნებ ვაზაგაშვილმა მაინც მოუგოს თურქ ისმაილ ოზქანს, ვისთანაც რევაზიშვილი ყოველთვის დამარცხებულა, რამდენჯერაც კი შეხვედრია...

ევროპის ჩემპიონატის მერე ნაკრებს ტურნირებში არ უასპარეზია — მზადება მთლიანად შეკრებებით გაილია, თანაც საქართველოში. ხაბარელი ევროპის პირველობაზე წასვლის წინ მეტად ოპტიმისტურ პროგნოზებს არ მორიდებია, რომლებიც სანახევროდაც არ ასრულდა — ოთხი ოქროს ნაცვლად მხოლოდ ხერგიან-ვაზაგაშვილის ბრინჯაოს მედლები შერჩა ხელთ. ეტყობა, ამან სიფრთხილე ასწავლა და ახლა არაფერს დაგვპირებია.

ირაკლი თავაძე


# საუკუნეში ერთხელ!

სსჟა

19 ოქტომბერს სახელმწიფო ფილარმონიის
დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართება

**საქართველოს XX საუკუნის საუკეთესო სპორტსმენების.
გუნდების. მწვრთნელების და
სპორტის მოღვაწეთა**
დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი.

**ასეთი ამბავი საუკუნეში ერთხელ ხდება!**
**19 ოქტომბერს, 17 საათზე, ფილარმონიაში!**

გეძლევათ შანსი, მოხვდეთ სპორტის ვარსკვლავთა საუკუნოვან ზეიმზე, დააწესოთ პრიზი და მთელი საქართველოს თვალწინ გადასცეთ თქვენს რჩეულს.

დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ: 99-08-22, 99-94-09

*საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია*

საინფორმაციო მხარდაჭერა | საინფორმაციო მხარდაჭერა | საინფორმაციო მხარდაჭერა

სარბიელი
СВОБОДНАЯ ГРУЗИЯ
Ayety TV



ზაზა დოლიძე და მისი შეგირდები უკრაინელებმა ძალიან დააღონეს

# შევარდენს ზაპოროჟიეში დენმა დაარტყა

გასული უქმეები ქართული სპორტის მორიგი რბევით აღინიშნა. ამჯერად ულმობელად დარბეული საქართველოს ხელბურთელ ვაჟთა ჩემპიონი სტუ-„შევარდენი" აღმოჩნდა, მარბიელი — ზაპოროჟიეს ტრანსფორმატორების ქარხნის გუნდი, სარბიელი — უკრაინული ქალაქი ზაპორიჟიე. ეს გუნდები ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ მატჩში შეხვდნენ ერთმანეთს და მასპინძლებმა 31:12 მოიგეს.

სტუ-„შევარდენისთვის" ჩემპიონთა ლიგა რომ მირაჟი იყო, ეს სულაც არ იყო ძნელი გამოსაცნობი, მაგრამ ამ შეხვედრას ორჯერ დანიელებთან ასე თუ ისე საპატიო ანგარიშით წაგებაც უძღოდა წინ (ნაკრები ხომ, ფაქტობრივად, ეს კლუბია) და ამიტომ იმოქმედა ამ მარცხმა ცივი შხაპივით. არა, დანიელებისთვის 25 გოლის გამტანებმა უკრაინელებს 12-ზე მეტი რომ ვერ შეუგდეს, ეს ცივი შხაპი კი არა, უფრო გამყინვარების მომასწავებელია.

გუშინწინ სტუ-„შევარდენისა" და საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელს ზაზა დოლიძეს გავესაუბრეთ. უწინდელი ოპტიმისტური, ძალიან თამამი პროგნოზები ახლა საქმიანმა თვითკრიტიკამ შეცვალა. დოლიძე დაშვებულ შეცდომებს აღიარებს და მათ გამოსწორებას გვპირდება. ის ნათლად ხედავს გზას, რომელიც გადაბრუნებული ურმის იქით გამოჩნდა. თანაც, ზაზა დოლიძესთან საუბარში ხელბურთის და ზოგადად ქართული სპორტის გლობალურ პრობლემატიკაზეც ჩამოვარდა სიტყვა. მით უფრო, სეზონი გაილია და წიწილების დათვლის დრო დადგა. მართალია, დასათვლელი ბევრი არაფერი გვაქვს, მაგრამ შეჯამებით კი ბევრი რამ შევაჯამეთ.

— დავიწყოთ იმით, რომ არ გვყავდა ალექსანდრე ბოყოჩაძე. მან ბოლო ვარჯიშზე კოჭი ამოიბრუნა. თამაშისას დაგვიშავდა გიორგი გვაზავაც, თუმც ეს მარცხს მაინც არ ამართლებს. ბიჭებმა ძალიან ცუდად ითამაშეს, ჯერ რომ არ უთამაშიათ, ისე. ეს ყველა რგოლს ეხება. ბოყოჩაძე გუნდის ლიდერია და მის გარეშე ხელბურთელები მოედანზე ხელებჩამოყრილები იყვნენ.

თუმცა თამაშის წინ ბიჭები საბრძოლველად იყვნენ განწყობილნი. პირიქით, საბრძოლო განწყობილება იყო. მაგრამ თამაშში მოგების შანსი არ გვქონია. ანგარიშში მუდამ ჩამორჩებოდით. მეტოქემ აშკარად გვაჯობა ფიზმომზადებაში. ეს კი ხელბურთში გადამწყვეტი ფაქტორია. თუ პირველ ტაიმში მეტ-ნაკლებად თანაბრად ვეთამაშეთ უკრაინელებს და მხოლოდ ექვსი ბურთით წავაგეთ, მეორე ნახევარში „გადაგვირბინეს" და 16:4 მოგვიგეს. თბილისშიც ნახავთ ამ გუნდს 10 ოქტომბერს და დარწმუნდებით, რომ დაუმარცხებელი სულაც არაა.

მომხდარს გლობალური ანალიზი სჭირდება. უახლოეს ორ-სამ დღეში მწვრთნელები, ფედერაციის ხელმძღვანელები შევიკრიბებით და ამაზე ვიმსჯელებთ. არც იმას დაგიმალავთ, რომ განმეორებითი თამაშის მერე გუნდში რადიკალური ცვლილებები მოხდება. ვინც ბოლომდე ვერ ასრულებს მწვრთნელის მითითებებს, გუნდში აღარ ვაჩერებთ. არავის ვაშინებ და არც არავის ვემუქრები, მაგრამ სისხლის გადასხმა აუცილებელია. ჩვენ გვყავს რამდენიმე კარგი ახალგაზრდა, რომლებსაც აქამდე არ ვენდობოდით, ამიერიდან კი მათ უნდა დავეყრდნოთ. ეს თუნდაც იმისთვისაა საჭირო, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ძველი შეცდომები არ გავიმეოროთ. გუნდს მეტის გაკეთება შეუძლია და მისი პოტენციალი უკვალოდ არ უნდა დაიკარგოს. მომხდარში, უპირველესად, საკუთარ თავს ვადანაშაულებ, მაგრამ ხელბურთისადმი მიდგომა, დამოკიდებულებაც უნდა შეიცვალოს, ჯერ მწვრთნელ-სპორტსმენის, მერე კი იმ ხალხისა, ვისაც ხელბურთის ბედი აბარია.

**— უფრო რომელ რგოლს შეეხება ცვლილებები?**

— კუთხისა და წინა ხაზის მოთამაშეებს. მათ მეტი თავდადება და საქმისადმი პროფესიული მიდგომა მართებთ. ზოგიერთ მათგანზე ამდენი ხანია, გავიძახით, ახალგაზრდააო, აღარ მოვიდა დრო, გაიზარდონ? ისინი ულიდეროდ თამაშს უნდა მიეჩვიონ. ხელბურთი გუნდური თამაშია და ყველამ თავისი წილი უნდა შეიტანოს საერთო საქმეში. გუნდი ერთ კაცს არ უნდა ემყარებოდეს.

**— კუთხის მოთამაშეებიდან ბოყოჩაძის არყოფნას ლამის წაგების მიზეზად ასახელებთ. გამოდის, გიორგი ქობელაშვილს საყვედურობთ.**

— კუთხის მოთამაშე რომ ერთ გოლზე მეტს ვერ გაიტანს, რაღაზე უნდა ილაპარაკო. მაგრამ მე მხოლოდ გიორგი ქობელაშვილსა და გოლის გატანაზე არ ვსაუბრობ. ამის გარდა მოედანზე უამრავი სამუშაოა შესასრულებელი. მოთამაშე ხელბურთის ყველა კომპონენტს უნდა ფლობდეს. მე არ ვარ ის კაცი, ვინც მარცხს იოლად შეეგუება. ამაზე ადვილი არაფერია. მაგრამ ვიცი, რომ გუნდს მეტი შეუძლია. სწორედ იმ გამოუყენებელ შესაძლებლობებზე მწყდება გული. მეტის მიღწევა რომ არ შეეძლოთ, მაშინ ამ საქმეს ხელს არც მოვკიდებდი. ზაპოროჟიეში თავდადებულად რომ ეთამაშათ, ასეთ მარცხს გადავურჩებოდით. დღეს ერთი-ორი, სამი საათით ვარჯიში უფრო ჯანმრთელობაა, ვიდრე სპორტი. პროფესიონალი სპორტსმენი ყოველდღიურად ოთხ-ხუთ საათს მაინც უნდა ვარჯიშობდეს. ელიტაში მოხვედრამდე დიდი და ეკლიანი გზაა გასავლელი. იქ მოხვედრა რჩეულთა ხვედრია.

ირაკლი თავაძე



# სიდნეიში — ულიცენზიოდ

**საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი სიდნეის 2000 წლის ოლიმპიურ თამაშებზე მონაწილეობისთვის თავისი ხარჯებით მიიწვევს იმ ქვეყნის ორ სპორტსმენ ქალსა და ვაჟს, რომელთა წარმომადგენლებიც ვერ გაივლიან კვალიფიკაციას ანუ ვერ მოიპოვებენ ლიცენზიებს. ამის შესახებ განაცხადა სოკ-ის „ოლიმპიური სოლიდარობის" კომისიის დირექტორმა ესპანელმა პერე მირომ.**

— იმისთვის, რათა ოლიმპიურ თამაშებზე მონაწილეთა რაოდენობამ 10 300 არ გადააჭარბოს, მიღებულია საკმაოდ მკაცრი საკვალიფიკაციო სისტემა, რაც უეჭველად სიდნეის მიღმა დატოვებს „ჯუჯა ქვეყნებიდან" ათლეტებს ან მათ, ვისაც ნაკლები პოტენცია გააჩნიათ ლიცენზიის მოსაპოვებლად — ამბობს მირო — ამიტომაც მომავალი წლის დასაწყისში სოკ-ი ოლიმპიადაზე მონაწილეთა სიას განიხილავს და განსაზღვრავს იმ ღირსეულ სპორტსმენთა ვინაობას, რომლებმაც ვერ გაიარეს სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე მოსახვედრი კვალიფიკაცია.

ასე რომ, ეს ქვეყნები წარმომადგენილნი იქნებიან ორ-ორი სპორტსმენით. თუმცა, პერე მიროს თქმით, სიდნეიში არავითარ შემთხვევაში არ გაემგზავრებიან ეგრეთ წოდებული „ტურისტები".

მისივე განცხადებით, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების სიდნეიში გასამგზავრებელი ხარჯები მნიშვნელოვნად შემცირდება. ეს განპირობებულია 2000 წლის ოლიმპიური თამაშების დედაქალაქში დელეგაციათა უფასოდ ცხოვრებით და მათი სიდნეიში უსასყიდლო გადაფრენით.

საქმე ისაა, რომ ავიაბილეთების საფასურის ანაზღაურება თამაშების ორგანიზატორთა სარეკლამო აქციად იქცა მანამ, სანამ 2000 წლის ოლიმპიადის მასპინძელი ქალაქის შესარჩევად კონკურსის საბოლოო შედეგები გამოცხადდებოდა. მაშინ სიდნეიმ სულ რაღაც ორი ხმით აჯობა პეკინს, თუმცა ჩინეთის დედაქალაქის წარუმატებლობის ძირითადი მიზეზი ჩინეთში ადამიანთა უფლებების დარღვევა და ამ ქალაქის მიერ ჰაერის დაბინძურების სერიოზული შემთხვევები გახლდათ.

მიუხედავად ამისა, პეკინი არ ნებდება და კვლავინდებურად ცდილობს ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის უფლების მოპოვებას. ამის თაობაზე მათ აპრილში განცხადების წარდგენით ოფიციალურად დააფიქსირეს საკუთარი ნება, ხოლო ახლახან 76-კაციანი საორგანიზაციო კომიტეტიც ჩამოაყალიბეს, რომლის ხელმძღვანელადაც ქალაქის მერი ლიუ კია დანიშნეს.

შეგახსენებთ, რომ 2008 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობა სურთ: პარიზს, ბუენოს აირესს, ტორონტოს, კუალა ლუმპურს, ქაიროს, სტამბოლს, ოსაკას და სევილიას, ხოლო მათ შორის გამარჯვებულს 2001 წლის ივნისში გამოაცხადებს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი.

გიგა გურასაშვილი

# გერმანია მადაზეა

როგორც ცნობილია, 2006 წლის ფეხბურთელთა მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობისთვის იბრძვის ინგლისი, ბრაზილია, მაროკო, სამხრეთ აფრიკა და გერმანია. ოღონდ მათი ამბიციები, მონაკოს გარდა, ამით როდი შემოიფარგლება.

ისინი მეტ-ნაკლებად ცდილობენ ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის უფლების მოპოვებასაც. ამ მხრივ განსაკუთრებით დიდი მადა გასჩენია გერმანიას, რომელსაც სურს უმასპინძლოს 2010 წლის ზამთრისა და 2012 წლის ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებსაც. ამის შესახებ განაცხადა გერმანიის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ვოლტერ ტროეგერმა.

ყოველდღიურ DIE WELT-თან საუბრისას ტროეგერმა თქვა, რომ გერმანიას „სერიოზული მოსაზრებები" აქვს ამგვარი ღონისძიებების სამასპინძლოდ, მაგრამ არ სურს გადადგას გადამწყვეტი ნაბიჯი მანამ, სანამ ფიფა არ შეარჩევს იმ ქვეყანას, რომელიც ფეხბურთში 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატს უმასპინძლებს.

— ჩვენ არა გვსურს გავაკეთოთ ისეთი რამ, რაც გერმანიის ფეხბურთის ფედერაციას 2006 წლის მსოფლიოს თასის მასპინძლობის მოპოვებაში ხელს შეუშლის — აცხადებს ტროეგერი, რომელიც ამავე დროს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრიცაა.

შეგახსენებთ, რომ გერმანიას, კერძოდ ბერლინს ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის სურვილი 2000 წლისთვისაც ჰქონდა, მაგრამ მაშინ ეს პატივი სიდნეის ერგო.

# ათენმა ზეთისხილი დააგვირგვინა




საბერძნეთმა წარმოადგინა ემბლემა, რომელიც 2004 წლის ათენის ოლიმპიურ თამაშებს დაამშვენებს. ემბლემაზე გამოსახული ზეთის ხილის რტოსაგან დამზადებული გვირგვინი მიგვანიშნებს ოლიმპიური თამაშების სამშობლოში დაბრუნებას.

გვირგვინი, რომელიც ანტიკურ ხანაში ოლიმპიურ ჩემპიონებს გადაეცემოდათ, ლურჯ ფონზე ხუთ რგოლთან ერთადაა გამოსახული, ხოლო ერთმანეთში გადაჭდობილი ზეთის ხილის რტოებში ამოიკითხავთ მასპინძელი ქალაქის სახელს — ათენს — რომელიც ბერძნულადაა დაწერილი.

ათენის 2004 წლის ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის განცხადებით, ეს ემბლემა სიმბოლურად წარმოსახავს ქალაქს, სიცოცხლის რკალს, ცას, საბერძნეთის ზღვას, ქვეყნად მშვიდობაზე მოგვანიშნებს.

ეს ემბლემა კონკურსზე წარმოდგენილი 690 ნამუშევრიდან შეირჩა.

# სოლტ ლეიკ სიტის ავგაროზები

მონრეალის 1976 წლის ოლიმპიურ თამაშებზე კანადელებმა ამ ასპარეზობის ერთ-ერთ სიმბოლოდ გამოიყენეს ნეკერჩხლის ფოთოლი, რომელიც ქვეყნის მთავარი სიმბოლოა და სახელმწიფო დროშაზეც გამოუსახავთ. მოსკოვის 1980 წლის ოლიმპიადაზე საბჭოთა კავშირმა, რომელიც დასავლეთისთვის რუსეთთან ასოცირდებოდა, შეჯიბრების ავგაროზად დათუნიას უხმო.

გავიხსენოთ ნაგანოს ზამთრის ოლიმპიური თამაშებიც, სადაც იაპონელებმა თამაშების ავგაროზად სიბრძნის სიმბოლო ბუ, უფრო სწორედ ოთხი ბუ გამოიყენეს, ალბათ იმიტომ, რომ ნაგანოს პრეფექტურაში ბევრი ბუაო.

ახლა სოლტ ლეიკ სიტის 2002 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების ავგაროზებია კურდღელი, კოიოტი და დათვი. მათ იუტას შტატის მცხოვრებლებმა, კერძოდ 42 000-ზე მეტმა მოსწავლემ ოთხთვიანი კონკურსის მერე მეტად უცნაური სახელებიც შეურჩია.

ფხვნილი — ასეთია დედალი კურდღლის სახელი, სპილენძი კი მამალ კოიოტს უწოდეს, ხოლო მამალ დათვს ნახშირი შეარქვეს. ფხვნილი, სპილენძი და ნახშირი ასე იშიფრება: „ფხვნილში" იგულისხმება თოვლი, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია სპორტის ზამთრის სახეობები, ხოლო „სპილენძი" და „ნახშირი" მიუთითებს იუტას შტატში არსებულ მთის საბადოებზე.

აღსანიშნავია ისიც, რომ ამ ცხოველების დიდი ადგილი უკავიათ დასავლელ ინდიელთა მითებში.

სოლტ ლეიკ სიტის ამ ავგაროზების წარდგენა თებერვალში იყო დაგეგმილი, მაგრამ ამას ამ ქალაქის ოლიმპიურ თამაშებთან დაკავშირებულმა სკანდალმა შეუშალა ხელი.

სოლტ ლეიკის საორგანიზაციო კომიტეტმა კონკურსის შედეგების გამოცხადებამდე ერთი დღით ადრე გათქვა თოჯინების მწარმოებელი ფირმა Mattel inc-ი, რომელიც სასუვენირო ავგაროზებს დაამზადებს. იმასაც იუწყებიან, რომ ამით ისინი სულ ცოტა მილიონი დოლარის მოგებას ნახავენ, ხოლო მისი დახლებზე გამოტანა შობისთვისაა ნავარაუდევი.

ავგაროზების ფასი 10 დან 40 დოლარამდე იქნება.

შეგახსენებთ, რომ „ზოოპარკს" ვხედავთ სიდნეის ოლიმპიური თამაშების თილისმაზეც, რომელიც ავსტრალიის ფაუნის სამი ბინადარითაა წარმოდგენილი. ესენია: იხვნისკარტა სიდი, იქედნე მილი და კუკუბარა ოლი.

ბედის ირონიით, მწვანე კონტინენტის ის ცხოველები, რითაც უფრო ცნობილია ავსტრალია — კენგურუ და კოაკა, მკაცრმა ჟიურიმ უარყო.

ოლიმპიურ თამაშებზე თილისმად ნადირ-ფრინველთა ამგვარი შეხამება უთუოდ ქმნის მხიარულ, ზღაპრულ ატმოსფეროს.

გიგა გურასაშვილი




ესეც სოლტ ლეიკის ავგაროზები

# მსოფლიოს თასი



კოლინ ჩარვისმა პირველი ლელოც გაიტანა და პირველიც გასილაქდა

## გრაუ ფსიქიატრიულს გადაურჩა

როგორც ეტყობა, რაგბის მსოფლიოს თასის ორგანიზატორებს მტკიცედ გადაუწყვეტიათ მოედანზე ყოველგვარი არეულობისა და ჩხუბის მცდელობის აღკვეთა. პირველ წრეში ამ მხრივ თავგამოჩენილი ორი მოთამაშე საკმაოდ მკაცრად დასაჯეს.

არგენტინისა და უელსის შეხვედრის დასაწყისში სამხრეთამერიკელმა რობერტო გრაუმ მეტოქე კოლინ ჩარვისს, ჩემპიონატის პირველი ლელოს გამტანს, მუშტი უთავაზა. უელსელსაც არ შეურჩენია და მადლიანი მჯიღით უპასუხა. მიუხედავად თანაგუნდელების ჩარევისა, მორაგბეებმა კიდევ ერთი-ორჯერ მოახერხეს დარტყმების გაცვლა.

მაშინ მსაჯმა მხოლოდ გრაუ დაიბრიყვა და ყვითელი ბარათი უჩვენა, თუმცა დანაშაული საბოლოოდ არც ჩარვისს შერჩა. მატჩის ვიდეოფირის ნახვის შემდეგ საგანგებო სადისციპლინო კომისიამ უელსელიც ამხილა ცუღლუტობაში და ორკვირიანი დისკვალიფიკაციით „დააჯილდოვა". ერთი კვირით მეტს დაისვენებს გრაუ.

— ტურნირის წესების მიხედვით, მსგავსი დარღვევებისთვის ერთიდან 12 კვირამდე მოკვეთაა გათვალისწინებული. ჩვენ მხედველობაში მივიღეთ მატჩის ნერვული ატმოსფერო და მოთამაშეთა სანიმუშო ყოფაქცევა აქამდე, ამიტომ გრაუ 22 ოქტომბრამდე ვერ ითამაშებს, ჩარვისი კი 15-მდე — ნათქვამია ორგანიზატორთა განცხადებაში.

ეს იმას ნიშნავს, რომ უელსელი თავის გუნდს ვერ დაეხმარება იაპონიასა და სამოასთან შეხვედრებში, არგენტინელი კი ჯგუფური ტურნირის გარდა მეოთხედფინალსაც გამოტოვებს.

თუმცა იმავე გრაუს წინააღმდეგ კიდევ ერთი ბრალდება იყო წარდგენილი — უელსელების მტკიცებით, იგი აპირებდა, გარინ ჯენკინსისთვის თვალი გამოეთხარა (!)

დამნაშავედ აღიარების შემთხვევაში არგენტინელს დისკვალიფიკაცია კი არა, ფსიქიატრიულში იძულებითი შემოწმება და ციხეში ყურყუტიც დაემუქრებოდა, მაგრამ მისდა საბედნიეროდ, კომისიამ გაამართლა: „მომენტის დაწვრილებითი გარჩევით დავრწმუნდით, რომ გრაუს მეტოქისთვის თვალის განზრახ დაზიანება არ სურდა. მან უბრალოდ თავში ჰკრა ხელი გარინ ჯენკინსს და შემთხვევით თვალში მოუხვდა".

უახლოეს დღეებში სადისციპლინო კომისიამ კიდევ ორი საქმე უნდა განიხილოს: სამოელ ბრენდან რეიდის იაპონელი მეტოქის ცემა ედება ბრალად, ტონგელ სიუა ტაუმალოლოს კი ახალზელანდიელების წინააღმდეგ სახიფათოდ თამაში.

## წმინდასისხლიანმა მამლებმა ამაყად იყივლეს

მსოფლიოს თასი ახალდაწყებულია და უკვე ჭორ-მართალიც აგორდა. ფრანგ ჟურნალისტებს შარშანდელ „ტურ დე ფრანსზე" ატეხილი დოპინგ-სკანდალის შემდეგ ყველგან სტიმულატორები ელანდებათ და თუ მიხვდნენ, რომ ცდებიან, მაშინ ტყუილებსაც არ ერიდებიან. ყოველკვირეულმა გაზეთმა „მიდი ოლიმპიკმა" დაწერა, რომ „მამლების" ორ მორაგბეს კანადასთან თამაშის წინ ორგანიზმში აკრძალული ნივთიერებების კვალი აღმოაჩნდათ. გაზეთი არც სპორტსმენთა გვარებს ასახელებდა, არც დოპინგის სახეობას და არც ინფორმაციის წყაროს. უბრალოდ, „ინგლისიდან ხმები მოვიდაო" და თავისი ქვეყნის ეროვნულ ნაკრებს ამის საფუძველზე სცხებდა ჩირქს.

„მამლების" თავკაცობამ გაზეთის გამოსვლის დღესვე კატეგორიულად უარყო ბრალდება, რაც მოსალოდნელიც იყო. „ამ წერილში ერთი სიტყვაც არ არის მართალი. მეც და მთელი ნაკრებიც შეურაცხყოფილად ვგრძნობთ თავს. ეს რაგბის და მთლიანად სპორტის საწინააღმდეგოდ მიმართული პროვოკაციაა" — განაცხადა ტიერი ერმერელმა, საფრანგეთის ნაკრების მთავარმა ექიმმა.

ფრანგების გენერალურმა მენეჯერმა ჟო მაზომ კი თქვა, რომ რამდენიმე მამალმა მსოფლიოს თასის ორგანიზატორთა მეთვალყურეობით კანადასთან მატჩამდე გაიარა დოპინგ-კონტროლი. მათი შედეგები ფრანგებს შაბათს ამცნეს და არც ერთი მათგანი დადებითი არ ყოფილა.

მორაგბეებს ახალგაზრდობისა და სპორტის სამინისტროც გამოექომაგა. ამ უწყების პრესსამსახურის ხელმძღვანელის თქმით, „მამლების" პომპადურში მზადებისას მათ რამდენჯერმე ჩაუტარდათ დოპინგ-კონტროლი, რომლის შედეგების მიხედვითაც ყველანი სუფთანი იყვნენ. ერთი სიტყვით, ხმები ფრანგი მორაგბეების დოპინგისადმი მიდრეკილების შესახებ ნამდვილად არ შეეფერება სინამდვილეს.

## რუმინეთი ფულს ითხოვს

ორშაბათს რუმინეთმა სთხოვა რაგბის საერთაშორისო საბჭოს, მსოფლიოს თასისგან მიღებული შემოსავალი პატარა (სარაგბო გაგებით) ერებსაც მოახმაროს.

„თუ რაგბის ხელმძღვანელებს მართლა სურთ მსოფლიოში სპორტის ამ სახეობის განვითარება, ფინანსური დახმარება გაჭირვებულ ქვეყნებს უნდა აღმოუჩინონ და ფული იმათ არ უნდა ატენონ, ვისაც ისედაც ბევრი აქვს" — განაცხადა რუმინეთის ნაკრების ტექნიკურმა დირექტორმა ჯონ ფილიპსმა.

ბატონმა ფილიპსმა ბევრი ისაუბრა ასეთი ნაბიჯის აუცილებლობაზე და ბოლოს დაამატა: „ვიცი, საერთაშორისო საბჭომ განაცხადა, რომ შემოსავლის რაღაც ნაწილს ხელმოკლე ქვეყნებსაც არგუნებს. თუმცა მსოფლიოს თასისას ლამაზ-ლამაზი დაპირებებით არ უნდა შემოიფარგლონ. საჭიროა უფრო გრძელვადიანი პროექტების განხორციელება".

საერთაშორისო საბჭოს მართლაც გადაუწყვეტია 340 ათასი ამერიკული დოლარის ტურნირის მონაწილე რვა შეჭირვებული გუნდისთვის განაწილება. ამით ამ ნაკრებებს მსოფლიოს თასში მონაწილეობის ხარჯები აუნაზღაურდებათ, მაგრამ ეს ხომ ზღვაში წვეთია. ამ რვა გუნდში რუმინეთიც შედის, რომელმაც პირველ ტურში ავსტრალიასთან 9:57 წააგო. თუმცა მისი მწვრთნელი მაინც კარგ გუნებაზე იყო: „ძალიან კმაყოფილი ვარ ჩვენი ახალგაზრდა მორაგბეებით. ავსტრალია მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესოა და ჩვენთვის დიდი მიღწევაა, რომ 50 ქულაზე ნაკლებით დავმარცხდით".

ისე, მსოფლიოს თასის ფინალურ ეტაპზე საქართველოც რომ გასულიყო, ალბათ, უფრო დიდი ანგარიშით წააგებდა, მაგრამ 340 ათასიდან წილი ხომ ჩვენც გვერგებოდა

## შავები ჩივიან

საერთო აზრის საპირისპიროდ, ახალი ზელანდიის ნაკრების მწვრთნელ ჯონ ჰარტს სულაც არ მიაჩნია, რომ მსოფლიოს თასზე მკაცრი მსაჯობაა.

ადგილობრივი პრესისთვის მიცემულ ინტერვიუში ოლ ბლექსის თავკაცმა განაცხადა, რომ უელსელ დერეკ ბევანს სიმკაცრე უნდა გამოეჩინა ტონგასთან შეხვედრაში ამ უკანასკნელთა დარღვევების აღსაკვეთად.

ახალზელანდიელებმა მატჩი 45:9 მოიგეს, მაგრამ თავიდან ძალიან გაუჭირდათ. ტონგელ სიუა ტაუმალოლოს ტანა უმაგას სახიფათოდ შებოჭვისთვის მსაჯმა ყვითელი ბარათი აუფრიალა, თუმცა ჰარტის აზრით, გაფრთხილებები გაცილებით მეტი უნდა ყოფილიყო.

„ძალიან შევწუხდი, შეიძლებოდა, ტონგელების სახიფათო და უსინდისო თამაშის გამო ჩემი მოთამაშეები სერიოზულად დაშავებულიყვნენ. ბევრს ლაპარაკობენ გაუმჯობესებულ მსაჯობაზე, მაგრამ ამ მატჩში ბევრი რამ შეუმჩნეველი დარჩა".

ჰარტმა უყურადღებობაში დაადანაშაულა გვერდითი მსაჯებიც — სამხრეთაფრიკელი ტეპე ჰ ენინგი და კანადელი იან ჰეიდილეი, არაფერი გაუკეთებიათო.

ზემოხსენებულის გარდა „სრულიად შავების" თავკაცს სხვა პრობლემებიც გაუჩნდა — კის მიუსი კოჭის ტრავმის გამო კვირას ინგლისელებთან ვერ ითამაშებს, უკანახაზელი კარლოს სპენსერი კი ვარჯიშისას ისე დაშავდა, მსოფლიოს თასის დასრულებამდე ველარ გამოჯანმრთელდება.

კახა არჯევანიძე



# აბა, ეგ არის გრეგარი!

ველომრბოლებმა სეზონის სამივე უმთავრესი ტურნირი უკვე ჩაამთავრეს, მაგრამ დასვენებას მაინც არ აპირებენ. კვირას ისინი მსოფლიოს თასის მეცხრე, ბოლოსწინა ეტაპზე გაეჯიბრნენ ერთმანეთს. პარიზი-ტურის გზა კლასიკადაა მიჩნეული. 254,5 კილომეტრის გავლის შემდეგ გამარჯვების საუკეთესო შანსები სპრინტერებს აქვთ ხოლმე, რადგან დისტანციაზე აღმართები თითქმის არ არის. ამჯერად აქ ბელგიელი მარკ ვოუტერსი (რაბობანკი) იყო უძლიერესი, რომელიც ველოსპორტის სამყაროში სამაგალითო გრეგარად (სპორტსმენი, რომელიც გუნდის ლიდერის გამარჯვებისთვის იღწვის) ითვლება.

მისმა თანამემამულე ანდრეი ჩმილმა (ლოტო) საბოლოო გამარჯვება ჯერ კიდევ ვერ გაინაღდა, მაგრამ გაზაფხულზე მილან-სან რემოს მომგები ბელგიელი მსოფლიოს თასს კიდევ უფრო მიუახლოვდა — ტურში გრამონის ავენიუზე მოწყობილ ფინიშზე იგი მეცხრე იყო, რითიც მთავარ კონკურენტებთან ქულებში სხვაობა ისევ გაზარდა. საერთო ჩათვლაში მესამე ადგილზე მყოფმა ფრანკ ვანდენბრუკმა ფინიში მეთერთმეტემ გადაკვეთა, მეორეადგილოსანი მიკაელ ბოოგერდი კი თხუთმეტეულშიც ვერ მოხვდა.

„თავიდან ვანდენბრუკმა გვარიანი შიში გვაჭამა, როცა დღის მთავარ შეტევაში სამ თანაგუნდელთან ერთად ჩაება და გამარჯვების კარგი შანსიც გაუჩნდა. ამან ჩემი გეგმები სულ არია, მოგებაზე ფიქრიც კი აღარ შეიძლებოდა. მთელი ძალ-ღონე ფრანკის დასაწევად დავხარჯე და მერეც მისი მეთვალყურეობით დავკმაყოფილდი" — განაცხადა ჩმილმა.

გამორიცხული არ არის საბჭოეთის ყოფილმა მოქალაქემ ჩმილმა ბოლო ეტაპზე, რომელიც ლომბარდიაში (იტალია) გაიმართება, ასე ნალოლიავები მსოფლიოს თასი მაინც დაკარგოს. ის ბოოგერდს 60 ქულით უსწრებს, ვანდენბრუკს 73-ით, ეტაპის მოგება კი ერთბაშად 100 ქულად ფასობს. თუმცა ჩმილს ყველა განვლილ ეტაპზე მოუპოვებია ერთი ქულა მაინც და, ალბათ, არც იტალიაში გაუწყრება ღმერთი 16 ოქტომბერს.

ერთი სიტყვით, 30 წლის ვოუტერსმა საერთო ჩათვლის ლიდერების ურთიერთქიშპობით ისარგებლა, თანაც პელოტონის სათავეში მისი თანაგუნდელებიც ბლომად იყვნენ, არც თვითონაა ჯაბანი და მშვენივრადაც გაიმარჯვა. „მარკი უწინდებურად გუნდის ერთ-ერთ საუკეთესო გრეგარად რჩება, რომლისთვისაც ხანდახან გუნდიც მუშაობს. ასე მოხდა დღესაც და ძლიერ მიხარია, რომ მარკმა წარმატებას მიაღწია" — უთხრა ჟურნალისტებს ჰოლანდიური „რაბობანკის" სპორტულმა დირექტორმა ტეო დე როოიმ.

გაიოზ თალაკვაძე



მარკ ვოუტერსი (მარჯვნივ): მუშას გარჯა დაუფასდა



ანდრეი ჩმილი

### მსოფლიოს თასი, მეცხრე ეტაპი, პარიზი-ტური, 254,5 კმ

1. მარკ ვოუტერსი (ბელგია, რაბობანკი) — 6სთ 09წთ 54წმ
2. ჯანი ფარეზინი (იტალია, მაპეი) — +10წმ
3. იან კირსიპუუ (ესტონეთი, კაზინო) — +14წმ
4. ფაბრიციო გიდი (იტალია, პოლტი)
5. მარკო სერპელინი (იტალია, ლამპრე)
6. ლუდოვიკ კაპელი (ბელგია, მარკეტი)
7. ფაბიო ბალდატო (იტალია, ბალანი)
8. ლეონ ვან ბონი (ჰოლანდია, რაბობანკი)
9. ანდრეი ჩმილი (ბელგია, ლოტო)
10. აარტ ვერჰოუტენი (ჰოლანდია, რაბობანკი) — ყველას იგივე დრო

### საერთო ჩათვლა

1. ანდრეი ჩმილი — 287 ქულა
2. მიკაელ ბოოგერდი (ჰოლანდია, რაბობანკი) — 227
3. ფრანკ ვანდენბრუკი (ბელგია, კოფიდისი) — 214
4. პეტერ ვან პეტეგემი (ბელგია, ტვმ) — 153
5. იოჰან მუსეუვი (ბელგია, მაპეი) — 138
6. ზბიგნევ სპრუში (პოლონეთი, ლამპრე) — 131
7. ლეონ ვან ბონი — 123
8. პაოლო ბეტინი (იტალია, მაპეი) — 117
9. მარკუს ზბერგი (შვეიცარია, რაბობანკი) — 113
10. მარკ ვოუტერსი — 107



REUTERS ფოტოქრონიკა

ჩემპიონატი დაიწყო და დყა-დყაც ატყდა: ბოსტონელი კენ ბელანჟე და ტორონტოელი ტაი დომი (მარჯვნივ) მსაჯებმა ძლივს გააშველეს

# ოუენ ნოლანი: ზვიგენის კბილი

4 ოქტომბერი

**ტორონტო — ბოსტონი 4:0**

**3:0 1:0 0:0**

**1:0 სუნდინი 2'00(2); 2:0 კოროლიოვი 17'36(1); 3:0 ჯონსონი 18'18(1); 4:0 უორინერი 32'18(1)**

ვინ იცის, იქნებ ბოსტონის გენერალური მენეჯერი ჰარი სინდენი ახლა ნანობს კიდეც, ყურად რომ არ იღო რეი ბურკის გაფრთხილება — დაფოს გარეშე ძალიან გაგვიჭირდებაო. მაგრამ სეზონის დაწყებამდე გაფიცული მეკარის მოთხოვნა, 4 მილიონი დოლარი გადამიხადეთო, „დათვების" ძუნწ ბოსს არაფრად ეპიტნავა და საქმე იქამდე მიიყვანა, რომ დღესდღეობით ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო მეკარე ტრეიდს ითხოვს, ბოსტონი კი უმისოდ ზედიზედ მეორე თამაშს აგებს. ახლა დაფოს არყოფნით ტორონტოელებმა ისარგებლეს და მის შემცვლელს, გამოუცდელ ფარმკლუბელ მაიკ გრემს პირველივე პერიოდში სამი შაიბა გაუტანეს. არც ბოსტონის თავდასხმა გამოიყურებოდა სახარბიელოდ — სტუმრებმა სასტარტო მესამედში სამად სამჯერ შეაწუხეს მეკარე კერტის ჯოზეფი (მაშინ, როცა მასპინძლებმა 16-ჯერ დაარტყეს) და მას მორიგი შათაუტი შეასრულებინეს. ორ მატჩში „დათვების" ანგარიშზე სულ ერთი შაიბაა, ესეც ბურკმა მიითვალა.

**სენტ ლუისი — ლოს ანჯელესი 2:3**

**0:1 2:1 0:1**

**0:1 ბლეიკი 10'50 (1); 1:1 დემიტრა 28'15(1); 2:1 ჰანდზუ 31'19(1); 2:2 პალფი 31'25(1); 2:3 რობიტაილი 54'25(2)**

ლოსანჯელესელებმა კვლავ გაახარეს თავიანთი ახალი თავკაცი ენდი მიურეი და დიდი ხნის ჯავრიც იყარეს სენტ ლუისზე, რომლისთვისაც 1997 წლის იანვრის მერე არ მოეგოთ. თანაბარ ბრძოლაში სტუმართა გამარჯვება მათი ლიდერების ინდივიდუალურმა ოსტატობამ განაპირობა. თუნდაც „მეფეთა" ახალწვეულის, ზიგმუნდ პალფის სოლო რეიდი რად ღირს, რომელიც ზუსტი დარტყმით დაგვირგვინდა. არადა, მანამდე სულ 6 წამით ადრე წინ სენტ ლუისი იყო და მიურეიმ წუთშესვენებაზე ისე დამოძღვრა თავისი შეგირდები, რომ ანგარიში გაათანაბრებინა. მერე კი ლუკ რობიტაილმა მცველთა წამიერი შეყოვნებით ისარგებლა და თავისიანებს ორი ქულაც მოუტანა. ეს მისთვის 519-ე გოლია, რამაც ფორვარდი ნჰლ-ის ბომბარდირთა სიაში 22-ე ადგილზე აანაცვლა.

**სან ხოსე — ჩიკაგო 7:1**

**3:1 1:0 3:0**

**0:1 დაზე 2'32(1); 1:1 ნოლანი 6'12(2); 2:1 ნოლანი 7'18(3); 3:1 ფრიზენი 19'15(1); 4:1 ნოლანი 31'51(4); 5:1 მატო 50'52(1); 6:1 ფრიზენი 56'27(2); 7:1 ფრიზენი 59'10(3)**

სეზონის წინ ფიქრობდნენ, რომ წლევანდელ ჩემპიონატში სან ხოსეს წარმატების საწინდარი კარგი სტარტი და ოუენ ნოლანის გამოღვიძება იქნებოდა. რა გვეთქმის, „ზვიგენების" ქომაგები კმაყოფილნი უნდა იყვნენ. მათმა საყვარელმა გუნდმა ორი დამაჯერებელი გამარჯვება იზეიმა, რაც სანხოსელთათვის ერთობ უჩვეულოა, ოუენ ნოლანი კი შეუჩერებელი გახდა.

ოთხჯერ 30 გოლზე მეტის გამტან ფორვარდს ბოლო ორი სეზონის განმავლობაში აშკარად ეძინა (შესაბამისად 14 და 19 შაიბა). როგორც ჩანს, ნოლანი ისევ ძველებურ მადაზე მოდის. 31-ე წუთისთვის მას კარიერაში მე-10 სეზონის პირველი ჰეთ თრიქი უკვე შესრულებული ჰქონდა. პარტნიორის ენთუზიაზმი ჯეფ ფრიზენსაც გადაედო და „შარქსის" კიდევ ერთმა წამყვანმა ფორვარდმაც კარიერაში მეორედ გაიტანა მატჩში სამი გოლი. საბოლოოდ სან ხოსეს პირველი სამეულის — ნოლანი (3+3), ფრიზენი (3+1), ვენსან დამფუსი (0+4) — ანგარიშზე 14 ქულაა. განსაკუთრებით კარგად იასპარეზა ამ ტრიომ რიცხვმრავლობისას, რომელიც 4-ჯერ გამოიყენა. სხვათა შორის, სან ხოსეს ისტორიაში ეს პირველი შემთხვევაა, როცა ორმა ფორვარდმა ერთ მატჩში ჰეთ თრიქი შეასრულა.

# ბიჭებმა ფული იშოვეს

ამ დღეებში წლევანდელ დრაფტის პირველ რაუნდში არჩეულთაგან კიდევ ორმა ახალგაზრდამ გააფორმა კლუბებთან კონტრაქტი. სენტ ლუისმა დრაფტის მე-17 ნომერთან, 18 წლის მცველ ბარეტ ჯეკმენთან მიაღწია შეთანხმებას. ჯეკმენმა 4 საგამოფენო მატჩში 3-ჯერ მოასწრო ჩხუბი და თავისი ხისტი და საიმედო თამაშით „ბლუზმენთა" მესვეურებს თავი მოაწონა. გუნდის გენერალურ მენეჯერ ლარი პლოს თქმით, შესაძლებელია, ჯეკმენმა მომავალ სეზონშივე სცადოს ძალა ნჰლ-ში.

ასევე მრავალწლიანი ხელშეკრულება გააფორმა კაროლინასთან დრაფტის მე-16 ნომერმა, მცველმა დავიდ ტანაბემ. იაპონური წარმოშობის 19 წლის ჰოკეისტი გუნდს უკვე შეუერთდა და მალე, ალბათ, მისი დებიუტიც შედგება. ორივე ახალგაზრდას დაახლოებით ერთნაირი ხელფასი ექნება — 2,7 მილიონი დოლარი და 1 მილიონამდე პრემიალურები.

ამრიგად, წლევანდელი დრაფტის პირველრაუნდელთაგან უკვე რვამ გააფორმა კონტრაქტი. აქედან ორმა — ატლანტელმა პატრიკ შტეფანმა (№1) და კალგარელმა ოლეგ საპრიკინმა (№11, 1 პასი პირველ მატჩში) იღბლიანი დებიუტიც გამართეს.

აქვე გაცნობებთ, რომ დალასის ერთ-ერთმა წამყვანმა მცველმა რიჩარდ მატვიჩუკმა დაასრულა გაფიცვა და თავის კლუბთან ოთხწლიანი ხელშეკრულება გააფორმა. კალგარის კაპიტანი, მცველი ტოდ სიმპსონი ფლორიდაში ფორვარდ ბილ ლინდსეიზე გაცვალეს, ხოლო ტორონტოელი ფრედრიკ მოდინი ტამპაში გადავიდა მცველ კორი კროსის ნაცვლად და ახალი გუნდის პირველივე მატჩში შვედმა ფორვარდმა გოლი გაიტანა.

# ჩემპიონებს სცემენ

თასის მფლობელ დალასს ერთობ ძვირად დაუჯდა ჩემპიონატში ზედიზედ მეორე გამარჯვება. პოლ კარიას გარეშე მოთამაშე ანაჰაიმმა ჩემპიონთან უხეშად, ხისტად იბრძოლა და ორი შაიბის გაშვებით გამწარებულმა ჯავრი მეტოქეებზე იყარა. მეორე პერიოდის შუაში რუსლან სალეის დაუშვებელი ძალისმიერი ილეთის შემდეგ დალასის ლიდერმა, მაიკ მოდანომ ტვინის შერყევა მიიღო და ცხვირიც გაუტყდა. როდის დაუბრუნდება იგი გუნდს, ჯერჯერობით უცნობია. შემდეგ პასკალ ტრეპანიეს უხეშობას ძლივს გადაურჩა კიდევ ერთი წამყვანი ფორვარდი — ჯო ნიუინდაიკი, ამის შემდეგ ყინულზე არაერთხელ ატყდა შეხლა-შემოხლა. ამ დროს დაზარალდა დერილ სიდორი, რომელსაც ანაჰაიმელი ჯიმ მაკენზის მუშტი მოხვდა. სერიოზული ტრავმა მიიღო აგრეთვე რეინჯერსის ერთ-ერთმა ძვირადღირებულმა ახალწვეულმა ვალერი კამენსკიმ. ვანკუვერთან შეხვედრაში მან ხელი იტკინა. რაც შეეხება ფილადელფიელ როდ ბრინდამორს, იგი ჯერ კიდევ საგამოფენო მატჩებში დაშავდა, რის გამოც „რკინის კაცმა" ჩემპიონატის პირველი მატჩი გამოტოვა. ამით კი 484 თანმიმდევრული თამაშის სერია შეწყვიტა. ბრინდამორი, ალბათ, კვირის ბოლომდე ვერ დაბრუნდება.

სტარტის სხვა მოვლენებისგან შათაუტებს გამოვარჩევთ. ერთბაშად ოთხმა მეკარემ შეინახა კარი მშრალად. თანაც ცნობილ დეტროიტელ კრის ოსგუდთან, დალასელ ედ ბოლფორთან და ლოსანჯელესელ სტეფან ფისესთან ერთად ეს ოტავას გოლკიპერმა პატრიკ ლალიმმაც შეძლო, რომელმაც ძირითადში ადგილი რონ ტაგნატის ტრავმის გამო მოიპოვა, მთელი გასული სეზონი კი ფარმკლუბში გაატარა.

აღსანიშნავია სამი მწვრთნელის — სტივ ლადზიკის (ტამპა), ენდი მიურეის (ლოს ანჯელესი) და რონ ფრენსისის (ფინიქსი) იღბლიანი დებიუტი ნჰლ-ში. თანაც ამ უკანასკნელის გუნდმა სენტ ლუისზე იძია შური, რომელმაც პლეიოფის პირველ რაუნდში გაამწარა.

ბოლოს ლიგის დებიუტანტ ატლანტაზე „თრეშერსის" ჰოკეისტებმა გამოცდილ ნიუ ჯერსის ვერაფერი მოუხერხეს და თავიანთი ქომაგები (ახალთახალ „ფილიპს არენაზე" 18000 მაყურებელი შეიკრიბა) მხოლოდ კლუბის ისტორიაში პირველი კაპიტნის, კელი ბუკბერგერის გოლით და ამომავალი ვარსკვლავის, პატრიკ შტეფანის ნჰლ-ში მოპოვებული პირველი ქულით (პასი) გაახარეს.

**სამველ ლარიბიანი**



# ჰეინსი მცირე წყალსაც ადუღებს

სამხრეთ აფრიკის სიამაყემ, ცურვაში ორგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა, 24 წლის პენი ჰეინსმა ამ სამ თვეში მსოფლიოს რეკორდების დამყარებით ფრიად გამოიჩინა თავი, 50-მეტრიან აუზებში ჯერ იყო და ჯანეტ ევანსის სახელობის ტურნირზე ოთხი მსოფლიოს რეკორდი დაამყარა, მერე ასეთივე წარმატება იზეიმა წყნარი ოკეანის თამაშებზე, სამხრეთ აფრიკის ჩემპიონატზე კი 25-მეტრიან აუზშიც გაიხარა ასეთი შედეგებით. ჰეინსისთვის ეს იყო პირველი მსოფლიოს რეკორდი „მცირე წყალში".

და აი, დურბანის „პატარა წყალში" ჰეინსმა კვლავ გამოიჩინა თავი და თავისი მსოფლიოს რეკორდების ყულაბას კიდევ ორი შემატა. მან 50 მეტრზე ბრასით 30, 60 აჩვენა, რაც 0,17 წამით ნაკლებია ძველ რეკორდზე. ჰეინსმა ასევე 0,17 წამით შეამცირა 100 მეტრზე თავისივე მსოფლიოს რეკორდი — 1.05,40.

არადა, ამას წინათ ჰეინსმა თქვა, 25-მეტრიან აუზში ცურვისას ბევრი რამ მაქვს სასწავლიო. იგი გულისხმობდა მობრუნებას, რაც უსათვალოდ ისე ვერ გამოსდიოდა, როგორც საჭირო იყო. „მოკლე" წყალში მობრუნება ხომ ორჯერ მეტად უხდებათ მოცურავეებს, ვიდრე „გრძელში", მაგრამ, ეტყობა, ჰეინსს ეს საქმეც აუთვისებია.

ასეა თუ ისე, ჰეინსი დღეისთვის უკვე 13-გზის მსოფლიოს რეკორდსმენია და შეჯიბრების შემდეგ თქვა, დასვენებას ვიმსახურებო.

**გიგა გურასაშვილი**



ქალი-რეკორდი: პენი ჰეინსი



# იტალიამ წარბები შეჭმუხნა — შუმის ვერ გაუგეს

„ფერარის" 3 ოქტომბრის პრეს-რელიზმა მიხაელ შუმახერის წლევანდელ რბოლას წერტილი დაუსვა. შუმის განცხადებით, ექიმთაგან მისი სრული რეაბილიტაციის გამოცხადების მიუხედავად, მას ფორმულა 1-ის დარჩენილ ორ რბოლაში თავის გამოსვლა შეუფერებლად მიაჩნია, რადგან საამისოდ თავს ბოლომდე მზად არ გრძნობს. როგორც მოსალოდნელი იყო, იტალიურმა სპორტულმა გაზეთებმა გერმანელი ხსენებული პრეს-რელიზმის გამოსვლისთანავე კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს და არც სარკაზმის კლანჭები დაუშურებიათ მისთვის. „რას ჰგავს ეს?!" — ბობოქრობდა „გაძეტა დელო სპორტი" — „როცა ექიმები ნებას არ აძლევდნენ, საჭისკენ იჭაჩებოდა, ახლა კი, მწვანე შუქი რომ აუნთეს, უარზეა... „ფერარი" უმნიშვნელოვანესი ამოცანების წინაშე დგას და მათ გადაწყვეტაში შუმახერს უდიდესი როლი ეკუთვნოდა, მან კი... არ უარვყოფთ, რომ მისი დაბრუნება დიდ რისკფაქტორს შეიცავს, მაგრამ ჩვენი იმედგაცრუება უსაზღვროა". „მესაჯერომ" დამწვარზე მდულარე დაასხა: „შუმახერის საქციელი ორნაირად აიხსნება: იგი პროფესიონალია და მანამდე არ იასპარეზებს, ვიდრე თავს ასი პროცენტით მზად არ იგრძნობს, ან უწინამც თავის ოჯახს ადამიანთა გამტაცებლებს მიჰყიდის, ვიდრე ირვინს გაჩემპიონებაში დაეხმარება".



მიხაელ შუმახერი

ამასობაში შუმახერი მუგელოში ვერტმფრენით ჩაფრინდა და ტესტური რბოლებისთვის ახალთახალი F399-ის საჭესთან მოკალათდა. ერთხანს ლაღად ქროლის შემდეგ გერმანელს, ეტყობა, ბედნიერი წარსული დროება გაახსენდა და თავისი ბოლიდი დამცავ კედელს აჯახა. საბედნიეროდ, მანქანიდან გადმოსული შუმი ფრიად მხნედ გამოიყურებოდა და ერთხელაც არ აუთრევია ფეხი. რამდენიმე საათში ტესტები გაგრძელდა და 68 წრიდან ერთ-ერთზე შუმახერმა დიდებული შედეგიც უჩვენა — 1:27,287, რაც შაბათს ნაჩვენებ ირვინის შედეგზე ლამის მთელი წამით ნაკლები გახლდათ. ვარჯიშისშემდგომ პრესკონფერენციაზე „ფერარის" პილოტმა ერთხელაც დაადასტურა წლეულს მისგან საკუთარი გუნდის „დაღალატება" და ხალხს მოუწოდა, ყველაფერი სწორად გაიგონ. „მე არ შემიძლია ტრასაზე ბოლიდით ვისეირნო, ჩემი საქმე მაქსიმალური შედეგების ჩვენებაა" — თქვა გერმანელმა — „რაც შეეხება F399-ის ტექნიკურ დონეს, მასში მნიშვნელოვანი სასიკეთო სიახლეები აღმოვაჩინე, ასე რომ, ბოლო ორ რბოლაში მას შეუძლია მოწოდების სიმაღლეზე იყოს".

ასე და ამგვარად, მალაიზიის დიდ პრიზზე „ფერარის" პირველი ნომერი იქნება ირლანდიელი ედი ირვინი, რომელიც მეწყვილედ ფინელ მიკა სალოს იახლებს. ირვინი თავის მოვალეობათა აღსრულებას, ანუ რბოლისთვის ვარჯიშს დღეს ფიორანოში შეუდგება.

**დავით გულუა**

ეროვნული ბიბლიოთეკა



REUTERS

შოტლანდია — ბოსნია 1:0. ჯონ კოლინზის გოლმა სქოთებს პლეი ოფის საგზური მოუტანა

## EURO 2000
### ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი

IX ჯგუფი

**შოტლანდია 1:0 ბოსნია**

1:0 კოლინზი (26მ)

შოტლანდია: სალივანი, ვიარი, დევიდსონი, ლამბერტი, ჰენდრი (კალდერვუდი 37), დეილი, დოდსი (მაკსვიგანი 90), ბარლი, გალახერი (ბურჩილი 80), ჰოპკინი, კოლინზი

ბოსნია: ბუსო, კაპეტანოვიჩი, ბაშირევიჩი, ჰიუჯოროვიჩი, ვარესანოვიჩი, ბარბარესი, იტიარევიჩი (ტოპიჩი 77), შაბიჩი, ბოლიჩი, მუიჩინი (ავდიჩი 84), ბალიჩი

მსაჯი: ლ. სუნდელი (შვედეთი)

*9 ოქტომბერი: ესტონეთი — ბოსნია; ჩეხეთი — ფარერები, შოტლანდია — ლიტვა*

## პორტუგალია

VI ტური

**სანტა კლარა 2:1 სეტუბალი**

## ჰოლანდია

თასის გათამაშება

**ჰერენვენი 2:0 გრააფსხაპი**

## პოლონეთი

ლიგის თასი

მეოთხედფინალი. I წრე

**ოდრა 1:1 გურნიკი**

**პოლონია 3:0 ვისლა**

## კასპაროვი — მსოფლიო





1. e4 c5 2. მf3 d6 3. კb5+ კd7 4. კxd7+ ლxd7 5. c4 მc6 6. მc3 მf6 7. 0-0 g6 8. d4 cxd4 9. მxd4 კg7 10. მde2 ლe6 11. მd5 ლxe4 12. მc7+ მფd7 13. მxa8 ლxc4 14. მb6+ axb6 15. მc3 ეa8 16. a4 მe4 17. მxe4 ლxe4 18. ლb3 f5 19. კg5 ლb4 20. ლf7 კe5 21. h3 ეxa4 22. ეxa4 ლxa4 23. ლxh7 კxb2 24. ლxg6 ლxe4 25. ლf7 კd4 26. ლb3 f4 27. ლf7 კe5 28. h4 b5 29. h5 ლc4 30. ლf5+ ლe6 31. ლxe6+ მფxe6 32. g3 fxg3 33. fxg3 b4 34. კf4 კd4+ 35. მფh1 b3 36. g4 მფd5 37. g5 e6 38. h6 მe7 39. ეd1 e5 40. კe3 მფc4 41. კxd4 exd4 42. მფg2 b2 43. მფf3 მფc3 44. h7 მg6 45. მფe4 მფc2 46. ეh1 d3 47. მფf5 b1=ლ 48. ეxb1 მფxb1 49. მფxg6 d2 50. h8=ლ d1=ლ 51. ლh7 b5 52. მფf6+ მფb2 53. ლh2+ მფa1 54. ლf4



## დაუპატიჟიათ

ამერიკის კონგრესის სპიკერ დენის ჰასტერტს ერთი გვარიანი ცერემონიალი გაუმართავს თავის ოფისში და გამოჩენილ ადამიანთაგან მობერებული მუჰამედ ალი და უბერებელი კარლ ლუისი მიუწვევია. ალი ჩვეულია ამგვარ ყურადღებას და საპრეზენტაციო პერსონაა. მაგრამ განა ლუისი ფიქრობს, რომ მხოლოდ საზოგადო თავყრილობებისთვისღა ვარგა?



## აბობოქრება ცინცინატიში

გვარიანი ოფლი დაღვარა ცინცინატის პოლიციამ იქაურ „ცინგრი არენაზე“, სადაც ბეისბოლის საპლეიოფო თამაში ჰქონდათ ადგილობრივ „რედზსა“ და „ნიუ იორკ მეთსს“. რახან პლეი ოფი „ვაილდ ქარდისა“ იყო და ცინცინატელმა ქომაგობამ კი დაატყო, რომ უკანასკნელი იმედი ხელიდან ეცლებოდა, თამაშის ჩაშლის სურვილით ანთებულმა მოედანზე იწყო დე... თუმცა პოლიციამ იფხიზლა...

## მაგსი გადაბარგდა

აი, რამდენი ლაპარაკია, კანადის საკალათბურთო გუნდები სუსტნი გახლავან, ენბიეის კუდში მოჩანჩალებენ და ინფრასტრუქტურის ამბავში მალე შტატებში უნდა გადმობარგდნენო. ამის საპირისპიროდ „ტორონტო რეპტორზი“ ვარსკვლავურ გარიგებებს ჩარხავს. ამიერიდან ამ გუნდის ურჩხულოსან ფორმას მოირგებენ ანტონიო დევისი და ცეროდენა ჯადოქარი მაგსი ბოგსი. პლეი ოფიო, ამბობენ ეს სუპერბიჭები. ვნახოთ...



## დაქორწინდნენ

განთქმულ რუმინელ მორბენალ ქალს, გაბრიელა საბოს, ვისაც ოქროს ლიგის შვიდშეჯიბრა ტურნირი მოუგია და ნოემბერში წლის საუკეთესო მძლეოსნადაც უნდა გამოაცხადონ, ქორწილი ჰქონია. ბუქარესტის ახლო, სნეგოვში მას და მის მწვრთნელს ზოლტ გიოგიოს გვირგვინი უფსკვნიათ და საქორწილო ტორტსაც მონდომებით ჭრიან. მაგარი ქალია ეს გაბრიელა, პირველია თავის სქესში, მილიონი დოლარი რომ აუღია ერთ წელიწადში.



სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორაშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე
უცხოური განყოფილება ლაშა გოდუაძე, ვანო ოქროპირიძე; ინფორმაციის რედაქცია ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის განყოფილება გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კაზურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.opentext.org.ge/sarbieli